

გიორგი სოსიაშვილი
Giorgi Sosiashvili

დიცის წარწერები
DITSI INSCRIPTIONS

თბილისი Tbilisi
2017

ნაშრომში შესწავლილია სოფელ დიცის დეთისმშობლის სახელობის ტაძრის კედლებზე ავტორის მიერ აღმოჩენილი ასომთავრული წარწერები. მათში თავმოყრილია ბევრი საინტერესო ინფორმაცია შიდა ქართლის, საქართველოს ამ უძველესი კუთხის შესახებ. IX-X საუკუნეებით დათარიღებული წარწერები პირველად ქვეყნდება და, ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანი იქნება როგორც საკითხით დაინტერესებულ მკვლევართათვის, ისე ფართო მკითხველისათვის. აქვე, ცალკე თავი ეთმობა დიცის შედარებით გვიანდელი პერიოდის (XIX-XX სს) ეპიტაფიებს.

- რედაქტორები:** *ელენე კავლელაშვილი*, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
იოსებ ალიმბარაშვილი, ისტორიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- პონსულტანტი:** *ელდარ მამისთვალაშვილი*, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ტექნიკური რედაქტორი:** *გიორგი ყაზიშვილი*

Current work studies the Asomtavruli inscriptions on Ditsi Saint Mary Virgin church discovered by the author. We can find various interesting information regarding Shida Kartli region, one of the oldest regions of Georgia. It is the first time these IX-X century inscriptions are published and we think that it will be interesting not only for the scientists, but for the wider audience, as separate part of the book is dedicated to the epitaphs of the later period (XIX-XX centuries).

- EDITORS:** *Elene Kavlelashvili*, PhD in Arts Studies
Ioseb Alimbarashvili, PhD in History, Associate Professor
- CONSULTANT:** *Eldar Mamistvalishvili*, PhD in Historical Sciences, Professor
- TECHNICAL EDITOR:** *Giorgi Kazishvili*

« » (,)

I -

(I -)

შესავალი

პატარა ღიახვის ხეობა უძველესი დროიდან იყო დასახლებული. გასულ საუკუნეში ხეობის რამდენიმე სოფელში ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები, მათ შორის სოფელ ფრისში (რომელიც ესაზღვრება პატარა ღიახვის ხეობას). 1959 წელს ფრისის ჩაქცეულ ყორღანში არქეოლოგებმა (ხელმძ. ბ. ტეხოვი) ადამიანთა და ცხოველთა ძეგლები, ასევე ბრინჯაოს ხანის თიხის ხუთი ჭურჭელი აღმოაჩინეს. ფრისის სამარხში აღმოჩნდა ხანჯლის პირი, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული მთელს ამიერკავკასიაში. ბ. ტეხოვის განმარტებით ფრისის ყორღანი კოლექტიურ სამარხს წარმოადგენდა.¹

არქეოლოგიური გათხრები 1938-1940 წ.წ პროფ. ს. მაკალათიას ხელმძღვანელობით ჩატარდა სოფ. ტყვიავშიც, ე. წ. ხარის გორაზე. ტყვიავის ყორღანული სამარხი, რომელშიც სხვადასხვა სახის კერამიკული ნაწარმი, ლითონის ნივთები, ობსიდიანისა და კაჟის საჭრისები, ასევე საფხეკები აღმოჩნდა, ადრე ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება და ძვ. წ. 2500 წლით დათარიღდა.² ტერიტორიას, რომელსაც პატარა ღიახვის ხეობა მოიცავდა, შუა საუკუნეების განმავლობაში ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ამას განაპირობებდა პატარა ღიახვის ხეობის სტრატეგიული მდებარეობა, ხეობის დამაკავშირებელი გზები, როგორც ქვეყნის სხვა კუთხეებთან (ქსნის ხეობა, დასავლეთ საქართველო), ისე ჩრდილოეთ კავკასიასთან. ადრეფეოდალურ ხანაში იგი ორ ნაწილად იყოფოდა: მდ. პატარა ღიახვის ქვემო წელი საისტორიო წყაროებში, კერძოდ, VII საუკუნის ანონიმურ სომხურ გე-

¹

, ., 1963, . 36-37.

² ს. მაკალათია, ღიახვის ხეობა, თბ, 1971, გვ. 8-9. გ. სოსიაშვილი, ნარკვევები ღიახვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 7.

ოგრაფიაში „ქორდითირიკოს ხევის“ სახელით იხსენიება,³ პატარა ლიახვის შუა და ზემო წელი კი „საცხუმეთის“ სახელით იყო ცნობილი. ჯ. გვასალიას განმარტებით, „საცხუმეთი“ პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირს ეწოდებოდა.⁴ ტოპონიმ „საცხუმეთს“ ჯ. გვასალია სვანურ ენას უკავშირებს. როგორც მკვლევარი განმარტავს, „ცხუმი“ სვანურად რცხილას აღნიშნავს. სვანური ფუძე „ცხუმი“ ქართული მწარმოებლებით გაფორმდა, რის შედეგადაც მივიღეთ ტოპონიმი „საცხუმეთი“.⁵ საცხუმეთის მსგავსად, ზანურ-სვანურ ენასთან პატარა ლიახვისა და ქსნის ხეობებში არაერთი ტოპონიმი დაკავშირებული. მაგ.: ლარგვისი, გერი და სხვ.⁶ შიდა ქართლში ზანურ-სვანური ტოპონიმების არსებობასთან დაკავშირებით ჯ. გვასალია მიიჩნევს, რომ „თუ უფრო ადრეული ხანიდან არა, გვიანი ბრინჯაოს ხანიდან მაინც დასავლეთ საქართველოსა და შიდა ქართლის მოსახლეობა არქეოლოგიურ კულტურათა მიხედვით, კულტურულ-ეთნიკურად მჭიდროდაა დაკავშირებული.“⁷ დასავლეთ საქართველოს მჭიდრო კავშირი შიდა ქართლთან, კერძოდ, დიდი და პატარა ლიახვის, ასევე ქსნის ხეობებთან, არა მარტო ონომასტიკური მასალით, არამედ საისტორიო წყაროებითაც დასტურდება. ადრევეოდალურ პერიოდში აფხაზთა მეფეები დიდი და პატარა ლიახვის ხეობების საშუალებით გადმოდიოდნენ აღმოსავლეთ საქართველოში და აწარმოებდნენ ბრძოლას ჰერეთის შემოსაერთებლად, ამას ადასტურებს ერედვის 906-914 წლების წარწერა. (ამაზე ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ). პატარა ლიახვის ხეობა ჩრდილო-აღმოსავლეთით ქსნის ხეობას ესაზღვრება,

³ ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, წიგნი I, თბ., 1924, გვ. 40.

⁴ ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 25.

⁵ ჯ. გვასალია, დასახ. ნაშრომი, გვ. 165-166.

⁶ ჯ. გვასალია, დასახ. ნაშრომი, გვ. 166; გ. სოსიაშვილი, შიდა ქართლის ზოგიერთი ტოპონიმის შესახებ, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, არნოდლ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, პროფესორ გენადი ბურჭულაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, კონფერენციის მასალები, 2012, გვ. 211-216.

⁷ ჯ. გვასალია, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

სადაც გვიანფეოდალურ ხანაში ქსნის საერისთავო არსებობდა, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით დიდი ღიახვის ხეობას ემიჯნება. XV საუკუნიდან მოყოლებული ეს ტერიტორია ქართლის ერთ-ერთ ძლიერ სათავადოს – სამაჩაბლოს ეკუთვნოდა. XV-XVIII საუკუნეებში ქსნის ერისთავებმა კიდევ უფრო გააფართოვეს თავიანთი საფეოდალოს საზღვრები, მათი ექსპანსია მიმართული იყო შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთით, დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით. ქსნის ერისთავებმა დიდი ღიახვის ხეობის სათავეში თავიანთ მფლობელობაში მოაქციეს მადრანდვალეთი, ხოლო პატარა ღიახვის ხეობაში სავახტანგო და გვერდისძირი.⁸ 1777 წელს ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე II ქსნის საერისთავო გააუქმა და პატარა ღიახვის ხეობა იულონ ბატონიშვილს უბოძა.⁹ იულონ ერეკლეს ძე პატარა ღიახვის ხეობაში არსებულ სოფელ ბელოთში დამკვიდრდა.¹⁰

⁸ ჯ. გვასალია, დასახ. ნაშრომი, გვ. 10. ძნელია, ტერმინ „სავახტანგოს“ ზუსტი განმარტება. ვახუშტი ბატონიშვილი „სავახტანგოს“ პატარა ღიახვის ხეობის ერთ ნაწილს უწოდებს: „უწოდებენ ვანათითურთ სავახტანგოს“. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 362-363. აღნიშნულ ტერმინს ვხვდებით ასევე XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსის – ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებაში. მისი გადმოცემით, ქართლის მოურავის გიორგი სააკაძის ოსმალეთში გადახვეწის შემდეგ სვიმონ მეფემ ზურაბ არაგვის ერისთავს „ზოგ-ზოგი სავახტანგო სოფლები“ უბოძა. ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, ტ. II, თბ., 1925, გვ. 236. არ არის გამორიცხული, რომ „სავახტანგო“ პროვინციის რომელიმე მეფე ვახტანგთან იყოს დაკავშირებული. ერთ-ერთი ასეთი პროვინციის მეფე იყო ვახტანგ IV, აღექსანდრე I დიდის ვაჟი, ხოლო მეორე გიორგი VIII ძე ვახტანგი. დ. ნინიძე, პროვინციის მეფეები, თბ., 1995, გვ. 135, 161. რაც შეეხება „გვერდისძირს“, იგი მდ. პატარა ღიახვს და მდ. მეჯუდას შუა წელს შორის მდებარე ტერიტორიას აღნიშნავდა. ჯ. გვასალია, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

⁹ მასალები საქართველოს ისტორიისათვის შეკრებილი ბატონიშვილის დავითის და მის ძმებისა, 1744-1844 წ.წ. ტფ., 1906, გვ. 15.

¹⁰ იოანე ქართველიშვილი, მემუარები, ავთ. იოსელიანის გამოკვლევით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1955, გვ. 81.

როგორც აღვნიშნეთ, პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირს საცხუმეთი ეწოდებოდა, ხოლო პატარა ლიახვსა და მეჯუდას შუა წელს შორის მდებარე ტერიტორია კი გვერდისძირის სახელით იყო ცნობილი.

X საუკუნეში პოლიტიკურ ასპარეზზე ქართლის დიდაზნაურებს შორის ყანჩაელთა გვარი დაწინაურდა. მეჯუდის ხეობაში სოფელ ბიეთის ტაძრის საამშენებლო წარწერაში იხსენიება ერისთავთ-ერისთავი იოანე ძე ბაკურ ყანჩაელისა. არ არის გამორიცხული, რომ ყანჩაელთა საფეოდალოს გაელენა პატარა ლიახვის ხეობის გარკვეულ ნაწილზეც ვრცელდებოდა. X საუკუნის დასაწყისში ქართლის ფეოდალურ საგვარეულოთა შორის განსაკუთრებით დაწინაურდნენ ტბელები. მათი სახლის წარმომადგენელი, ივანე, აფხაზთა მეფეების მოკავშირე გახდა და მათგან სამართავად ქართლი გადაეცა. ის ქართლის „უფლად“ იწოდებოდა, ამას ადასტურებს ერედვის წმინდა გიორგი ტაძრის წარწერა. ტბელთა ფეოდალურ გვართან X საუკუნის განმავლობაში დიდი და პატარა ლიახვის ხეობის სოფლებში არაერთი ტაძრის აგებაა დაკავშირებული. ძეგლებზე მიკვლეული ლაპიდარული წარწერები IX-X საუკუნეების შიდა ქართლის, და, ზოგადად, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ უაღრესად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, რაც არაერთი მეცნიერის კვლევის საგანი გახდა. პატარა ლიახვის ხეობის სოფლების ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლის მიზნით ჩვენს ისტორიოგრაფიაში არაერთი ნაშრომი შექმნილი, ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ს. მაკალათიას და ი. მეგრელიძის ღვაწლი, რომლებმაც დიდი და პატარა ლიახვის ხეობის სოფლების ისტორიის, აქ არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლას არაერთი წელი შეაღწიეს.¹¹

¹¹ ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, თბ., 1971; ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. I, თბ., 1984; ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, თბ., 1997; ი. მეგრელიძე, სტალინისა და ზემონიქოზის სიძველეები, სტალინის სახელმწ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბ., 1952, გვ. 245-313; ი. მეგრელიძე, მდინარე დიდი ლიახვის მარცხენა ნაპირის სიძველეები და მათი წარწერები, თბ. ა. ს. პუშკინის

პატარა ლიახვის ხეობის ისტორიით ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში დაინტერესდით. ხეობაში შემავალი სოფლების შესახებ ჩვენ მიერ მოძიებული მასალები სხვადასხვა გამოცემებში იბეჭდებოდა. გამოქვეყნდა ცალკე წიგნების სახითაც.¹² პატარა ლიახვის ხეობის სოფლების შესწავლის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო სოფელმა დიცმა, მის შესახებ წლების განმავლობაში ვაგროვებდით დოკუმენტურ მასალებს, დიცის ისტორია საბოლოოდ მონოგრაფიის სახით გამოვეცით.¹³ თუმცა, უკანასკნელ პერიოდში ჩვენ მიერ დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის კედლებზე მიკვლეულმა ასომთავრულმა წარწერებმა გადაგვაწყვეტინა, რომ ამ თემის ირგვლივ კვლევა გაგვეგრძელებინა. ძველი წარწერების აღმოჩენამ არა მარტო სოფელ დიცის ისტორია შეცვალა, არამედ ახალი ფურცლებით გაამდიდრა პატარა ლიახვის ხეობის და, ზოგადად, შიდა ქართლის, ჩვენი ქვეყნის ამ უძველესი კუთხის ადრეფეოდალური პერიოდის ისტორია. დიცის წარწერებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ დიდი და პატარა ლიახვის ხეობის სოფლებში არსებულ სიძველეებსა და ძველ ქართულ წარწერებზე (მაგ.: ერედვის, ტბეთის და სხვ.) ქართველ მეცნიერებს ხელი აღარ მიუწვდებათ. ქართული კულტურის ბევრი უნიკალური ძეგლი, ჩვენი ისტორიის ცოცხალი მოწმე და მატრიანე საოკუპაციო ხაზის მიღმა მოექცა. სოფელი დიცი ე.წ. გამყოფ ხაზს ემიჯნება. აღნიშნულ სოფელში ასომთავრული წარწერების აღმოჩენა, ვფიქრობთ, მრავლის მეტყველია, რაც ნათლად გვიდასტურებს უძველეს დროში პატარა ლიახვის ხეობის ამ არეალში ქართველთა ცხოვრების უწყვე-

სახ. თბილისის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. IX, თბ., 1957, გვ. 81-92; ი. მეგრელიძე, ლიახვის ხეობის წარწერები და სხვა სიძველეები, მაცნე (ისტორიის სერია), №4, თბ., 1971.

¹² გ. სოსიაშვილი, ვანათის ისტორიიდან, თბ., 2005; გ. სოსიაშვილი, პატარა ლიახვის ხეობის ისტორიიდან, (სოფელი ქორდი), თბ., 2007; გ. სოსიაშვილი, ნარკვევები პატარა ლიახვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2011.

¹³ გ. სოსიაშვილი, დიცის ისტორია, თბ., 2010.

ტობას, მათ რელიგიურ-კულტურულ საქმიანობას. წარწერებზე მუშაობისას დახმარება გაავიწიეს: ისტორიის მაგისტრმა ნ. ხარშილაძემ, ისტორიის აკადემიურმა დოქტორმა თ. გოგოლაძემ, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებულიმა პროფესორმა იოსებ ალიმბარაშვილმა, რისთვისაც მათ გულწრფელ მადლობას ვუხდით. განსაკუთრებული მადლიერებით გვინდა მოვიხსენიოთ დეაწლმოსილი მეცნიერი, შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ელენე კაველაშვილი, რომელმაც წარწერების ამოკითხვის დროს, ასევე ტექსტების პალეოგრაფიული აღწერისას ბევრი საინტერესო რჩევა მოგვცა. წიგნის რუსულენოვანი თარგმანი მოამზადა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომელმა ვიქტორ ქარქაშაძემ, ხოლო ინგლისურენოვანი თარგმანი – ზურაბ ზურაბაშვილმა, რისთვისაც მათ მადლობას ვუხდით.

დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი შეუსწავლელია. არ არის გამორიცხული, რომ ასეთივე წარწერები კიდევ აღმოჩნდეს, რაც ამ უძველესი კუთხის ისტორიას ბევრ საინტერესო ფურცელს შემატებს. აქვე, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ არ გვაქვს ასომთავრულ წარწერებზე მუშაობის მდიდარი გამოცდილება, ნაშრომი დაზღვეული არ არის გარკვეული უზუსტობებისაგან, ამიტომ თითოეული საქმიანი შენიშვნა გაზიარებული და გათვალისწინებული იქნება.

დიცის სიძველეები

სოფ. დიცის ტერიტორიაზე არაერთი ხუროთმოძღვრული ძეგლია შემორჩენილი. მათ შორის **გალაგნის** ფრაგმენტი (ტაბ. I. 1.) რომლის სამხრეთის კედელს სათოფურები აქვს დატანილი. გადმოცემით, დიცის გალაგანში გარკვეული პერიოდი დაუყვია გიორგი სააკაძეს, რომელსაც მეფისაგან ტფილისის, ცხინვალის და დვალეთის მოურავობა ჰქონდა ჩაბარებული. დიცის გალაგანს განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა ქართლში „ლეკიანობის“ გავრცელების შემდეგ, როგორც ჩანს, ლეკთა შემოსევების დროს აქ სოფელი თავს აფარებდა. ერეკლე II ბრძანების მიხედვით, დიცი, პატარა ღიახვის ხეობის რამდენიმე სოფელთან ერთად, ლეკთა წინააღმდეგ შექმნილ ერთ-ერთ სამდევროში შედიოდა.¹⁴ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დიცის გალაგანი კოლმეურნეობის ბეგლად იყო გამოყენებული. ზეპირი გადმოცემების გარდა, დიცის გალაგნის შესახებ რაიმე ცნობები ნარატიულ, ან დოკუმენტურ წყაროებში არ გვხვდება. სოფლის მკვიდრთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დიცის ციხე-გალაგანიდან გვირაბი გადიოდა სოფლის დასავლეთ ნაწილში არსებულ „გორეებზე“. (ტაბ. I. 2.)* ეს არის დაახლოებით 100 კვ.მ ფართობის შემადგენელი ადგილი, რომელიც დაფარულია ბუჩქნარით. XX საუკუნის 90-იან წლებში ადგილობრივი ახალგაზრდების ინიციატივით გაწმენდითი სამუშაოები დაიწყო, თუმცა, მალე შეწყდა. ტერი-

¹⁴ გ. სოსიაშვილი, დიცის ისტორია, გვ. 133-134; დ. გვრიტიშვილი, ფოლკლორი საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 297.

* ციხე-გალაგნის სამხრეთით, სოფლის ერთ-ერთ უბანში, დიცის მკვიდრის 1929 წ. დაბ. ილია სოსიაშვილის გადმოცემით, სახლის საძირკვლის ამოთხრის დროს მიწა ჩაინგრა და, სავარაუდოდ, გვირაბის ნაწილი გამოჩნდა, ეს ადგილი მშენებლებს ქვევით ამოუვსიათ. გვირაბის არსებობას სოფლის სხვა მაცხოვრებლებიც ადასტურებენ. როგორც 1972 წ. დაბ. ნარიმან სოსიაშვილმა მიაგმო: „გვირაბის გარკვეულ მონაკვეთში აქაურები ჩადიდნენ, თუმცა მერე სინათლე უქრებოდათ და ბოლომდე ვერ ახერხებდნენ გასვლას“.

ტორიის გაწმენდის დროს აღმოჩნდა მიწაში თლილი ქვებით ამოყვანილი კედლები. „გორეების“ მთელი ფართობი ნანგრევებით არის მოფენილი. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, XX საუკუნის I ნახევარში, როდესაც კოლმეურნეობა „გორეების“ ირგვლივ არსებულ მინდორს ამუშავებდა, დიდი რაოდენობით სამეთუნეო ნაწარმი აღმოჩნდა, მათ შორის: დოქები და ქვევრების ფრაგმენტები, რომლებიც უყურადღებობით განადგურდა. „გორეების“ მიდამოებში დღესაც გვხვდება თიხის ჭურჭლის ნაშთები. „გორეებს“ ჩრდილოეთით, დაახლ. 2-3 კმ-ის დაშორებით ფრისის ტერიტორია ესაზღვრება, აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის 50-ან წლებში ფრისში შუაბრინჯაოს პერიოდის ყორღანული სამარხი იქნა აღმოჩენილი და შესწავლილი. ფრისის ყორღანი კოლექტიურ სამარხს წარმოადგენდა, სადაც არქეოლოგიურ გათხრებს 1959 წელს ბ. ტეხოვი აწარმოებდა. ჩაქცეულ ყორღანში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, რომელიც ახლო ანალოგიას პოულობს საჩხერის ადრეული ბრინჯაოს ხანის კერამიკასთან.¹⁵

1938-1940 წ.წ გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძ. პროფ. ს. მაკალათია) სოფელ ტყვიავში (დიციდან 7 კმ. მოშორებით მდ. პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირზე) „ხარის გორის“ სახელწოდებით ცნობილი ადრეული ბრინჯაოს პერიოდის სამარხთა კომპლექსი შეისწავლა.¹⁶ არ არის გამორიცხული, რომ სოფელ დიცში არსებული „გორეები“ ასეთივე კომპლექსს წარმოადგენდა, თუმცა, არქეოლოგიური გათხრების ჩატარებამდე ამის თქმა გადაჭრით ძნელია.* სოფელ დიცში არაერთი ქრისტიანული ტაძარია შემორჩენილი, რომელთაგან აღსანიშნავია **მთავარანგელოზის** ეკლესია. (ტაბ. II. 1) იგი მცირე ზომის, ერთნავიანი ბაზილიკური ტი-

¹⁵

, ., 1963, . 36-37.

¹⁶ ს. მაკალათია, ლიახვის ხეობა, თბ., 1971, გვ. 9.

* აღსანიშნავია, რომ სოფლის ზოგიერთი მკვიდრის გადმოცემით „გორეებზე“ უწინ „ხორველით“ (ქოლერა) დაღუპული ადამიანები დაუკრძალავთ და მათი სამარხი დაავადების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით დულაბით ამოუესიათ. (გადმოცემა ჩაფიწერეთ 1952 წ. დაბ. ლ. მისურადისაგან).

პის ძეგლია. ნაგებია საკმაოდ დაუხვეწავი ხელით. სამშენებლო მასალად გამოყენებულია რიყის ქვა, კუთხეებში ჩატანებულია თლილი, ღვინისფერი ქვები (ასეთივე ქვებია გამოყენებული ღვთისმშობლის სახელობის ტაძარზეც). აღმოსავლეთის კედლის კუთხეებში გამოყვანილია თახჩები, სადაც ჩაყოლილია თიხის ჭურჭელი. ეს ეკლესია, დიცში მცხოვრები ხანდაზმული ადამიანების გადმოცემით, ბოლშევიკთა აქტიურ მხარდამჭერებს დაუნგრევიათ. მათივე ინფორმაციით, 1924 წლის ცნობილი აჯანყების დროს, ქაქუცა ჩოლოყაშვილის მომხრეებს, დიცში, მთავარანგელოზის ტაძრის სიახლოვეს, მიწაში იარაღი ჩაუმარხავეთ. გასულ წლებში ადგილობრივი ახალგაზრდობის ინიციატივით დანგრეული ტაძარი გასუფთავდა და გამოჩნდა ბრტყელი ქვით მოპირკეთებული საკურთხეველი, აქვე იყო დაზიანებული სვეტის ფრაგმენტი. გარეგნული დათვალიერებით, მთავარანგელოზის ტაძარი IX-X საუკუნეების ნაგებობა უნდა იყოს. ტაძარი მოცულობით მცირე ზომისაა. ინტერესს იწვევს ტაძართან ნაპოვნი სვეტის ფრაგმენტი, ასევე ტაძრის სიახლოვეს არსებული დუღაბის ნაწილი, რაც, სავარაუდოდ, გადახურვისთვის იყო გამოყენებული. თუმცა, იმდენად დიდი ზომისაა, რომ ასეთი პატარა ტაძრისთვის მისი გამოყენება კითხვებს აჩენს. არ არის გამორიცხული, რომ ტაძართან სხვა ნაგებობაც იდგა. ეს ალბათ სამომავლო შესწავლის საგანი უნდა გახდეს. ტაძრის გარშემო ტერიტორია მიწით არის დაფარული და მისი კედლების დაახლ. 0.5 მ. მიწაშია მოქცეული. მიუხედავად იმისა, რომ ნაგებობა ძლიერ დაზიანებულია, ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლების ფრაგმენტებზე დაკვირვებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკლესია გადახურული იყო ნახევრად ცილინდრული კამარით. ძეგლის გაწმენდისას აღმოჩნდა ადამიანის ჩონჩხის ფრაგმენტები, მათ შორის ძლიერ დაზიანებული თავის ქალის ნაწილი. მიცვალებული ტაძრის შესასვლელში იყო დაკრძალული, რადგან იქვე იქნა მიკვლეული სამარხის თავსარქველი – მასიური თლილი ქვა.

მთავარანგელოზის ტაძრის გარდა, დიცში კიდევ რამდენიმე საკულტო ადგილია, მათ შორის **ლომისის ნიში**, რომელიც დიდი ლომისის სალოცავიდან უნდა იყოს გადმოტანილი. (ტაბ. II. 2.) ლომისის საკულტო ტერიტორიაზე (ჩრდილოეთ მხარეს)

შემორჩენილია სალოცავის ნანგრევები, რომელიც ამჟამად მიწითაა დაფარული. დიციის „ლომისას“ აღწერს ი. მეგრელიძე. იგი წერს: „სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს დიციის მთავარანგელოზის ეკლესიის ნანგრევი. მას იქით საკულტო ადგილს ლომისას უწოდებენ. იქ ნაგებობა აღარ არის, დგას დიდი კაკლის ხე“¹⁷. ლომისას ნიშთან XX საუკუნის 90-იან წლებში, წმინდა გიორგის თეთრი მარმარილოს სტელა დადგა დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა (ტაბ. III. 1.), ხოლო 2002 წელს, ამ ადგილზე მცირე ზომის ეკლესია აშენდა სოფ. დიციის მკვიდრის კუკური მარკოზაშვილის ფინანსური ხელშეწყობით (ტაბ. II. 2.) სალოცავის გზა შეაკეთა ვალერი მარკოზაშვილმა. ლომისას წმინდა გიორგი დიციში მცხოვრები მარკოზაშვილების სალოცავად ითვლება. დოკუმენტების მიხედვით, მარკოზაშვილების საგვარეულო აღნიშნულ სოფელში 1700 წლიდან დასტურდება. 1700 წლის საამილახვროსა და გაღმა ღიახვის ხალხის კოდისპურის გამოსავლის დავთარში იხსენიება პაპუნა მარკოზისშვილი.¹⁸ ლომისის წმინდა გიორგის ძველი სამლოცველო (შესაძლებელია ნიში), რომელიც დღემდე შემორჩენილი აღარ არის, სავარაუდოდ, მარკოზაშვილებმა ააშენეს. შესაძლოა, მათ სახელს უკავშირდებოდეს ასევე ლომისის წმინდა გიორგის მთავარი სალოცავიდან აქ ნიშის გადმოტანა. (არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული გვარი არაგვის ხეობიდან გადმოსახლდა და დიციში ლომისას ნიშიც მათ გადმოიტანეს, აღსანიშნავია, რომ „ლომისობას“ დიციში განსაკუთრებულად მარკოზაშვილები აღნიშნავენ).

მეორე საკულტო ადგილი – **ატოცის წმინდა გიორგის ნიში** სოფლის შუაგულშია. გადმოცემით, ნიში ქარელის რაიონის სოფელ ატოციდან XIX საუკუნეში გადმოუტანიათ,¹⁹ როდესაც მლოცველები არბოს წმინდა გიორგის ტაძრიდან წამოვიდოდნენ, დიციში ატოცის ნიშთან უნდა შეჩერებულიყვნენ და ელო-

¹⁷ ი. მეგრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

¹⁸ გ. სოსიაშვილი, დიციის ისტორია, თბ., 2010, გვ. 35.

¹⁹ გ. სოსიაშვილი, დიციის სიძველეები და რელიგიური ცხოვრება, გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული, №2, 2011, გვ. 115.

ცათ. გადმოცემა 2007 წელს ჩავიწერეთ 1913 წელს დაბ. ლ. ყორანაშვილისაგან). 2004 წელს დიცის მკვიდრების მიხედვით და ბიძინა ბიძინაშვილების ინიციატივით მათი პაპის – ვლადიმერ მაღალდაძის საცხოვრებელი სახლის ეზოში, იქ, სადაც ატოცის წმინდა გიორგის ნიშია, აგურის მცირე სალოცავი აიგო (ტაბ. III. 2.) სოფლის ერთ-ერთ უბანში (ამ უბანს ცხინვალის უბანს უწოდებენ, რადგან აქედან ცხინვალთან დამაკავშირებელი მოკლე გზა გადის) შემორჩენილია უზარმაზარი ღვინისფერი (ერედვის) ქვა, როგორც აქ მცხოვრებნი გადმოგვცემენ, ეს ქვა ერედვში არსებული მცხეთიჯვრის სალოცავის ნიშია (ტაბ. IV. 1.)

ხანდაზმულ ადამიანთა გადმოცემით დიცში არსებობდა **ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ხის ეკლესია**. იგი საკრებულოს გამგეობის შენობასთან მდებარეობდა. სოფლის მკვიდრთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ტაძრის ირგვლივ მოუნათლავი ბავშვების სასაფლაო იყო. ღვთისმშობლის სახელობის ხის ეკლესია გასაბჭოების შემდეგ დაშალეს. ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივით, 2010 წელს ხის ეკლესიის ადგილას ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი აშენდა (ტაბ. IV. 2).

დიცის მატერიალური კულტურის ძეგლთაგან მოცულობით და სიძველით გამოირჩევა **ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი** (ტაბ. V. 1). დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი სამეცნიერო ლიტერატურაში გვიანდელი ფეოდალური ხანით იყო დათარიღებული. ძეგლის მოკლე აღწერა მოგვცა შ. ნათაძემ, იგი წერს: „ღვთისმშობლის ეკლესია არქიტექტორული ძეგლი, დგას სოფლის განაპირას, სამხრეთ-დასავლეთით, სასაფლაოზე. სავარაუდოდ თარიღდება გვიანდ. ფეოდ. ხანით. ეკლესია დარბაზულია (10,7-6, 1 მ), ნაგებია რიყის ქვით, კედლის კუთხეები და სარკმლები თლილი ქვისაა. შესასვლელი სამხრეთით და დასავლეთითაა. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ვიწრო სარკმელია, რომლის ორივე მხარეს თაღოვანი ნიშებია. ორი სარკმელი სამხრ. კედელშია. დარბაზი გადახურულია ცილინდრული კამარით. ეკლესია შიგნით და გარეთ შელესილია. დას. კედლის ფრონტონის თავზე მოგვიანებით და-

უშენებიან ოთხივე მხარეს სწორკუთხა დიადებით გახსნილი სამრეკლო, რასაც პირამიდული სახურავი აქვს. სამრეკლო ამჟამად გადახურულია თუნუქით. ეკლესიის ორფერდა სახურავი ღარიანი კრამიტისაა. შემორჩენილია ეკლესიის სამხრ-ისა (სარკმლისა და გადახურვის ფრაგმენტები) და დას-ის მინაშენების ნანგრევები²⁰. ძეგლი სოფლის სამხრეთ-დასავლეთით სასაფლაოს შუაგულში შემადღებულ ადგილზე მდებარეობს. აღნიშნული ეკლესია აღწერილი აქვს ი. მეგრელიძეს. მკვლევარი წერდა: „აქ, სიძველეთაგან ღვთისმშობლის გუმბათიანი ეკლესიაა, რომლის კუთხის ქვები თლილია, სხვა კი გაუთლელი. ნაგებობის აღმოსავლეთ კედელში ერთი სარკმელია, რომლის ჩარჩოსაც გარემხრივ კბილებრივი ჩუქურთმა აქვს. შენობას სამხრეთიდან მთელ სივრცეზე ახლავს ქვემოთ მინაგები, კარიც აქედანაა და ამავე კედელში ორი სარკმელია მხატვრული ჩარჩოებით ქვაზევე“²¹. სამხრეთ მხარეს მინაგების კვალი ტაძარს მართლაც ეტყობა.

დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარს, ერედვის წმინდა გიორგის და ერედვის ბერის საყდრის მსგავსად, სავარაუდოდ, გარშემოსავლელი ჰქონდა. დღეისათვის შემორჩენილი ცენტრალური ნაწილი დარბაზულ ეკლესიას წარმოადგენს. დიცის ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთ კარს დეკორი ამშვენებს.

შიდა სივრცის დეკორატიულად მორთვასთან დაკავშირებით საინტერესო დაკვირვება ჰქონდა რ. მეფისაშვილს, რომელიც ერედვის ბერის საყდართან (X საუკუნის შუა წლები) დაკავშირებით წერდა: „ბერის საყდრის გარშემოსავლელი, როგორც აღნიშნული იყო ზემოთ, წარმოადგენდა კარგად ნაგებ გალერეას, პარადული და ორთაღოვანი შესასვლელით და დეკორატიულად გამოყოფილი შუა ეკლესიის სამხრეთ კართ. ამგვარი გადაწყვეტის პირდაპირ პარალელს ერედვის წმ. გიორგის ეკლესიაში ვხედავთ. შიდა სივრცის დეკორატიულად მორთვის ხერხი საერთოდ IX-X საუკუნეებისა და XI საუკუნის და-

²⁰ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ., 1990, გვ. 65.

²¹ ი. მეგრელიძე, სიძველეები ღიახვის ხეობაში, ტ. II, თბ., 1997, გვ. 15.

საწყის ხანას უკავშირდება.²² ჩვენი აზრით, დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარს, გარშემოსავლელი ჰქონდა, რომელიც დროთა განმავლობაში დაინგრა და მიწით დაიფარა. ძეგლების ეს ტიპი, როგორც გ. ჩუბინაშვილი შენიშნავდა, საქართველოში იყო წარმომოხილადი, მისი პირველი მაგალითები VI საუკუნეს მიეკუთვნება. ძეგლის ამ სახემ მხატვრულ დასასრულს VII საუკუნეში მიადწია. ასეთი ტიპის ძეგლები XI საუკუნის შემდეგ აღარ გვხვდება.²³ გარეგნული დათვალიერების შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ ტაძარს აღდგენის კვალი ეტყობა. ის სავარაუდოდ კუთხეებში ჩატანებული ქვით იყო აგებული, ხოლო დანგრევის შემდეგ რიყის ქვით აღადგინეს. ტაძრის ირგვლივ ღვინისფერი ქვები მრავლად გვხვდება. აღდგენის შემდეგ ეკლესია, როგორც ჩანს, გაუღესავთ კიდევ. ბათქაშის კვალი აღმოსავლეთ კედელზე ახლაც არის შემორჩენილი. დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარს ი. მეგრელიძე გუმბათიან ნაგებობად იხსენიებს. ჩვენი აზრით, მკვლევარი გუმბათში ალბათ სამრეკლოს უნდა გულისხმობდეს, რომელიც დღეს აღარ არსებობს. დიცის ღვთისმშობლის ტაძრის არქიტექტურული სტილი გუმბათს არ ითვალისწინებს.* დიცის ღვთისმშობლის ტაძარი დანგრევის პირას იყო მისული და XX საუკუნის 90-იან წლებში ადგილობრივი ახალგაზრდების (გ. მაისურაძე, მ. ყორანაშვილი და სხვ.) ინიციატივით თუნუქით გადაიხურა. დიცის ეკლესიის აღწერისას ი. მეგრელიძეს არ აქვს ნახსენები ღვთისმშობლის ეკლესიის მეორე, დასავლეთის კარი, რომელიც მის მიერ ტაძრის მონახულების დროს გაუქმებული იყო და XX საუკუნის 90-იან წლებში აქაურმა ახალგაზრდობამ ტაძრის შემოგარენის დასუფთავების შემდეგ აღმოაჩინა. რო-

²² რ. მეფისაშვილი, ბერის საყდარი, ქართული ხელოვნება, №7, 1971, გვ. 98.

²³ გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, თბ., 1936, გვ. 118.

* როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლები გადმოგვცემენ, ეკლესიისათვის სამრეკლო კომუნიტების დროს, პარტიის ერთ-ერთ აქაურ აქტივისტს მოუხერგვია. ადგილობრივმა ბოლშევიკებმა ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის სამრეკლოდან ზარიც ჩამოსხნეს, რომელიც დღემდე დიცის სკოლაშია.

გორც ი. მეგრელიძე აღწერს, ტაძრის სამხრეთ კედელს მთელ სიგრძეზე გასდევდა მინაგები. დღეის მდგომარეობით ტაძარზე მიშენებული ნაგებობის მხოლოდ ფრაგმენტია. მინაგები ჩამოქცეულია ტაძრის სამხრეთ კარიბჭემდე (ტაბ. VI. 1), მინაგების კედლის ნაწილი ჩანს არა მარტო სამხრეთ კედლის გასწვრივ, არამედ დასავლეთ მხარესაც. სამხრეთ მინაგების შემორჩენილ ფრაგმენტში ჩრდილოეთის კედელზე თახჩაა გამოკვეთილი. ტაძრის ირგვლივ, კორდოვანი ფენით დაფარული შემადღებებია. როგორც ჩანს, ღვთისმშობლის ტაძარი ცალკე მდგომი ნაგებობა არ იყო და მის ირგვლივ გარკვეული არქიტექტურული კომპლექსი არსებობდა. ამ კომპლექსის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს ტაძრიდან მოშორებით აღმოჩენილი საამშენებლო ხასიათის ქვები. ზედაპირული დათვალიერების დროს შემადღებული ადგილის ფერდობზე შევნიშნეთ დაახ. 1.5 მ სიგრძის მასიური ღვინისფერი ქვა. ქვა ზედა ნაწილში ორ ადგილას გახვრეტილია (ტაბ. VI. 2). ნახვის დროს ის მიწაში იყო ჩაფლული და მომუშავე ჯგუფის მიერ გაიწმინდა. იქვე, დუღაბის ფრაგმენტიც აღმოჩნდა. საამშენებლო ქვები ტაძრის ჩრდილოეთით, დაახლოებით 20-მ-ის დაშორებით სასაფლაოს ღობესთანაც შევნიშნეთ. კედლის დიდი, მასიური ქვა, ნახევრად მიწაში იყო მოქცეული. სამუშაო ჯგუფის მიერ ქვა მიწიდან იქნა ამოღებული. ქვის ზედა ნაწილი გადატეხილია. ქვას ნაპირებზე ყვავილიანი დეკორი ამშვენებს (ტაბ. VII. 1). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომელიც დიციის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის სამხრეთ კარიბჭის ქვაზე დღემდე შემორჩენილ ერბოს წასმის ტრადიციაზე მეტყველებს (ტაბ. V. 2). ეს რიტუალი უძველეს დროში არსებულ ნაყოფიერების კულტის არსებობას უნდა უკავშირდებოდეს. არ არის გამორიცხული, რომ ამ ადგილზე უწინ წარმართული სამლოცველოც არსებობდა.* საინტერესოა, რომ ერბოს, ან კარაქის წასმის ტრადიცია არსებობდა ერედვის წმინდა გიორგის ტაძრის შესასვლელში, სადაც ე.წ. „ძუძუს ქვებია“ ამოკვეთილი. ამ საკითხს ყურადღება მიაქცია ვ. თოფუ-

* სოფლის მცხოვრებთა წარმოდგენით ერბოს ჩამოტანა და ღვთისმშობლის ტაძრის შესასვლელზე წასმა ოჯახს მთელი წლის განმავლობაში ბარაქას მოუტანს.

რიამ, რომელიც წერს: „საყურადღებოა, რომ ზედა ნაწილზე (თავზე) 16 მსხლისებრი სიმრგვალება გამოჭრილი, რომლებიც ხალხის რწმენით ძუძუებს წარმოადგენენ. ურძეო ქალები მათ კარაქს უსვამენ, რომ რძე მიეცეთ.“²⁴ როგორც მკვლევარი განმარტავს, ანალოგიური კულტის მატარებელნი არიან ახალქალაქის მახრამში განძისა და მურჯახეთის ძუძუს ქვები.²⁵

XX საუკუნის I მეოთხედში დიციის ღვთისმშობლის ტაძარში ხდებოდა ქორწინების, დაბადების და გარდაცვალების რეგისტრაცია, რომელსაც ადგილობრივი სასულიერო პირები ახორციელებდნენ (ტაბ. VII. 2). აღსანიშნავია, რომ დიციის ღვთისმშობლის ტაძარს თავისი ბეჭედიც ჰქონდა. XX საუკუნის II ნახევარში ეკლესიის ბეჭედი დაიკარგა. იგი ცხინვალში, ერთ-ერთი ადგილობრივი მაცხოვრებლის ოჯახში ინახებოდა, როგორც ჩანს, ბეჭედი მან კერძო პირისაგან შეიძინა.* დღემდე დიციის ეკლესიის ბეჭედი მამა არჩილთან (მინდიაშვილი) ინახება.

დიციის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარს უკავშირდებოდა სოფელში არსებული დღეობა „ღვთისმშობლობა“. 1923 წელს შედგენილ ერთ-ერთ დოკუმენტში: „ცნობები საეკლესიო დღეობების შესახებ“, მითითებულია, რომ დიციში დაწესებული იყო „ღვთისმშობლობა“. დღესასწაული დიციში აღდგომის მეორე დღეს აღინიშნებოდა. „ღვთისმშობლობის“ დღესასწაული მოგვიანებით „გერისტობამ“ ჩაანაცვლა, რაც გერის წმინდა გიორგის სალოცავს უკავშირდებოდა.²⁶

²⁴ ვ. თოფურია, შიდა ქართლის წარწერები, საისტორიო მოამბე, ტ. II, ტფ., 1924, გვ. 131.

²⁵ იქვე.

* ინფორმაცია 2006 წელს მოგვაწოდა ცხინვალის მკვიდრმა 1972 წელს დაბ. ლერი გასიევმა, რისთვისაც მადლობას ვუხდით.

²⁶ საქართველოს სახელმწიფო არქივის ტერიტორიული ორგანო – გორის რაიონული არქივი, ფონდი №3, საბ. №49.

დიცის ეპიტაფიები

დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის გვერდით (ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთით) სოფლის ახალი სასაფლაოა, ხოლო უშუალოდ ეკლესიის ირგვლივ, როგორც ჩანს, ძველი სასაფლაო იყო. ამას მოწმობს ტაძრის სიახლოვეს მიმოფანტული საფლავის ქვები, მათი უმეტესობა XIX საუკუნით თარიღდება. საფლავის ქვების ნაწილი ძველთან ახლოს, შემაღლებულ ადგილზეა. (სავარაუდოდ, აქ უფრო ძველი ფენებიც უნდა იყოს, თუმცა XIX საუკუნეში ძველ ფენაზე სხვა საფლავები გაჩნდა). საფლავებზე მხედრულით შესრულებული ეპიტაფიებია,^{*} რომელთა ნაწილი კარგად იკითხება, ხოლო ნაწილი დაზიანებულია. რამდენიმე ეპიტაფია პროფ. ი. მეგრელიძემ ამოიკითხა.²⁷ ი. მეგრელიძე აღწერს დიცის ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთ კარიბჭესთან არსებულ საფლავის მხატვრულ ქვაზე შესრულებულ ეპიტაფიას:

**„შე უწყალო(,) სოფელო(,) რა უდრო(ო)თ მიგდე მასე
მამაშორე წუთი სოფელს(,)შავს მიწაში დავიმარხე.
(სამხრ.)**

**კარგი ვერ ვნახე(,) დამრჩა დედ(-)მამა მწუნარე
ბითა(,)ასული ანტონა შოშიაშვილისა პელაგია(,)22 წლისა
(ჩრდ.)**

**გარ. 1898 წ. 8 მარამობისა. წამკითხველო(,)შენდობას გველი“
(ტაბ. VIII. 1).^{**} უნდა აღინიშნოს, რომ შოშიაშვილები, დიცში**

^{*} ასეთი ეპიტაფიები დიცის მახლობლად არსებულ პატარა ღიახვის ხეობის სხვა სოფლების სასაფლაოებზეც გვხვდება. იხ. ი. მეგრელიძე, სიძველეები ღიახვის ხეობაში, ტ. II, თბ., 1997, გვ. 23-26.

²⁷ ი. მეგრელიძე, სიძველეები ღიახვის ხეობაში, ტ. II, თბ., 1997, გვ. 15.

^{**} ეს სიტყვა, როგორც ჩანს, წარწერის შემსრულებელს არასწორად ამოუკვეთია, ი. მეგრელიძე სიტყვის ასე წაკითხვას სქოლიოშიც ადასტურებს. ი. მეგრელიძე, სიძველეები ღიახვის ხეობაში, ტ. II, თბ., 1997, გვ. 15. წარწერაში მოხსენიებულ გვართან – შოშიაშვილთან დაკავშირებით მეცნიერი სქოლიოში განმარტავს, რომ „ახლა სოსიაშვილებად იწერებიან“. ი. მეგრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15. რაც ჩვენი აზრით არასწორია. სოსიაშვილები დიცში საკმაოდ ძველი დროიდან ცხოვრობდნენ. აღნიშნული გვარი – სოსიაშვილის ფორმით დიცში

სხვა დოკუმენტურ წყაროებში არ გვხვდება. ი. მეგრელიძის მიერ აღწერილი საფლავის მხატვრულად დამუშავებული ქვები ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით არის. ი. მეგრელიძეს კიდევ ერთი ეპიტაფია უნახავს: „**მეზობელ ქვაზე სამხრეთიდან წერია: აქა განისვენებს ანდრია ბოლა(-)**

შიელის მეუღლე ნინა(,)შობიდ[გან]

21 წლისა

(ჩრდ.)

გარდაიცვალე ამა სოფლიდგან გაუნხარელი(,)ღამრჩა ქმარი(,)დედა(,)

მამა მწუნხარე(,)1898წ.“ (ტაბ. VIII. 2).

მკვლევარი, ამ ეპიტაფიების გარდა, სხვა, შედარებით ახალ ეპიტაფიებსაც იხსენიებს,²⁸ თუმცა, ისინი არ ამოუწერია. საფლავის ქვები შემორჩენილია, როგორც ტაძრის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით (ქვები მიმოფანტულია ტაძრის მინაგები სამხრეთ კედლიდან 10-50 მმ-ის დაშორებით), ასევე ტაძრის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით (ჩრდილოეთ კედლიდან დაახლ. 10-20 მმ. დაშორებით) მხედრულწარწერიანი საფლავის ქვები უმთავრესად XIX საუკუნის II ნახევრით თარიღდება, ნაწილი კი XX საუკუნის დასაწყისისაა.²⁹

გვხვდება 1700 წლის საამილახვროსა და გაღმა ლიახვის ხალხის კოდისპურის გამოსავლის დავთარში. გ. სოსიაშვილი, დიცის ისტორია, გვ. 35; სცსსა, ფ. 1448, საბ. 3602. გვარი „სოსიაშვილი“ იხსენიება უფრო ადრინდელ დოკუმენტებშიც, კერძოდ, 1683 წლის საბუთში გვხვდება პატატი სოსიაშვილი (თუმცა, დოკუმენტში სოფელი მითითებული არ არის) პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. IV, თბ., 2007, გვ. 192. 1692 წლის დოკუმენტებში იხსენიება პატატი, მახარებელი, ბერუკა და ტატია სოსიაშვილები. იქვე. ი. მეგრელიძის მიერ ღვთისმშობლის ტაძართან არსებულ საფლავის ქვის ეპიტაფიაში მართლაც მოშიაშვილი იკითხება. როგორც ჩანს, საუკუნის II ნახევარში (ეპიტაფიაში მოხსენიებული პირი წარწერის თანახმად 1898 წელს გარდაცვლილა) დიცში მოშიაშვილებიც ცხოვრობდნენ.

²⁸ ი. მეგრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

²⁹ გ. სოსიაშვილი, ეპიტაფიები სოფელ დიციდან, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, XI, 2016, გვ. 206.

ტადრის ჩრდილოეთით საფლავის ქვების დიდი ნაწილი დაფარული იყო ხავსით, ნაწილი მიწაში იყო მოქცეული. ქვების გაწმენდით სამუშაოებში მონაწილეობას იღებდნენ დიციის მკვიდრი ახალგაზრდები: *გრიგოლ (გუგულა) ყორანაშვილი, შაღვა მძინარაშვილი, ნოდარ მძინარაშვილი, გიორგი დულაძე, თთარ მაისურაძე, ნოდარ სოსიაშვილი, ვაჟა ყორანაშვილი, რობინზონ ყორანაშვილი, რისთვისაც მათ გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ.*

ტადრის ჩრდილოეთით ერთ-ერთ საფლავის ქვაზე ვკითხულობთ:

ქვის სამხრ.

„მიხეილ ხადურის ასული(,) მეუღლე მაქსიმე მძინარიძის(,) გარდაცვალებულ 1910 წ(,) თიბათვის(,) აღარ დამაცალა წარწერა გრძელდება ქვის ჩრდ. მხარეს სიცოცხლე(,) უეცრათ მისწრო სიკვდილმა(,) დამრჩა 3 ობოლი(,) სიძე(,) მომიხსენე უფალო(,) ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა(,) შენდობა მიბძანეთ“(,) (ტაბ. IX. 1). დიციში მძინარაშვილი გავრცელებული გვარია, (ამის შესახებ იხ. ქვემოთ), საინტერესოა, რომ ეს გვარი მძინარიძის ფორმით მხოლოდ აღნიშნულ ეპიტაფიაში გვხვდება.

იქვე, სხვა საფლავიც არის, რომლის ეპიტაფიას გარდაცვლილის გვარი არ აწერია:

ქვის სამხრ.

„ღვინობისთვის 23 ს(,) უძღვნი(,) დედაგ(,) დამბადე საბრალლო ყრმა შენაყვარ შეილთა(,) ათი წლამდე ძუძუ მაწოვე(,) ტკბილათ გიყვარდი ვარდი ნორჩია(,) მიველ უმანკო(,) დედა დაგტოვე მტირალი“(,)

ქვის ჩრდ.

„რათ აიდე შეილო ჩემზე ხელი(,) მამაშენი ჩემზე უფრო დაიწვა და დაიდაგა(,) წამკითხველნო შენდობა მიბძანეთ“(,) (ტაბ. IX. 2).

აღნიშნულ ქვასთან ახლოს კიდევ ერთი ეპიტაფია ამოვიკითხეთ:

* ამ ადგილზე რამდენიმე გრაფიკა გამოტოვილია.

საფლავის ქვის სამხრ.

„შობიდან 45 წ(.) გარდავიცვალე უშვილო... ილის 15 დ მეუღლემან ჩემან ერმონიამ დამადლო წარწერა ჩრდილოეთ მხარეს გრძელდება

ქვა(.) გთხოვთ(.) ძმანო(.) შენდობა მიბძანეთ წ-ა(წმი-ნდა?)“ (.) (ტაბ. X. 1).

ტაძრის ჩრდილოეთ მხარეს ერთ-ერთ საფლავის ქვაზე კეითხულობთ:

„ლოდსა ამასა ქვეშე მდებარე ვარ(.) მე(.) მონა შენი უფალო(.) სიდამონ ლაფაჩი(.) გარდავიცვალე ჩეობ (1872 წელსა(.) მარიამობის დღესა“ (.) (ტაბ. X. 2). აღსანიშნავია, რომ დიცში მცხოვრები ლაფაჩები ჩამოსახლებულნი არიან პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული სოფელ ჭარებიდან. XVIII საუკუნის II ნახევრის დავთარში დიცში მოხსენიებულია ლაფაჩი ზურაბა.³⁰

იქვე, სხვა საფლავის ქვებია, რომელთა ეპიტაფიებიც ასეთი შინაარსისაა:

„ნიკა მარკოზოვის ძე ვანო დ(4) წლის ჩყჰმ(სა)“ (1888) (ტაბ. XI. 1).

„საფლავსა ამას მდებარე დიმიტრი მარკოზაშვილი მლხინე(.) ადმომკითხეთა (ადმომკითხველთა) შენდობა მიბძ-ძეთ“ (.) (ტაბ. XI. 2).³¹

„მოისხენე უფალო(.) მონა ღვთისა აღექსი დავითის ძე მარკოზაშვილი(.)“ (ტაბ. XII. 1).³²

* ამ ადგილზე ქვა დაზიანებულია და სიტყვები ვერ იკითხება.

³⁰ ა. თაბუაშვილი, ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი), თბ., 2013, გვ. 96.

** სავარაუდოდ უნდა იყოს „მილხინე“.

*** თარიღი არ აქვს, თუმცა ეს საფლავიც XIX საუკუნის II ნახევრის უნდა იყოს. აღნიშნული წარწერა და ტაძრის სამხრეთით არსებული სვიმონ ბოლაშვილის მეუღლის – მარიამის ეპიტაფია (1801) (ტაბ. XX. 2). ერთი ხელოსნის მიერ უნდა იყოს შესრულებული.

**** ამ ადგილზე ქვა დაზიანებულია და არ იკითხება.

„ჩყვდ (1894წ.) წელსა(,) თიბათვის პირველსა დღესა(,) წემკითხველნო შენდობა მიბძანეთ.“

„მ(ო)იხსენე(.....)“ საფლავსა მდებარე ვარ ვანო ლაფაჩის მეუღლე პელა და ასული გაბრიელ....“ (ტაბ. XII. 2).***

„უფალო მოიხსენე(,) გაბრიელ მძინარაშვილის მეუღლე სოფიო ასული იოსებ ხეთაგაშვილისა(,) აღვესრულე ჩყ(ო?)“³⁰ წელსა(187?) თებ-რ“³¹ (ტაბ. XIII. 1). ეს გვარი „მძინარის“ შვილის“ ფორმით დიცში მოხსენიებულია 1700 წელს შედგენილ საამილახვროსა და გაღმა ლიახვის ხალხის კოდისპურის გამოსაღების დაფთარში³¹.

მძინარის შვილის გვარმა, როგორც ჩანს, ფონეტიკური ცვლილება განიცადა და დღეს მძინარაშვილის ფორმით გვხვდება. საინტერესო გადმოცემაა შემონახული სოფელში აღნიშნული საგვარეულოს შესახებ, ერეკლე მეფეს ჰყავდა ერთი მსახური, რომელსაც ბადრია ერქვა. მეფეს ერთხელ ნადიმი ჰქონია და ბადრიას ჩასძინებია, რის გამოც მას მძინარა შეარქვეს და ეს გვარიც სწორედ აქედან მომდინარეობს. საინტერესოა ისიც, რომ მძინარაშვილების ერთ შტოს დიცში სწორედ „ბადრიაანთ“-ს უწოდებენ. მძინარაშვილების საგვარეულო დიცში გვხვდება 1818 წლის აღწერის მასალებში³², ასევე XX საუკუნის დასაწყისის საეკლესიო წიგნებში.³³

* ამ სიტყვაში „ა“ გრაფემას ნაცვლად „ე“-ა წარმოდგენილი, რაც ამომკვეთის შეცდომა უნდა იყოს.

** ქვა ამ ადგილზე დაზიანებულია და წარწერის ეს ნაწილი არ იკითხება.

*** ამ ადგილას საფლავის ქვა ატკეჩილია და არ იკითხება, სავარაუდოდ, აღნიშნული საფლავიც XIX საუკუნის II ნახევრით უნდა იყოს დათარიღებული.

**** ამ ადგილზე წარწერა დაზიანებულია, თუმცა სავარაუდოდ „ო“ გრაფემა უნდა იყოს.

***** უნდა იგულისხმებოდეს თებერვალი.

³⁰ სცსსა, ფ. 1448. საბ. №3602.

³² გსიემ, 8235, №128.

³³ გ. სოსიაშვილი, დიცის ისტორია, გვ. 23.

ტაძრის ჩრდილოეთით კიდევ რამდენიმე საფლავია. ერთ-ერთის წარწერა გვაუწყებს:

„სულ ამო ყოფილა წუთისოფლის ცხოვრება(,) მამიტაცა სიკვდილმა აღარ მამცა... დრება(,) გთხოვთ(,) მხილველნო მიბბანოთ ცხონება(,) ვარ გაბრიელ გიგოს ძე მარკოზაშვილი“(,) (ტაბ. XIII. 2)**

იქვე, სასაფლაოს ღობესთან საფლავის ქვაზე ვკითხულობთ: ქვის სამხრ.

„მომხსენე მე უფლ[უფალო](,) ლოდსა ქვეშე მდებარე ვარ გიორგი ივანეს ძე მარკოზაშვილი(,) შ[-]ქიდეგნ[შობიდეგან] ვიყავ ორმ[-]ცდ-თი[ორმოცდაათი]წლს[წლის] ვიყავ ოჯახისთვინ თავდადებული მებრ(,)“^{*} მე**

წარწერა გრძელდება ჩრდილოეთ მხარეს:

და მთამაგე დამრჩა ჩემს მ[-]სახსენებლათ[მოსახსენებლად] ერთი ქალი და თვალცრემლიანი მეუღლე ჩემი (,)გარდავიცვალე 1893 წ(,)მარტის დღესა (,)შენდობა მიბბანეთ“(,) (ტაბ. XIV. 1). აღნიშნული გვარი მარკოზისშვილის ფორმით დიციში მოხსენიებულია 1700 წელს შედგენილ საამილახვროსა და გაღმა ლიახვის ხალხის კოდისპურის გამოსადების დავთარში³⁴, ასევე 1818 წლის რუსულ აღწერაში, საიდანაც ჩანს, რომ დიცის მამასახლისი მარკოზაშვილების საგვარეულოდან იყო³⁵. დიციში რამდენიმე კომლი მარკოზაშვილი იხსენიება XVIII საუკუნის II ნახევრის დავთარში.³⁶

მარკოზაშვილები იხსენიებიან 1405 წლის მცხეთის გუჯარში³⁷. XVII საუკუნის II ნახევრის საისტორიო წყაროებში მარკოზაშვილთა საგვარეულოს რამდენიმე წარმომადგენელს ვხვდებით³⁸. მარკოზაშვილი გოგინა – მოწმე ხოსიტა თუმანიშვილის მიერ მანუჩარ თუმანიშვილისათვის მიცემული ნასყიდო-

* წარწერის ნაწილის ამოკითხვა ვერ მოხერხდა.

** წარწერას თარიღი არ აქვს.

*** უნდა იგულისხმებოდეს ალბათ „მეგრძოლი“.

³⁴ სცსსა, ფ. 1448. საბ. №3602.

³⁵ გსიემ 8235; №128.

³⁶ ა. თაბუაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

³⁷ ი. ახუაშვილი, ქართული გვარ-სახელები, თბ., 1991, გვ. 433.

³⁸ პირთა ანტირეზუმი ლექსიკონი, ტ. III, თბ., 2004, გვ. 66.

ბის წიგნისა (1660 წ.)³⁹. მარკოზაშვილი სეხნია – მოწმე ბასილა სულხანაშვილის მიერ ზურაბა ჯავახიშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1672-1680 წ.წ.)⁴⁰. მარკოზისშვილი გაბრიელი – მოწმე დათუნა ვარძიელასშვილის მიერ შოშიტა მიქელაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა, (1690 წ.)⁴¹. მარკოზაშვილთა გვარი, როგორც აღინიშნა, უფრო აღრინდელ დოკუმენტებშიც გვხვდება. მაგ.: მარკოზისშვილი დემეტრე – 1405-1428 წ.წ. სეფის მწიგნობარი⁴². მარკოზისშვილი დემეტრე – დამწერი და მოწმე დავით მეფის მიერ კაკუ გუბუნავასათვის მიცემული სასისხლო სიგელისა, XV საუკუნის დამლევს⁴³. მარკოზისშვილი მიქელაი-ხუნეიფუს მცხოვრები, გიორგი მეფემ შესწირა ნიკორწმინდის ეკლესიას, 1581 წ.⁴⁴. XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის დოკუმენტური წყაროების მიხედვით, მარკოზაშვილები დასახლებულები იყვნენ სოფ. არდისუბანში⁴⁵. XIX საუკუნის დასაწყისში აღნიშნული გვარი გვხვდება ასევე კოდაში⁴⁶. საქართველოს საისტორიო არქივში დაცულ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოს მასალებში მარკოზაშვილები აღრიცხული არიან კახეთის აზნაურებად.⁴⁷

იქვე, კიდევ რამდენიმე საფლავია:

„ამ ლოდსა ქვეშე მდებარე ვარ გიორგი მარკოზაშვილის ასული მარიამი და მეუღლე ესტატე გამრეკელაშვილისა() შობიღან ვიყა 19 წ() აღვსრულდი 189 წ() ღვინობისთვის 15 სა დღესა () წამკითხველნო () გთხომთ() თითო შენდობა მითხრათ () ეს ლოდი შემოგწირე შენმა დედა ქეთევანმა“() (ტაბ. XIV. 2).

³⁹ იქვე.

⁴⁰ იქვე.

⁴¹ პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. III, გვ. 67.

⁴² იქვე. გვ. 67.

⁴³ იქვე, გვ. 67.

⁴⁴ იქვე, გვ. 67.

⁴⁵ იქვე, გვ. 433.

⁴⁶ იქვე, გვ. 433.

⁴⁷ სცსსა, ფ. 213, საქ. №533.

* თარიღი ბოლომდე დასრულებული არ არის.

აქვეა მცირეწლოვანი ბავშვის საფლავი, რომელზეც ასეთი ეპიტაფიაა:

„შე უწყალო სიკვდილო რა უდროთ მიგდე მახე(,) ხუთი წლისა რო შევსრულდი შავს მიწაში დავიმარხე (,) ჩჰედ(1884) წელსა...სანდრო(?)“ (ტაბ. XV. 1).

ამ საფლავიდან ოდნავ მოშორებით, დაშლილი ქვა-ძეგლის ფრაგმენტია. კვადრატული თლილი ქვები მიწაზეა მიმოფანტული. საფლავი, როგორც შემორჩენილი წარწერიდან ჩანს, ვინმე ვლადიმერ მარკოზაშვილს ეკუთვნოდა. არსებული ეპიტაფიებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასაფლაოს ამ ნაწილში მარკოზაშვილები იკრძალებოდნენ. წარწერიანი ქვა მიწაზეა, თუმცა, ეპიტაფია, სავარაუდოდ, ვერტიკალურად აღმართული ქვის შუა კვადრატის აღმოსავლეთის, დასავლეთის და სამხრეთ კედელზეა ამოტვიფრული:

„ვარ [ვ]ლადიმერ გეროს ძე მარკოზაშვილი(,) შობილგან 25 წლისა გარდავიცვალე(,) 1914 წელსა(,) აპრილის 10 დღესა(,) მომიხსენე უფალო(,) ოდეს მოხვიდე სუფვეითა შენითა“(,) (ტაბ. XV. 2). ვერ ვნახეთ ამ წარწერიანი კვადრატული ქვის ზედა ნაწილი. სავარაუდოდ, წარწერა სწორედ იქ იწყება და ასე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი: **„ამ ლოდსა ქვეშე ვარ..“** დიციის სასაფლაოზე ასეთი სახის საფლავის ქვები ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთითაც გვხვდება და ეპიტაფიებს სწორედ ასეთი დასაწყისი აქვთ. მარკოზაშვილების სასაფლაოს გვერდით, ღვთისმშობლის ტაძრის ჩრდილოეთით ძეძვით და ეკალ-ბარდით დაფარული ადგილია, სადაც XIX საუკუნის კიდევ რამდენიმე საფლავია, ზოგიერთი უწარწეროა. ამ ადგილის გასუფთავება და შესწავლა მომავლის საქმეა. ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში რამდენიმე ეპიტაფია ამოვიკითხეთ.

ვერტიკალურად აღმართულ საფლავის ქვის შუა კვადრატზე (რამდენიმე კვადრატული ზომის თლილი ქვა ერთმანეთზეა დალაგებული), ასეთი წარწერაა:

* ამ ადგილას წარწერა დაზიანებულია და, სავარაუდოდ, ეს სახელი უნდა ეწეროს.

(აღმოსავლეთ კედელზე) „აქ განისვენებს ანნა ზაქარიას
ასული ესტატე ყორანაშვილისა(.)

(სამხრეთ კედელზე)

დაბად[ებიდან] 48 წ(.)

გარდ[აცვალებიდან] 1918 წ(.)

აპრილის 20(.) (ტაბ. XVI. 1). დიცში ყორანაშვილები მოხსენიებული არიან 1700 წელს შედგენილ საამილახვროსა და გაღმა ღიახვის ხალხის კოდისპურის გამოსაღების დაეთარში⁴⁸. ყორანაშვილების გვარი დიცში დასტურდება 1818 წლის აღწერითაც⁴⁹. დიცის გარდა, ყორანაშვილები ცხოვრობდნენ სიღნაღის რაიონში, კერძოდ, ვაქირში⁵⁰.

იქვე, ზაქარია მინდიაშვილის საფლავია:

**„საფლავსა ამას შინა მდებარე ზაქარია მინდიაშვილი(.)
ოცის წლისა გარდავიცვალე ამა სოფლისგან გაუხარელი(.)
მხილველნო შენდობა მიბძანეთ(.) ჩყოგ(1873)მაისის იგ(13)“(.)**
(ტაბ. XVI. 2).

ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით, ზაქარია მინდიაშვილის საფლავის გვერდით ალექსანდრე ანდრიას ძე ყორანაშვილის ეპიტაფია ამოვიკითხეთ:

**„ალექსანდრე ანდრიას ძე ყორანაშვილი(.) დაიბ[ადა] 1833
წ(.) და გარდაიცვალა 1913 წ(.) შენდობა მითხარით“(.)** (ტაბ. XVII. 1).

ამ საფლავთან ახლოს სვიმონ ყორანაშვილის მეუღლის – ელისაბედის ეპიტაფიაა:

**„მომხსენე(.) მე(.) უფალო(.) ოდეს მოხვიდე სუფევითა
შენითა(.) მე ამა ღოდსა ქვეშე მდებარე მხევალი შენი(–)
ელისაბედ სვიმონ ყორანაშვილის მეუღლე(.) გარდავიცვალე
1900 წ(.) მარტის 18 სა(....)წამკითხველნო შენდობას(მ ბნი წ...)**
(ტაბ. XVII. 2).*

იქვე, ახლოს ანანო ივანეს ასული ყორანაშვილის საფლავია:

⁴⁸ სცსსა, ფ.1448, საბ. №3602.

⁴⁹ გსიემ, 8235, №128.

⁵⁰ ი. მარტოაძე ქართული გვარ-სახელები, თბ., 1990, გვ. 186.

* წარწერაში დაზიანების გამო რამდენიმე სიტყვა ვერ იკითხება.

„ამა ლოდსა ქვეშე განისვენებს მხევალი მხვთისა ანანო ივანე ყორანაშვილის ასული(.) ახ უწყალო სიკვდილო(.) რა უდროვოთ მიგდე მახე(.) მამაშორე ჩემს დედ-მამს(.) ავ[-]კარგი ვერა ვნახე(.) ვინძლო ჩემო სწორ[-]ამხანაგნო(.) მომიგონეთ მადლ მადლე(.) გარდავიცვალე 1915(.) თებერვლის 15 დღესა“(.) (ტაბ. XVIII. 1).

როგორც ჩანს, ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით სასაფლაოს ნაწილი ყორანაშვილების საგვარეულოს ეკუთვნოდა.

აქ კიდევ არის ერთი საფლავი, თუმცა ეპიტაფია დაზიანებულია და მხოლოდ რამდენიმე სიტყვა იკითხება:

„საფლავსა შინა მდებარე გიორგი გაბრიელის ძე ყორანაშვილი...“ მიბძანეთ ჩყ.(18..)“ (ტაბ. XVIII. 2).

ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს კიდევ ერთი ეპიტაფიაა. საფლავის ქვის ჩრდილოეთ მხარეს ვკითხულობთ:

„წუთისოფელში ვერ გავიხარე მხოლოდ დამრჩა ქმარი 35(?) წ...“ შვილი(.) ერთი ასული(.) ერთი ვაჟი(.) ვარ სოლომონ რჩეულაშვილის ასული იაგორ ბარიშვილის მეუღლე მეღანია(.) შობიდან 25წ(.) შენდობა მიბძანეთ (წარწერა საფლავის ქვის სამხრეთ კედელზე გრძელდება) წუთისოფელს მამაშორე(.) დავიკარგე ვერა ვნახე(.) ამაღენი შრომის გამწვევი შავ მიწაში დავიმარხე(.) დამრჩა სახლი ცრემლიანი“(.) საფლავის ქვას ზედაპირზე აქვს წარწერის შესრულების თარიღი – 1913 (ტაბ. XIX. 1). რჩეულიშვილთა გვარი იხსენიება 1818 წლის რუსულ აღწერაში. რჩეულიშვილები აზნაურები იყვნენ. აღნიშნული გვარი იხსენიება XX საუკუნის დასაწყისის დიციის საეკლესიო დოკუმენტებში. 1915-1916 წწ. გარდაცვალებულ პირთა ნუსხაში გვხვდება დიცში მცხოვრები აზნაურის ვახტანგ რჩეულოვის ასული იულიანე.⁵¹ შუასაუკუნეებში რჩეულიშვილები ქვეყნის

* როგორც ჩანს გრაფემა „ა“ გამოტოვილია წარწერის ამომკვეთის მიერ.

** წარწერა დაზიანებულია და სრულად ვერ იკითხება, გამოტოვილ ადგილზე უნდა ეწეროს ალბათ „შენდობა“.

*** ამ ადგილზე გაურკვეველად წერია, ჩვენი ვარაუდით, უნდა ეწეროს „წლის“.

⁵¹ გ. სოსიაშვილი, დიციის ისტორია, გვ. 31.

სხვა კუთხეებშიც ცხოვრობდნენ. მათ შორის: სამცხეში, ქვემო ქართლში⁵². რჩეულიშვილების გვარი შეტანილია 1850 წელს რუსეთის იმპერატორის მიერ დამტკიცებულ ქართ-კახეთის თავად-აზნაურთა ოჯახების ნუსხაში⁵³. რაც შეეხება ეპიტაფიაში მოხსენიებულ ბარიშვილების გვარს, აღნიშნული საგვარეულო დასტურდება 1818 წლის რუსული აღწერით⁵⁴, ასევე XX საუკუნის დასაწყისის საეკლესიო დოკუმენტებით. საინტერესოა, რომ ბარიშვილების გვარი „ბარლიშვილის“ ფორმით მოხსენიებულია 1640 წელს შედგენილ დოკუმენტში. ელისე თბილელის ნებართვით იოთამ ბარლიშვილის ოჯახი დიდის მეზობელ სოფელში – თერგვისში ჩასახლებულა: „ესე წიგნი [მოგეც] მე, თბილელ ეფისკოპოზმან და ქრისტეს საფლავის მოსამსახურემან ელისე, შენ ბარლის შვილსა იოთამს და შვილთა შენთა. მოხველ და იქ, თერგვისში ცოლი შეირთე და დასახლდი ჩვენის შეკითხულობითა და ნებართვით“⁵⁵ არ არის გამორიცხული, რომ იოთამ ბარლიშვილი დიციდან ჩასახლებულიყო თერგვისში.

ტაძრის დასაველეთით დავით გიორგის ძე სოსიაშვილის საფლავია, რომლის ეპიტაფია ასეთი შინაარსისაა:

„მომიხსენე(,) მე(,) უფალო(,) ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა(,) ამ ლოდსა ქვეშე განისვენებს დავით გიორგის ძე სოსიაშვილი გარდაიცვალა 8 ივლის(,) 1904 წ(,) შობილგან 22 წ“(,) (ტაბ. XIX. 2).

დავით გიორგის ძე სოსიაშვილის საფლავის ზემოთ, რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით კიდევ ერთი საფლავის ქვაა, რომელიც ძლიერ არის დაზიანებული, მის ზედაპირზე მხოლოდ რამდენიმე სიტყვა იკითხება:

„...მომიხსენე მე უფალო ...სუფევითა“ (ტაბ. XX. 1).*

⁵² პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. IV, გვ. 86-87.

⁵³ ქართლ-კახეთის თავადები და აზნაურები, ფოტოტიპიური გამოცემა ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით, თბ., 2005, გვ. 275.

⁵⁴ გსიემ, 8235, №128, გვ. 137.

⁵⁵ ნ. ხუციშვილი, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში, თბ., 2006, გვ. 126.

* სავარაუდოდ უნდა ეწეროს: „მომიხსენე, მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა.“

ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით გვხვდება მხატვრულად დამუშავებული საფლავის ქვა, რომელიც მიწაშია მოქცეული, იკითხება საფლავის ქვის ზედაპირზე შესრულებული წარწერა:

„...გსა^{*} ამას მდებარე მარიამ [ს]ვიმონ ბოლაშვილის მეუღლე(,) წამკითხველნო შენდობა მიბძნეთ^{**} ჩყა 1801 (გს?)^{***} წელს მარტის პირველსა“ (ტაბ. XX. 2).

იქვე, ტაძრის სამხრეთით ორი ქვა-ძეგლია.

ორივე მათგანი ბოლაშვილებს ეკუთვნით. ერთ-ერთ მათგანზე ვკითხულობთ:

„ამ ქანისვენებს ივანე გლახას ძე ბოლაშვილი(,) გარდაიცვალა 1916წლ.) აგვისტოს 18 სა(,) შობიდან 96 წლისა(,) წამკითხველნო შენდობა მიბძნეთ“(,) (ტაბ. XXI. 1).

ოდნავ მოშორებით ასეთივე ქვაზე სამხრეთ მხარეს ვკითხულობთ:

„ამ ძეგლის ქვეშ მდებარე ნატალია ესტატე ბოლაშვილის ასული გარდაიცვალა 1907 წ(,) თიბათვის 15(,) შობიდან ოცდახუთი წლისა(,) შენდობას გთხოვთ(,) (ტაბ. XXI. 2).

ამავე ქვის დასავლეთ მხარეს ვკითხულობთ:

„ამავე ძეგლის ქვეშ მდებარე სერგი ესტატეს ძე ბოლაშვილ^{****} გარდაიცვალა 1900 წ(,) ქრისტეშობისთვის 15 სა(,) შობიდან ოცდაერთი წ(,) შენდობას გთხოვთ(,) (ტაბ. XXII. 1).

ქვის აღმოსავლეთ მხარეს კიდევ ერთი ეპიტაფიაა:

„ამავე ძეგლის ქვეშ მდებარე ოლა ესტატე ბოლაშვილის.... (№ 33).^{*****} (ტაბ. XXII. 2).

* სავარაუდოდ უნდა ეწეროს საფლავსა.

** უნდა ეწეროს „მიბრძანეთ.“

*** თარიღი და თარიღის აღმნიშვნელი გრაფემების მომდევნო ორი გრაფემა კარგად ვერ იკითხება.

**** თარიღი დაზიანებულია, თუმცა სავარაუდოდ უნდა ეწეროს 1907 წ.

***** გვარი შემოკლებით წერია, უნდა ეწეროს „ბოლაშვილი“.

***** ამ ადგილზე წარწერა დაზიანებულია, ჩვენი აზრით უნდა ეწეროს მეუღლე.

ეპიტაფიებში მოხსენიებული ესტატე ბოლაშვილის საფლავიც იქვეა, აღნიშნული ქვის დასაფლავით, რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით:

„არ შემობრალა სიკვდილმა დაგ...ხეთა⁵⁶ შეგეხვეწე ჩემს მოკეთებს... [ყველა ეცადნენ ვეღარ მიშველეს ჩემზედ...ვიღე ...ხელა ჩამაწვინეს შავს მიწასა სამარეს ყოფა ძნელია თითონაც დარჩნენ მტირალნი.. ბნელ შავს მიწას ამოვცქერი...ურმულ ჩემი..ბნელა...ესტატე გლახას ძე ბოლაშვილი(,) წლისა სამოცდაერთისა — 1900 წელს(,)“⁵⁷ (ტაბ. XXIII. 1).

იქვე, ახლოს, ესტატე ბოლაშვილის ძის გიორგის საფლავის ქვაა. ქვის სამხრეთ მხარეზე ასეთი ეპიტაფიაა:

„გვიბძანეთ ვინ...საფლავი ჩემი ნებ...ადგესრულდი(,) გიორგი ესტატეს ძე ბოლაშვილი 19 წ(,) აპრილის 15(,)“ (ტაბ. XXIII. 2).⁵⁸

საფლავის ქვის სამხრეთ-აღმოსავლეთით ქვაძეგლი დგას, რომლის სამხრეთ მხარეს თეთრ ქვაზე დაზიანებული ეპიტაფიაა:

„...განისვენებს...⁵⁹ ოჯახის გიგა ბოლაშვილის მეუღლე, გარდაიცვალა 30 წლისა(,) 19...⁶⁰ აპრილის 17 სა(,) დამრჩა 4 წრილშვილი და ყმაწვილი ქმარი(,) ღმერთო მახსენებლათ მიცოცხლე ნიშნათ ღრმა სიყვარულისა(,) ეს ძეგლი დამადგა ოჯახმა.“ (ტაბ. XXIV. 1).

როგორც ჩანს, სასაფლაოს ეს ნაწილი ბოლაშვილების საძვალეს წარმოადგენდა. ბოლაშვილების გვარი დიცში იხსენიება XX საუკუნის დასაწყისის ეკლესიის სარეგისტრაციო დოკუმენტებში.⁶¹ სავარაუდოდ, ისინი უფრო ადრეც ცხოვრობდნენ დიცში. ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს XVIII საუკუნის ერთი სა-

* წარწერა ზოგიერთ ადგილზე დაზიანებულია და კარგად არ იკითხება.

** წარწერაში ზოგიერთი სიტყვა დაზიანებულია და კარგად ვერ იკითხება.

*** ეპიტაფია დაზიანების გამო მხოლოდ ნაწილობრივ იკითხება.

**** წარწერა დაზიანებულია და ზოგიერთი სიტყვა ვერ იკითხება.

***** თარიღი ბოლომდე ვერ იკითხება.

⁵⁶ გ. სოსიაშვილი, დიცის ისტორია, გვ. 32.

ბუთი, სადაც იხსენიება დიციში არსებული ბოლას (სავარაუდოდ, ეს იყო დიცის გარკვეული ტერიტორიის სახელწოდება) მოურავი.⁵⁷ ბოლაშვილების საგვარეულოს წევრები XX საუკუნის I მეოთხედში, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკებმა გააკულაკეს და მათ საარჩევნო ხმის უფლებაც ჩამოართვეს.⁵⁸ ბოლაშვილები დიცის გარდა ცხოვრობენ, აგრეთვე, სიდნაღის რაიონში⁵⁹.

ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთით შემადღებულ ადგილზე კიდევ რამდენიმე ეპიტაფია ამოვიკითხეთ:

„...მომისხენე უფალო(,) ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა[აქ]მდებარე ლ(?) მინდიაშვილი...“ (ტაბ. XXIV. 2).

„მომისხენე მე უფალო...“ (ტაბ. XXV. 1).⁶⁰

იქვე, ახლოს, არსებულ საფლავზე ეპიტაფია შედარებით კარგად იკითხება:

„მომისხენე უფალო(,) ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა...“⁶¹ შინა მდებარე ყარამან(?) მინდიაშვილის მეუღლე მაგდან(,) მხილველნო(,) შენდობა მიბძნეთ ჩყად (1864) წელსა (აღ?)...იდ..ისა“⁶² (ტაბ. XXV. 2).

აქვე, შედარებით მცირე ზომის საფლავის ქვაზე კიდევ ერთი დაზიანებული ეპიტაფიაა.

ქვის ჩრდილოეთ მხარეს ვკითხულობთ:

„...წელსა ღვინობისთვის..დ..დღესა..გებრალეობდეთ ძმანო და მეგობარნო(,) შენდობა...“

წარწერა გრძელდება ქვის სამხრეთ მხარეს:

„ცრემლიანი მეუღლე სალომე(,)“⁶³ უმემკვიდროდ მივიცვალე ანდრია მინდიაშვილი“. (ტაბ. XXVI. 1). საფლავის ქვას წარ-

⁵⁷ სცსსა, ფ. 1448, საბ. 201.

⁵⁸ გ. სოსიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

⁵⁹ ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, თბ., 1990, გვ. 37.

* წარწერა დაზიანებულია და კარგად ვერ იკითხება.

** წარწერა ძლიერ დაზიანებულია.

*** ამ ადგილზე წარწერა დაზიანებულია, სავარაუდოდ უნდა ეწეროს „საფლავსა“.

**** ამ ადგილზე გაურკვეველად წერია.

***** სავარაუდოდ უნდა ეწეროს: „დამრჩა“.

წერა ზედაპირზეც აქვს, მისი ამოკითხვა ვერ შეეძლებოდა. როგორც ჩანს, ეპიტაფია ერთი მთლიანი ტექსტია, რომელიც ქვის ზედაპირზე და მის ორივე მხარეზეა დატანილი.

ტაძრის სამხრეთით შემადგენულ ადგილზე ორი საფლავია. ერთი მათგანი ზედაპირამდე მიწაშია მოქცეული. ქვაზე მხედრული წარწერაა:

„შეიწყალე უფალო ღაზარე... ასული ნინო და მეუღლე ნინია ვატიტადისა ჩყოზ.“(1877 წ.) (ტაბ. XXVI. 2).

აღნიშნული ქვის ოდნავ მოშორებით (ჩრდილოეთ მხარეს) მხედრულწარწერიანი სხვა საფლავის ქვაც არის. ქვაზე კვითხულობთ:

„საფლავს შინა მდებარე ვარ სოლომან სოსიაშვილის ასული და გიგო მინდიაშვილის მეუღლე ნათელა (.)შენენდობა“ მადირსეთ.“ მიიცვალა ჩყ(?)ზ 18..7. (ტაბ. XXVII. 1).**

ტაძრის სამხრეთ მხარეს დაახლოებით 40 მ. მოშორებით ჩვენი ყურადღება მიიქცია საფლავის ორმა ქვამ. ქვები ერთმანეთის გვერდით არის განლაგებული, მათ შორის დაშორება დაახლ. 1 მ-ია. ჩრდილოეთ მხარეს არსებული ხავსით დაფარული საფლავის ქვის დიდი ნაწილი მიწაში იყო მოქცეული. საფლავის ქვის სიგრძე – 140 სმ, სიგანე თავში 36 სმ-ი, ბოლოში – 55 სმ-ი, სიმაღლე 46 სმ-ი. საფლავის ქვის ზედაპირზე ამოკვეთილია მამაკაცის გამოსახულება, რომელიც საერო ტანსაცმლით (ჩოხით) არის შემოსილი, ფეხზე ქუსლიანი ჩექმები აცვია, მარჯვენა ხელში ჯვარი უჭერია, ხოლო მარცხენა ხელში გაურკვეველი ნივთი. გამოსახულებას თავზე ადგას ორნამენტული თაღი, რომელიც ჯვრით ბოლოვდება. (ტაბ. XXVIII. 1) საფლავის ქვაზე სამხრეთ მხარეს ორ კვადრატში მოთავსებულია მხედრული წარწერა, რომელიც საფლავის ქვაზე ამოკვეთილი მამაკა-

* ამ ადგილზე ქვა ატკეპილია და გვარი არ იკითხება.

** აქ წარწერის ამომკვეთის შეცდომა უნდა იყოს, „შენდობის“ ნაცვლად წერია „შენენდობა“.

*** ამ ადგილზე საფლავის ქვა ატკეპილია და თარიღის აღმნიშვნელი ერთი გრაფემა არ იკითხება.

ცის ვინაობას გვამცნობს. წარწერაში ვკითხულობთ: „ა(მ)ა მდებარე ვრ[ვარ] შიო მინდიაშვილი შობიღგნ[შობიღგან] გზ(67). (ტაბ. XXVII. 2).

ჩვენი აზრით, მამაკაცი საერო პირია. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს მისი საერო ტანსაცმლით გამოსახვა. ქვის მოცულობა, გამორჩეულ ადგილზე არსებობა და მხატვრული გაფორმება გვაგვარაუდებინებს, რომ საფლავის ქვაზე გამოსახული შიო მინდიაშვილი გამორჩენილი საერო პიროვნება იყო. შიო მინდიაშვილს, როგორც ჩანს, გარკვეული დამსახურება ჰქონდა დიციის ღვთისმშობლის ეკლესიის წინაშეც. სწორედ ამიტომ გამოსახეს ის ჯვრით ხელში. მას თავზე ორნამენტიანი თაღი ადგას, არ არის გამორიცხული, რომ მან დიციის ღვთისმშობლის ეკლესია აღადგინა. დიციში მინდიაშვილები XVIII საუკუნის I მეოთხედში იხსენიებიან. 1721 წლის ნასყიდობის წიგნიდან ჩანს, რომ პაატა ფავნელიშვილმა ზაალ ერისთვისშვილს დიციში მამული მიყიდა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „კიდევ მოგყიდე დიციის მინდორში ხოდაბუნი, ბოლას მოურავს ზაზას მიწამდი, თავს მინდიაშვილის მიწამდი, აქათ ძეძვამდი გზამდი.“⁶⁰ XVIII საუკუნის II ნახევრის ლიახვის ხეობის მოსახლეობის აღწერის დავთრების მიხედვით დიციში რამდენიმე კომლი მინდიაშვილი იხსენიება, მათ შორის: მინდიაშვილი მამუკა, მინდიაშვილი პეტრე, მინდიაშვილი ბერი, მინდიაშვილი მახარე.⁶¹ მინდიაშვილები იხსენიებიან XIX საუკუნის I მეოთხედში რუსულ აღწერებშიც. დიციში მცხოვრები მინდიაშვილები ქსნის ერისთავებს: სოლომონსა და ივანეს ეკუთვნოდნენ.⁶² ძალზე საინტერესოა, რომ ზემოთ წარმოდგენილი ეპიტაფიიდან ცნობილი შიო მინდიაშვილი იხსენიება დიციის ღვთისმშობლის ეკლესიის სარეგისტრაციო წიგნში, სადაც 1916 წელს დაბადებულთა

* ამ ადგილზე ქვა დაზიანებულია, თუმცა ძალიან ჰგავს „მ“-გრაფემას.

⁶⁰ სცსსა, ფონდი, №1448, საბ. 201.

⁶¹ ა. თაბუაშვილი, ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები, (XVIII საუკუნის II ნახევარი), თბ., 2013, გვ. 96.

⁶² გსიემ, ფ. 8235, №128; გ. სოსიაშვილი, დიციის ისტორია, გვ. 15-20.

ნუსხაა მოცემული.* ამ ნუსხაში იხსენიება ვინმე ანა (მისი მშობლები იყვნენ: ივანე ანდრიას ძე და ოლღა მიხეილის ასული, დოკუმენტში მათი გვარი არ წერია), ახალშობილი ანას ნათლიად დასახელებულია შიო მინდიაშვილის ქვრივი – ევა სოლომონის ასული.⁶³ თუ დიცის ღვთისმშობლის ეკლესიის სარეგისტრაციო წიგნში ნახსენებ შიო მინდიაშვილს და ჩვენ მიერ აღწერილ საფლავის ქვის წარწერაში მოხსენიებულ შიო მინდიაშვილს გავაიგივებთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული პიროვნება XIX საუკუნის II ნახევარში მოღვაწეობდა და მას რაღაც სამოხელეო თანამდებობა ეკავა. 1818 წლის რუსული აღწერის მიხედვით დიცს მამასახლისიც ჰყავდა.⁶⁴ არ არის გამორიცხული, რომ შიო მინდიაშვილი სოფლის მამასახლისი (ან უფრო დიდი თანამდებობის პირი) ყოფილიყო, რომელსაც დიცის ღვთისმშობლის ეკლესიის წინაშე დიდი ღვაწლი მიუძღოდა. რა დამსახურება უნდა ჰქონოდა დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის წინაშე შიო მინდიაშვილს? 1903 წელს, ეურნ. „კვალის“ ფურცლებზე დაბეჭდილი კ. ნოდიას კორეკსონდენციიდან ირკვევა, რომ დიცში ეკლესია ახალი ამოქმედებული იყო. მანამდე დიცის მრევლი ტირძინის ეკლესიაში დადიოდა.**

* აღსანიშნავია, რომ დიცში დაბადებულთა და გარდაცვალებულთა რეგისტრაცია დიცის ღვთისმშობლის ეკლესიის სარეგისტრაციო წიგნში ხდებოდა. არსებობს ამ მასალების ელ. ვერსია, რომელიც „დიცის ისტორიაზე“ მუშაობისას გადმოგვცა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გორის სამსახურის ხელმძღვანელმა ზაზა მინდიაშვილმა, რისთვისაც გულწრფელ მადლობას მოვასხენებთ. იხ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გორის სამსახურის არქივი, დიცის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის სარეგისტრაციო დავთრები, ელ. ვერსია, 26724.

⁶³ გ. სოსიაშვილი, დიცის ისტორია, გვ. 27.

⁶⁴ იხ. გსიემ, ფ. 8235, №128; გ. სოსიაშვილი, დიცის ისტორია, გვ. 18.

** აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ანონიმური რუსული წყაროს თანახმად ტირძინის ეკლესიას (არ არის დაკონკრეტებული რომელ ეკლესიაზეა საუბარი, თუმცა, ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს 1830 წელს დავით სულხანოვის (სულხანიშვილის) მიერ აგებული ტაძარი) XIX საუკუნის ბოლოს ეგზარქოსი ვლადიმირი ესტუმრა, რომელმაც ქართლის

სინოდის გადაწყვეტილებით, დიცში ეკლესია ამოქმედდა და მოძღვარიც გამოიგზავნა.⁶⁵ 1903 წელს გაზ. „ივერიას“ ფურცლებზე გამოქვეყნებული კორესპონდენციიდან ირკვევა, რომ დიცის ეკლესიისთვის წმ. სინოდს მღვდელი 1886 წელს დაუნიშნავს.⁶⁶ როგორც ჩანს, დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი გარკვეული პერიოდი XIX საუკუნის II ნახევარში დაკეტილი იყო, შესაძლოა, ტაძარი აღდგენას საჭიროებდა და, შესაძლებელია, სწორედ ამ საქმეში გამოიჩინა თავი საფლავის ქვის წარწერაში მოხსენიებულმა შიო მინდიაშვილმა. მამაკაცის მარჯვენა ხელში გამოსახული ჯვარი, ასევე მის თავზე ამოკვეთილი ორნამენტჩახატული თაღი, რომელიც ასევე ჯვრით ბოლოვდება, ჩვენი აზრით, სწორედ ამაზე უნდა მიანიშნებდეს. როგორც აღვნიშნეთ, აქვე ამ საფლავის გვერდით (მარჯვენა მხარეს) დაახლოებით ასეთივე ზომის ქვაა, რომლის ზედაპირზე ჯვარია გამოსახული. საფლავის ზედაპირზე მხედრული წარწერაა, რომელიც დაზიანებულია და ძნელად იკითხება. საფლავი ჩვენი აზრით, შიო მინდიაშვილის მეუღლეს უნდა ეკუთვნოდეს, რომელიც დიცის ღვთისმშობლის სარეგისტრაციო წიგნში მოხსენიებული ევა სოლომონის ასულია.

წარწერის ფრაგმენტი ასე იკითხება:

„მოიხ(...) მღებარე ვარ

ეკლესიები დაათვალიერა. ეგზარქოსს ტირძინისში დიდი ზემოთ დახედნენ. ტირძინისში 1885 წელს ერთკლასიანი საეკლესიო სკოლა დაარსდა, რომელიც 1896 წელს ორკლასიან სასწავლებლად გადაკეთდა. აქ არსებობდა სოფლის მეურნეობის განყოფილებაც. სასწავლებელთან შექმნილი იყო მოსწავლეთა სიმღერის გუნდი (ხორო), რომელსაც სათავეში უდგა გ. სეხნიევი (სეხნიაშვილი). ი. დ. სულხანიშვილმა ეგზარქოსი სადილზე მიიწვია. . . .

21-22.

წყაროში მოხსენიებულია საეკლესიო მამასახლისის () გიორგი სამადაშვილი. იქვე, გვ. 21. არ არ არის გამორიცხული, რომ შიო მინდიაშვილს ასეთი თანამდებობა ჰქონდა დიცში.

⁶⁵ ჟურნ. „კვალი“, 1903, 7 ივლისი, №23, გვ. 379-380; გ. სოსიაშვილი, დიცის ისტორია, გვ. 121.

⁶⁶ გ. სოსიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 123.

* ამ ადგილზე ქვის ზედაპირი გადაცვეთილია, სავარაუდოდ უნდა ეწეროს „მოიხსენე“.

ღთის(?) მე(...) ე(-) (ტაბ. XXVIII. 2).

აღნიშნული საფლავეების გვერდით კიდევ ერთი ქვაა, რომელიც დაზიანებულია. საფლავეის ქვაზე ანაფორიანი მამაკაცია გამოსახული, რომელსაც ხელები გულზე აქვს დაკრეფილი. მამაკაცის თავზე ჯვარია ამოკვეთილი. ქვის სამხრეთ კედელზე დაზიანებული მხედრული წარწერაა:

„ამა ლოდსა ქვეშე მდებარე... ამ ადგილზე საფლავეის ქვა გადატეხილია და წარწერა წყდება. ქვის ჩრდილოეთ კედელზე წარწერა გატეხილი ადგილიდან გრძელდება

...ძე(?)ლადიმერ 1885 წ“ (ტაბ. XXIX. 1). ეპიტაფიაში მოხსენიებული პიროვნება სასულიერო პირი უნდა იყოს, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ის ანაფორით არის გამოსახული ქვაზე. აღნიშნული საფლავეების გვერდით, დასავლეთ მხარეს კიდევ ერთი ეპიტაფია ამოვიკითხეთ:

„აქ მდებარე ვარ მარია მონდიაშვილის მეუღლე და ასული გიორგი ოქროპირიძისა(,) ადგურული 15 სა(,) დეკემბერს 1903 წ(,) მხილველნო შენდობა(,)“ (ტაბ. XXIX. 2).

ტაძრის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით კიდევ რამდენიმე საფლავეის ქვაა, სადაც დაზიანებული წარწერებია.

„(...ვარ მდებარე ივანე მინდიაშვილის ძე ვასილი“ (ტაბ. XXX. 1).¹¹

„(...რა უდროოდ მიგლე მახე(...) წარწერა გრძელდება ქვის სამხრეთ მხარეს (...ნეთ ვინც საფლავეი ჩემი ნახეთ მიხვილ გ(ი)რის(?) ძე ლაფაჩი“ (ტაბ. XXX. 2).¹²

ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით კიდევ ერთი საფლავეის ქვაა, რომელიც სონა სოლოს ასულ მეშვილდიშვილს ეკუთვნის:

ქვის სამხრეთ მხარეს ვკითხულობთ:

„მომხსენე(,) მე(,) უფალო(,) ვარ სონა სოლო მეშვილდიშვილის ასული(,)“

* შემდეგი სიტყვა ატკეპილია, სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყო „მობძანეთ“.

** წარწერის დასაწყისი არ კითხება.

*** საფლავეის ქვის ზედაპირზე არსებული წარწერა დაზიანებულია.

წარწერა ჩრდილოეთ მხარეს გრძელდება:
სიმონ ლაფაჩის მეუღლე(,) დაიბადა 1894 წ()
გარდაიცვალა 1929() (ტაბ. XXXI. 1).

ტაძრის სამხრეთით საფლავის ქვაზე, დაზიანებული ეპიტაფიაა, რომლის ნაწილობრივი ამოკითხვა შეეძლებოდა:

„აქ განისვენებს ვალენტ(?) გაბოს(?) ასული“ (ტაბ. XXXI. 2).

ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სასაფლაოს დობესთან კიდევ რამდენიმე საფლავია. აქედან ერთი უწარწეროა. მეორე საფლავის ქვა უწარწერო ლოდის სამხრეთით, რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით ხის ქვეშ არის მოქცეული. წარწერა, როგორც ჩანს, ქვის ზედაპირზე იყო დატანილი. შემორჩენილია მხოლოდ რამდენიმე სიტყვა:

„მომისხენე() მე უფალ()“ წარწერის გაგრძელების კვალი ქვის ზედაპირზე ჩანს, თუმცა მისი ამოკითხვა ვერ მოხერხდა. (ტაბ. XXXII. 1).

აღნიშნული ქვის სამხრეთით არსებულ საფლავზე ასეთი ეპიტაფია ამოვიკითხეთ:

„ჩყ [ვზ?] (1867) წელსა, მარიამობის კ (20)დღესა() ხორველით გარდაიცვალე ოცი წლის() შენდობა გეიბძანეთ“. (ტაბ. XXXII. 2). ქოლერა ხალხური ვერსიით ხორველა, XIX საუკუნეში დიცში სიკვდილიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო. სოფლის მცხოვრებთა გადმოცემით „ხორველით“ გარდაცვლილი ადამიანები სოფლის აღმოსავლეთით ე.წ. „გორეებთან“ იყვნენ დაკრძალულნი. ამ დაავადების არსებობას ამტკიცებს დიცში მცხოვრებ მიწინარაშვილთა ერთ განშტოებაში შემორჩენილი მეტსახელი „ხორველანი“. როგორც ჩანს, აღნიშნულ გვარში ქოლერა მიკინვარებდა და ამიტომაც შემორჩათ ეს მეტსახელი.

ტაძრის სამხრეთით ერთი შედარებით მომცრო ზომის ქვა-ძეგლია. შუა ნაწილში მას თეთრი ფერის ქვა აქვს ჩაშენებული. აღმოსავლეთ მხარეს წარწერის კვალი ჩანს. დაზიანებულ წარწერაში ირჩევა გვარი **„ვატიტაძე“**. (ტაბ. XXXIII. 1).

ტაძრის სამხრეთით კიდევ ერთი ეპიტაფიაა. მხედრული წარწერა საფლავის ქვის ზედაპირზე დაზიანებულია:

**„მომისსენე უფალო მხევალი შენი თაღია(?) (ივა?)ნე
მძინარაშვილის მე“ (ტაბ. XXXIII. 2).**

დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის ჩრდილო-და-
სავლეთით, მიწით და ჯაგნარით დაფარულ ადგილზე, სავარა-
უდოდ, კიდევ არის საფლავის ძველი ქვები, რომელთა შესწავ-
ლა ვფიქრობთ, რომ მომავლის საქმეა.

* სავარაუდოდ უნდა ეწეროს მეუღლე.

დიცის ღვთისმშობლის ტაძრის ასომთავრული წარწერები

როგორც აღვნიშნეთ, დიცის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია მდებარეობს სოფლის სასაფლაოზე. იგი წარმოადგენს დარბაზული ტიპის, მარტივი ფორმის სწორკუთხა ნაგებობას, ორქანობიანი ახლადგამართული თუნუქის სახურავით. სამხრეთ ფასადთან შერჩენილი აქვს მინაშენის ნაწილი. სამხრეთისა და დასავლეთის კედლებში გაჭრილია თითო კარი. ფანჯრები განთავსებულია მხოლოდ აღმოსავლეთის (ერთი) და სამხრეთის (ორი) კედლებში. სარკმელთა საპირეები იმკობა თხლად ჩაკვეთილი სტილიზებული დეკორით და ქუსლიანი მცირე ზომის წარბით, რომელიც არ ახლავს სამხრეთ-დასავლეთ სარკმელს. ტაძრის კუთხეები, კარ-ფანჯარათა საპირეები და სამხრეთის კედლის დასავლეთი მონაკვეთის ქვედა ნაწილი ამოყვანილია ადგილობრივი ჯიშის (ერედვის) წითელი ფერის ტუფის კვადრებით. დანარჩენი კედლები ნაგებია დუღაბზე რიყის ქვით. დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე სარკმლის საპირის სათაური მსგავსებას ამჟღავნებს ფრისის (დიციდან 4 კმ.-ის დაშორებით) ტაძრის (X ს.) აღმოსავლეთ სარკმლის თავსართთან. აღნიშნული ტაძრის სათაურიც მცირე ზომის ქუსლიანი წარბის სახით არის გამოკვეთილი, რომელსაც მაღლა ჯვარი ადგას.⁶⁷

ასეთივე ქუსლიანი წარბი გვხვდება (ოღონდ ორმაგი) პატარა ღვთისმშობლის ხეობის ზემო წელზე არსებულ სნეკვის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის (IX ს. ან X ს. დასაწყისი) აღმოსავლეთ ფასადზე.⁶⁸ სარკმლის საპირეს სათაურად ქუსლიანი წარბია გამოყენებული ატენის სიონის აღმოსავლეთ ფასადზეც.⁶⁹

⁶⁷

⁶⁸ იქვე . 93.

⁶⁹

., 1975, . 94.

, . IV, ., 1894, . 149.

აღმოსავლეთ ფასადზე სარკმლის საპირე ასეთივე სათაურით არის გადაწყვეტილი ერედვის ბერის საყდარზე. (X საუკუნის შუა წლები).⁷⁰ თუმცა, ბერის საყდრის აღმოსავლეთ ფასადზე სარკმლის საპირე პატარა ღიახევის ხეობაში არსებული ამ პერიოდის სხვა ძეგლებისგან განსხვავებულია (თალოვანი „წარბი“ აქაც მათი მსგავსია). საპირისა და სათაურის ურთიერთშეთანხმებასთან დაკავშირებით, ბერის საყდრის მაგალითზე საინტერესო დაკვირვება აქვს რ. მეფისაშვილს. ის წერდა: „აღმოსავლეთ ფასადის დეკორის ცალკეულ ელემენტთა განხილვა საპირისა და სათაურის ურთიერთშეთანხმების საკითხით უნდა დავიწყოთ. ყველა ჩვენთვის ცნობილ ძეგლში, სადაც ეს ორი ელემენტი ერთადაა გამოყენებული, საპირე თალოვანია და შეესაბამება სათაურის თალოვან მოხაზულობას. ბერის საყდრის მსგავს მაგალითს, სადაც ოთხკუთხა საპირის თავზე თალოვანი სათაურია მოთავსებული, ამ ხანებში ჩვენ სხვას ვერ ვნახავთ. ასეთი გადაწყვეტა, საფიქრებელია, თვით ამ ძეგლის ამშენებლის შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს. ამ გადაწყვეტაში ასახულია ხანა, რომელსაც ჩვენ ძეგლი სხვა მონაცემებით მივაკუთვნეთ. თუ საპირეს მოტივი VIII-IX საუკუნეთა ძეგლების ფასადებზე სპორადულად გვხვდება (წირქოლი, არმაზი, ბიეთი) X საუკუნეში ეს მოტივი მკვიდრდება და ამ საუკუნის ბოლოსათვის საყოველთაო ხდება. საპირე თანდათან დევნის სათაურს. X საუკუნე სწორედ ის პერიოდია, როდესაც ორივე ეს ელემენტი თანაბარი უფლებით თუ შეიძლება ასე ითქვას, ცოცხლობს, და სათაურის საპირით შეცვლის პროცესი თავისებურად ვლინდება.“⁷¹

ტაძრის ხალვათი ინტერიერი აღმოსავლეთით საკურთხევლით ფორმდება. სამხრეთი და ჩრდილო კედლები დანაწევრებულია ორსაფეხურიანი თითო პილასტრითა და მასზე გადავლებული ორ-ორი თალით. პილასტრები და თალები გამოკვეთილია წითელი ფერის ტუფის კვადრებით. საშენ მასალად, ისევე როგორც ამავე პერიოდის პატარა ღიახევის ხეობის სხვა ძეგ-

⁷⁰ რ. მეფისაშვილი, ბერის საყდარი, ქართული ხელოვნება, №7, 1971, გვ. 92.

⁷¹ იქვე, გვ. 103.

ლებზე გამოყენებულია ერედვის ქვა.* ინტერიერში შერჩენილია ძველი შელესილობის კვალი.

ტაძრის მანამდე უცნობი წარწერები გამოვლენილ იქნა აღმოსავლეთ ფასადზე და ინტერიერში – სამხრეთ პილონის აღმოსავლეთ საფეხურზე.⁷²

წარწერების აღმოჩენის შესახებ

დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, მოქმედი სალოცავი იყო. იგი გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკების მიერ იქნა გაუქმებული, თუმცა ადგილობრივი მორწმუნეების ძალისხმევით აქ წირვა-ლოცვა მაღევე აღადგინეს. XX საუკუნის დასაწყისში, დიცში მოსახლეობის რეგისტრაცია, ჯვრისწერის, ნათლობისა და გარდაცვალების ფაქტების აღწერის სწორედ ღვთისმშობლის ეკლესიის სპეციალურ წიგნში ხდებოდა. 2013 წლის აპრილში, ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, ოდნავ ჩამონგრეული ბათქაშის ქვეშ შევნიშნეთ რამდენიმე მრგვლოვანი გრაფიკა. ბათქაშის გაწმენდის შემდეგ აღმოჩნდა ქვაზე ჩაკვეთილი საქტიტორო ასომთავრული წარწერა. (ტაბ. XXXIV. 1). წარწერაზე თავდაპირველად ჩვენი

* გადმოცემის თანახმად, ერედვის ქვით არის აგებული ასევე მცხეთის ჯვრის ტაძარიც: „ერედვის მთაზე მოიპოვებოდა საშენი ქვა, რომელიც დღესაც არის შემორჩენილი, ქვა იყო ძალიან მტკიცე და ამასთანავე მსუბუქიც, როცა მცხეთაში ჯვრის სალოცავს აშენებდნენ, ორი ძმა მუშაობდა, ერთი ერედვის მთაზე საშენ ქვას ჭრიდა და ხარ-ურმით უგზავნიდა მეორე ძმას, რომელიც მცხეთაში ჯვრის ტაძარს აშენებდა. ერთხელაც ქვისმთელ კაცს ფეხი დასცურებია, კლდეზე ჩაჩეხილა და დაღუპულა. როცა მისი საქმე სხვამ გააგრძელა, მცხეთაში მყოფი ხურო მიხვდა, რომ ეს ქვები მისი ძმის ნახელავი არ იყო. წამოსულა და ერედვში იმ ადგილას, სადაც მისი ძმა დაღუპულა, მცხეთიჯვარი დაუარსებია (გადმოცემა 2007 წელს ჩავიწერეთ 80 წლის ოთარ ქრისტესიაშვილისაგან). გ. სოსიაშვილი, სოფელ ერედვის ისტორიიდან, წიგნში: ნარკვევები, შიდა ქართლის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 40.

⁷² გ. სოსიაშვილი, დიცში აღმოჩენილი ასომთავრული წარწერები, ჟურნ. „ქაროზი“, №72, 2016, გვ. 22-24; G. Sosiashvili, Asomtavruli Inscriptions on Ditsi Saint Mary Virgin Church Near the Russian Occupational Line, Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies, #26, Centre for East European Studies, Faculty of Oriental Studies, University of Warsaw, Warsaw, 2016, p. 161-177.

თხოვნით იმუშავეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სპეციალობის მაგისტრმა ნ. ხარშილაძემ და ისტორიის აკადემიურმა დოქტორმა თ. გოგოლაძემ. საწყის ეტაპზე წარწერის ამოკითხვა მათ მიერ განხორციელდა.*

* წარწერის ტექნიკური აღწერილობა და პალეოგრაფიული დახასიათება მოგვაწოდა ნ. ხარშილაძემ, რისთვისაც მას მადლობას მოვასხენებთ. მკვლევრების (ნ. ხარშილაძე, თ. გოგოლაძე) აზრით წარწერა, სავარაუდოდ, X საუკუნით თარიღდება. გთავაზობთ წარწერის წაკითხვის მათ ვერსიას:

**სამი ძმის, ბეშქენის, გოდერძის და ჯარიდის სააღმშენებლო წარწერა
სოფელ დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრიდან
(X ს.)**

დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, წნული ორნამენტული სარკმლის თავზე მოთავსებულია ტუფის ქვის ფილა (142X57 სმ.). ქვის ფილაზე, სარკმლის ბოლოუბაკეცილი თავსართია წარმოდგენილი, რომელზეც რელიეფური, ამჟამად დაზიანებული, ჯვარია გამოსახული. ქვის ფილაზე ამოკვეთილია ოთხ სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, რომელიც რელიეფური ჯვრის ქვემო მკლავების ორივე მხარეს ნაწილდება, ხოლო ერთი სტრიქონი კი სარკმლის ბოლოუბაკეცილ რელიეფურ თავსართზე გადადის. წარწერის ტექსტი დაზიანებულია, პირველი სტრიქონის ბოლო ორი სიტყვის რამდენიმე გრაფემა ფარგმენტულად იკითხება, ხოლო ორი ასო მთლიანად გადაშლილია. ფარგმენტულად იკითხება მეორე სტრიქონის პირველი სიტყვის ბოლო და მეორე სიტყვის პირველი გრაფემებიც. რელიეფურ თავსართზე ამოღარული წარწერის ტექსტის ბოლო ნაწილიც აღარ იკითხება. პირველი სტრიქონის მეოთხე სიტყვაში „ა“-მეტობაა, ხოლო რელიეფურ თავსართზე ამოკვეთილი ტექსტის მეორე სიტყვაში ხანის ნაცვლად „შ“-ინია წარმოდგენილი.

წარწერის კვეთის სიღრმე 0,2-0,5 სმ-ია, ხოლო გრაფემების სიმაღლე 1,2-9,1 სმ; ქარაგმის ნიშნად გამოყენებულია მოკლე განივი, პორიზონტალური ხაზი; განკვეთილობის ნიშანი გვეხედება მხოლოდ ერთგან – ორწერტილის სახით.

„სახელითა ღ(მრთისაი)თ<ი>{ა}, ესე ეკ<ა>ლესა ადვ{ა}შენ[ნეთ / სამთ{ა} ძმათა: ბ(ე)შქენ(ნ), გოდერძმან / და ჯარიდმა/ნ, ვინ წდკით<შ>{ხ}ოს, ლოცვასა [მოგვისსენეთ]“

რაც შეეხება ტაძრის ინტერიერში სამხრეთ პილონის აღმოსავლეთ საფეხურზე აღმოჩენილ ნაკაწრ წარწერებს, ისინი აღმოსავლეთ ფასადზე მიკვლეული წარწერის შემდეგ იქნა აღმოჩენილი აქ მომუშავე ჯგუფის მიერ (ნ. ხარშილაძე, თ. გოგოლაძე, თ. ჯოჯუა). (ტაბ. XXXV. 1).*

პალეოგრაფიული დახასიათება და დათარიღების საფუძვლები:
ასომთავრული წარწერა შესრულებულია ორხაზოვან ბადეში. ზოგიერთი გრაფემა გადმოცემულია მარჯვნივ გაზიდული დამატებითი განივი ხაზებით (ლასი, თანი, დანი, ენი, ვინი, ბანი, განი.); „ლასის“ მუცელი ორ შემთხვევაში შეკრული არ არის; გრაფემა „კანის“ მუცლის შემკვრელი ხაზები, ერთ შემთხვევაში, ერთმანეთს არ უერთდება; გრაფემა „მანის“ მუცლის შემკვრელი ხაზი აღარ გადადის მარჯვენა მხარეს, ხოლო ერთ შემთხვევაში. მუცლის წრე გახსნილია; გრაფემა „დონის“ მუცელი არახდროს შეკრული არ არის; გრაფემა „წილს“ წრეები შეკრული აქვს; გრაფემა „ონს“ მოკლე, განივი, მარჯვნივ გაზიდული ხაზი აქვს; პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა მსგავსებას ავლენს შიდა ქართლის იმ ეპიგრაფიკულ ძეგლებთან, რომლებიც X საუკუნით თარიღდებიან, შესაბამისად, ვიდრე წარწერაში მოხსენიებული პირების იდენტიფიკაციაზე გავამახვილებთ ყურადღებას, დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის საადმშენებლო წარწერას, ზოგადი ქრონოლოგიით, X საუკუნით განვსაზღვრავთ.

* წარწერები ვერ მოხვდა ჩვენს მიერ 2010 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „დიცის ისტორია“, რადგან იგი მანამდე უცნობი იყო.

წარწერების აღწერა

სამი ძმის: ბეშქენის, გოდერძის და ჯარიდის სააღმშენებლო
წარწერა
(IX ს.)


წარწერა განთავსებულია ტაძრის აღმოსავლეთ სარკმლის თავზე ტუფის ქვის დიდი ზომის ფილაზე (142X57 სმ.). არაწესიერი კონფიგურაციის მქონე კვადრის ცენტრალური არე სარკმლის თავსართს წარმოადგენს და შემკულია ქუსლიან წარბზე აღმართული ჯვრის რელიეფური გამოსახულებით, რომლის ქვედა დონის თავისუფალ ეზოზე, ჯვრის ორივე მხარეს, ოთხსტრიქონიანი სახეიმო წარწერა არათანაბრად ნაწილდება. პირველი და მეორე სტრიქონი ჯვრის ქვედა მკლავით ორ ნაწილად იყოფა, მესამე სტრიქონი ჯვრის მეორე მხარეს აღარ გადადის, ხოლო მეოთხეს წარბის ცენტრალური მონაკვეთი და მარჯვენა ქუსლის შვერილი ეთმობა.

წარწერა ნაკლულია. ფრაგმენტულად იკითხება პირველი სტრიქონის ბოლო ორი სიტყვის რამდენიმე გრაფემა, ხოლო ორი ასო-ნიშანი მთლიანად წარხოცილია. ფრაგმენტულია მეორე სტრიქონის პირველი სიტყვის ბოლო და მეორე სიტყვის პირველი გრაფემები, ასევე რელიეფურ თავსართზე - წარწერის ტექსტის ბოლო ნაწილიც. პირველი სტრიქონის მეოთხე სიტყვაში „ა“ - მეტობაა, ხოლო რელიეფურ თავსართზე ამოკვეთილი ტექსტის მეორე სიტყვაში „ხან“-ი შებრუნებული სახითაა დაწერილი. წარწერის კვეთის სიღრმე 0,2-0,5 სმ-ს შეადგენს; უდიდესი გრაფემის სიმაღლე – 9,1 სმ.; უმცირესი გრაფემის სიმაღლე – 1,2 სმ. ქარაგმის ნიშანი: მოკლე განივი სწორი ხაზი; განკვეთილობის ნიშანი – ორი წერტილი პირველ სტრიქონში. დაზიანებების მიუხედავად, ქართული ასომთავრულით შესრულებული საქტიტორო წარწერა სრულად იკითხება. იგი შემდეგს გვაუწყებს:

სცჲუხიძე იძვი: უსუჲ უსუნა სიუჲუ[–]ქ
სცჲი კჲსძეც 9471 || 128716628

ბ ჯ ა ნ ო ბ ა
ნ // ზ ნ ჩ ა ნ ი თ ყ ი ს ლ ო გ ი ჯ ო ს [—]

1. „სახელითა ღ(მრ)თი(საითა): ესე ეკა(sic)||ლეს(ია)ა
 აღვ(ა)შე[ნეთ
2. სამთ(ა) ძმათა ბ(ე)შქე(ნ) || გოდერძმან
3. და ჯარიდმა
4. ნ ვინ წ(ა)დკითხ(sic)ოს ლოცვასა [მოგვისხენეთ]“



არქაული ტრადიციის თანახმად, წარწერაში ტექსტის დაწეების ნიშანი – ქანწილი (+) არ გვხვდება. „წილს“ ორივე წრე შეკრული აქვს. IX საუკუნის შესაბამისად, ტექსტში სიტყვები დაცილებული არ არის და ერთადერთი განკვეთილობის ნიშანიც - ორი წერტილი უზის ერთმანეთისაგან დაუცილებელ სიტყვებს. „განს“, „ენს“, „ვინს“, „ლასს“ მარცხნივ უჩნდებათ დამატებითი განივი ხაზები. „მანის“ მუცლის შემკვერელი ხაზი მარჯვნივ არ გადადის. „მანის“ და „ენის“ განივი ხაზები ცალკეულ შემთხვევაში ზემოთ იწევენ. ბუნიანი გრაფემების გარკვეული ნაწილი სიმაღლეში გაზრდილია. წარწერა ორხაზოვანებიდან გამოდის და ოთხხაზოვანების, კერძოდ, განუსხურებისაკენაა მიდრეკილი⁷³. პირველი სტრიქონის „ბ“ (კ) მსგავსებას იჩენს უსა-

⁷³ აღნიშნული პალეოგრაფიული თავისებურებების შესახებ იხ. ქართული წარწერების კორპუსი (ქწკ). ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავ-

ნეთის სტელის (VIII ს.) განმსაზღვრელ წარწერებში დაცულ „ხ“ (კ) გრაფემასთან⁷⁴. „რ“ მარჯვნივ ოდნავ გადახრილი ბუნითა და გადახსნილი ორივე რკალით შესაბამისობაშია ატენის სიონის საკურთხეველის ჩრდილო კალთაზე ორსტრიქონიანი ასომთავრულნარევი ნუსხური წარწერის (IX–X სს) „რ“-სთან.⁷⁵ წარწერას ქორონიკონი არ ახლავს, ნ. შოშიაშვილის განმარტებით ქართული წარწერების დათარიღება ქორონიკონით, ხოლო ზოგჯერ ჰიჯრითა და „დასაბამითგანით“ IX საუკუნიდან იწყება, თუმცა, IX საუკუნის შემდეგაც წარწერების უმრავლესობა უთარიღოა.

ტაძრის ინტერიერში დაცული წარწერები გრაფიტებს წარმოადგენენ. ისინი განთავსებული არიან სამხრეთ პილასტრის აღმოსავლეთ საფეხურზე, იატაკის დონიდან მესამე კვადრზე, რომლის ზედაპირი ტალღოვანია და აღენიშნება მცირე და დიდი ზომის ღრმულები.

მოსახსენებელი მიქელისა (X ს.)

ერთსტრიქონიანი, მხედრულზე გარდამავალი ნუსხური წარწერა განთავსებულია კვადრის შუა დონეზე, გრაფიკული გამოსახულებების ქვედა მონაკვეთის გასწვრივ, იატაკის დონიდან 139, 5 სმ. სიმაღლეზე, კიდიდან 1,7 სმ-ს დაშორებით. (ტაბ. XXXVI. 1) ჩაკვეთილია თხლად, სუსტად გაირჩევა. ქარაგმის ნიშანი განივი სწორი, ოდნავ დახრილი ხაზია. დაქარაგმებულია მხოლოდ პირველი სამი გრაფემა „(კ) შ(ეიწყალ)ე“. წარწერას უკავია 7×2 სმ ფართობი. ასოების სიმაღლეა 2-0,5 სმ. მსგავსი „შ“ გამოვლენილია ატენის სიონის დას. აფსიდის ჩრ. კალთაზე, საღებავის ფენის ქვეშ ამოკვეთილ

ლეთ და სამხრეთ საქართველო (V–X სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 32-33.

⁷⁴ იქვე, გვ. 127-129; სურ. 54,57, 58, 59.

⁷⁵ ქართული წარწერების კორპუსი (ქწკ). ფრესკული წარწერები, I, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს გურამ აბრამიშვილმა და ზაზა ალექსიძემ, თბ., 1989, გვ. 96-97. სურ. 31.

კრიპტოგრაფიის (X ს.) „კ“-სთან.⁷⁹ წარწერის გრაფემა „ე“ მსგავსია დას. აფსიდის ჩრ. კალთაზე, აფსიდისა და ბემის კედლების შესაყარში აფსიდის კედლის სისქეზე დაცულ მხედრულზე გარდამავალ ნუსხური მოსახსენებელი წარწერის (X ს.) „ე“-სი.⁸⁰ მიგვაჩნია, რომ „კ“ და „ე“ გრაფემების გვერდიგვერდ არსებობა ანთროპონიმ „კონსტანტინეს“ უნდა აღნიშნავდეს, თუმცა, ანთროპონიმის რამდენჯერმე ხსენება ეჭვს უნდა იწვევდეს და შესაძლებელია გამეორებული „კ“ და „ე“ გრაფემები სხვა სიტყვებს აღნიშნავდეს. (ტაბ. XXXVII. 1).

ყი	ჟი	ჟი	ჟი	1. შ(ეიწყალ)ე	კ(ოსტანტინ)ე	კ(ოსტანტინ)ე
კ(ოსტანტინ)ე						
ჩჩ				2. წმ(იდა)		

გადაფხეილი წარწერა (IX-X სს)

ნუსხური სამსტრიქონიანი წარწერა, რომლის მხოლოდ რამდენიმე გრაფემა გაირჩევა, განთავსებულია კონსტანტინეს წარწერის შემდეგ იატაკის დონიდან 134 სმ. სიმაღლეზე. მარცხენა კიდიდან 2,3 სმ. დაშორებით. გრაფემებს ემჩნევა თხლად ჩაკვეთის კვალი. წარწერას უკავია 3x5 სმ. ფართობი. (ტაბ. XXXVIII. 1).

ყი	1. შ(ეიწყალ)ე
.....ჟიქ?...	2.ოეც
ჟიქ	3. ეც . . .

მოსახსენებელი კონსტანტინე ბაკანასა (IX-X სს)

I.

სამსტრიქონიანი ნუსხურ შერეული ასომთავრული წარწერა განთავსებულია გადაფხეილი წარწერის შემდეგ იატაკის დონიდან.

⁷⁹ ფრესკული წარწერები, I, გვ. 170. სურ. 40, 41.

⁸⁰ იქვე, გვ. 178-179. სურ. 49.

ნიდან 131 სმ. მარცხენა კიდიდან 3 სმ. დაშორებით. ხასიათდება საშუალო სიღრმით ჩაკვეთილი ხაზებით. წარწერას უკავია 3,2×6 სმ. ფართობი. ასოების სიმაღლეა 1,3–0,5 სმ. (ტაბ. XXXIX. 1). „ბ“-ს, „ე“-ს და „ნ“-ს დაწერილობა მსგავსია ატენის სიონის საკურთხევლის სამხრეთ კალთაზე დეკორატიული ჩარჩოს გადასული საღებავის ქვეშ შავი საღებავით შესრულებული პილიგრიმული წარწერის (IX ს.) იგივე გრაფემებისა.⁸¹ ბუნიანი გრაფემები სიმაღლეში გაზრდილია. წარწერა ორხაზოვანებიდან გამოდის და ოთხხაზოვანებისკენაა მიდრეკილი. „კ“-ს ორივე ფეხი ერთ ვერტიკალურ ხაზზე ნაწილდება. მისი შეკრული წრიული მუცელი მარცხენა მხარესაა მოქცეული. ასეთი „კ“, მხოლოდ მარჯვნივ გატანილი შეკრული მუცლით დასტურდება ნინოწმიდის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის, ჩრდილოეთის მხარეზე, სარკმლის ქვემოთ.⁸²

ჩ ყ ო ზ	1. ქ(რისტე) შ(ეიწყალ)ე კ(ოსტანტინ)ე ბა
ჰ[რ]ჩ[რ]ა რმჟ	2. კანაი ამე ჯ
ჟ ნ	3. ვ ნ

ამ წარწერის მეორე სტრიქონის ბოლოს არის სხვა ხელით შესრულებული, თხლად ჩაკვეთილი ნუსხური X (ჯ), ხოლო მესამე სტრიქონის დასაწყისში ი (ვ).

წარწერის გასწვრივ, მეორე კიდეთან ჩაკვეთილია რვა ვერტიკალური ღრმა ზოლი, რომლის ქვემოთაც გრძელკისრიანი ფრთებ და ფეხებ შეეკცილი ფრინველის გრაფიკული გამოსახულებაა გადმოცემული ხაზგასმულად კუთხოვანი, ზოგადი ფორმით. (ტაბ. XLII. 1)

მოსახსენებელი ჯარიდისა (IX-X სს)

სამსტრიქონიანი ნუსხურშერეული ასომთავრული წარწერა განთავსებულია ფრინველის გრაფიკული გამოსახულების

⁸¹ ფრესკული წარწერები, I, გვ. 103. სურ. 38.

⁸² ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). ტაბ. 116.

გასწვრივ იატაკის დონიდან 120 სმ. (ტაბ. XL. 1) მარცხენა კიდიდან 2,8 სმ. მანძილზე. ჩაკვეთილი გრაფემების კონტურები მკვეთრია და ფართო. ქარაგმის ნიშანი მოკლე განივი ხაზი პირველი და მეორე სიტყვის თავზე „ქ(რისტე) შ(ეიწყაღ)ე“. მოიცავს 4×10 სმ ფართობს. ასოების სიმაღლე 3,6–0,5 სმ. გრაფემების „ე“-ს, „მ“-ს თავი ზემოთ იწევს. ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე განთავსებული წარწერის „რ“-ს მსგავსად ჯარიდის მოსახსენებელშიც „რ“-ს ბუნი მარჯვნივაა გადახრილი და ორივე რკალი გახსნილი აქვს. „ანი“ დიდ მსგავსებას იჩენს ატენის სიონის საკურთხეველის ბემის სამხრეთ კალთაზე, მამფალ სუმბატ აშოტის ძის ფრესკული ეპიტაფიის (885 წ.) „ან“-თან.⁸³ ამ წარწერის „მან“-ის მსგავსად ჯარიდის მოსახსენებელის „მან“-საც მცირე ჰორიზონტალური შვერილი უწნდება მარჯვნივ.

ⴓⴓ ⴓⴓ ⴗⴚⴓⴓⴓ
 ⴓⴓⴓ ⴓⴓⴓⴓⴓⴓⴓⴓ
 ⴓⴓⴓⴓⴓ

1. ქ(რისტე) შ(ეიწყაღ)ე ჯარიდ
2. ი მე დავწერე
3. მიქაელ

მოსახსენებელი კოსტანტინე ბაკანაისა (IX-X სს)

სამსტრიქონიანი ასომთავრულ შერეული ნუსხური წარწერა განთავსებულია ჯარიდის მოსახსენებელის ქვემოთ იატაკის დონიდან 115 სმ. მარცხენა კიდიდან 1,5 სმ. მანძილზე. ჩაკვეთილია თხლად. ქარაგმის ნიშანი მოკლე განივი ხაზი სახელის თავზე „კ(ოსტანტინ)ე“. მოიცავს 11×3,5 სმ ფართობს. ასოების სიმაღლე 1,4–0,5 სმ. (ტაბ. XLI. 1).

ⴓⴓ ⴓⴓ ⴓⴓ ⴓⴓⴓⴓⴓⴓⴓⴓⴓⴓⴓ
 ⴓⴓⴓⴓⴓ ⴓⴓⴓⴓⴓⴓⴓⴓⴓⴓⴓⴓⴓ
 ⴓⴓⴓⴓⴓ...

1. ქ(რისტე) შ(ეიწყაღ)ე კ(ოსტანტინ)ე ბაკანაი ყოე
2. ღგან ეკლესიათ მათ
3. ალა(გს)

⁸³ ფრესკული წარწერები, I, გვ. 95. სურ. 29.

აღსანიშნავია, რომ ტაძრის ინტერიერში სამხრეთ კედელზე, ასომთავრული წარწერების მადლა გრაფიკული გამოსახულებებია, რომელსაც მარჯვენა ხელში ბორჯღალი უჭირავს, მარცხენა ხელის მტევანი ატკეჩილია, თუმცა, ემჩნევა ჯვრის ფორმის ნაკაწრი. საინტერესოა, რომ ადამიანის გამოსახულებას თავის ნაცვლად გულის ფორმა აქვს, სადაც ადამიანის თვალებია ამოკვეთილი (ტაბ. XLII. 1); გრაფიკული გამოსახულების ქვედა ნაწილზე, ქალის სამოსია ამოკაწრული. ჩვენი აზრით, ის წარწერების ამოკვეთის თანამედროვე გამოსახულება უნდა იყოს.* გრაფიკული გამოსახულების ზემოთ ყვავილოვანი ორნამენტის ფრაგმენტი ჩანს, რომელიც დაზიანებულია და ძნელად ეტყობა. ეს ადგილი როგორც ჩანს, გამორჩეული იყო მღვდელთმცოდნეობისთვის, რადგან გრაფიკულ გამოსახულებას და წარწერებს მორწმუნეთა მიერ სანთლების დანთების შედეგად არსებული ცეცხლის კვალი ეტყობა. ადამიანის გრაფიკული გამოსახულების მადლა სამი გრაფემაა. (ტაბ. XLII. 1). სამივე მათგანი მრგვლოვანი მოხაზულობისაა. პირველი გრაფემა თავისი მოხაზულობით „სან“-ს ჰგავს. „სან“-ის შემდეგ კედლის ზედაპირი დაზიანებულია და კიდევ ერთი გრაფემა იკითხება, რომელიც მოხაზულობით „იოტას“-სთან უფრო ახლოა. „სანის“ შემდეგ შეიმჩნევა პორიზონტალურად განლაგებული ორი წერტილი. „იოტას“ ზედა ნაწილი მარჯვნივ და მადლაა გაზიდული. სანის დაბლა გრაფემის ხაზი შეიმჩნევა, ოღონდ ვერ იკითხება, ხაზის სიგრძე დაახლ. 12 მმ-ია, არ არის გამორიცხული, რომ ეს ხაზი ამ წარწერის მეორე სტრიქონის ქარაგმაც იყო. ჩვენი აზრით, ეს წარწერა ადამიანის გრაფიკულ გამოსახულებას უკავშირდება, რადგან აღნიშნული გრაფემები მის თავზეა განლაგებული. გრაფემების ზომებია: 4-7 მმ.

* დიცის ღვთისმშობლის ტაძრის გრაფიკული გამოსახულება სამომავლო კვლევის საჭიერია და ის ხელოვნებათმცოდნეების დაინტერესების საგანი უნდა გახდეს.

დიცის ღვთისმშობლის ტაძრის ასომთავრული წარწერები და ტბელთა ფეოდალური საგვარეულო

დიცის წარწერებში მოხსენიებულ პირთა ზუსტი იდენტიფიკაცია, ცხადია, გეოინფორმაცია, რადგან, წარწერებში მხოლოდ ტაძრის ამგებ პირთა სახელებია ცნობილი. ვინ უნდა იყვნენ ღვთისმშობლის ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე მოხსენიებული: გოდერძი, ჯარიდი და ბეშქენი? X საუკუნის ასომთავრული წარწერების დიდი ნაწილი, რომლებიც შიდა ქართლში – დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში – არსებულ ტაძრებზეა შესრულებული, ცნობილი ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლებს – ტბელებს უკავშირდება. განსაკუთრებით საყურადღებოა ერედვის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის სამხრეთ ფასადის მრგვალი სვეტის ზედა ნაწილზე შესრულებული წარწერა, სადაც მოხსენიება ქართლის უფალი ივანე ტბელი. წარწერაში ვკითხულობთ: „[სახ]ელითა ღ(მრთისა)ათა, მ[ამისა, ძისა და] სუ[ლისა წ]მიდის[ათათა], მეოხებითა წმ(ი)დ(ი)სა ღ(მრ)თი[სმ²/შ]ობელისათათა, [შეწვენითა წმ(ი)დ(ი)სა გი](ორგი)სითა, კელმწიფობასა ღ(მრ)თ(ი)გდამყარ[ექ]ბუელისა წმიდ[ი]სა კოსტანტი[ნ]ე მეფისასა, რ(ომე)ლ(მ)ან ბრძანა და ჩავიდა ჰერე⁴თს [შ]იგან, ჰერთა მეფ[ე]დ გა(ა)[ქ]ცია და მუნთ მშუიდობით იქცა, ცისკრად ა⁵ლავერდს ილოცა, [მ]წუხრი ბრეძას გადატა; მეორედ კ(უ)ლა ავიდა, ვეჯინ⁶ისა ციხე დაღეწა; ქართლს შინა უფლობასა ტბელისა ივანესა, მთავარ⁷ე[ბი] სკო[ლ]ობასა სანატრელისა ყუარყუარესა*, ჯ(უ)ართითა მისითა; გაზრახვითა ნიქოზ⁸ე[ლი]სა – სანატრ[ელ]ისა სტეფანეებისკოსისათა, ძალითა, შეწვენითა მოყუას⁹თათა, მე თ(ეველ)ორე თაფლამსქემან დავდე საძირკველი – წელინი იყ(უ)ანეს ხფი, ქრონიკ[ონსა ჩქე].“⁸⁴

* ამ სიტყვის აღდგენა პირობითია.

⁸⁴ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 172; რ. მეფისაშვილი, ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის საამშენებლო წარწერა,

ერედვის ტაძრის წარწერა 906-914 წ.წ. თარიღდება. როგორც ნ. შოშიაშვილი აღნიშნავს: „1 წარწერაში აღნიშნული თარიღი „ხვი“-6510 (-906 წ.) წარწერის თარიღი კი არ არის, არამედ ეკლესიის მშენებლობის დაწყების. წარწერას კი ამოკვეთდნენ ეკლესიის დასრულების შემდეგ, ე.ი. 906 წლიდან დაახლოებით ათიოდე წლის შემდეგ; 2) წარწერაში აღნიშნული ლაშქრობა აფხაზთა მეფის კონსტანტინესი ჰერეთს, წყაროების ცნობით, მოხდა აბულ-კასიმის ლაშქრობის (914) შემდეგ.“⁸⁵ ერედვის წარწერაში მოხსენიებული ივანე ტბელი გვხვდება ასევე დოდოთის სამეკლესიანი ბაზილიკის შუა ეკლესიის სამხრეთი კარის მარჯვენა წირთხლზე არსებულ წარწერაში: „სახელით/2ა ღ(მრ)თი(საძთა) ივანე ე³რ[ისტ]ამ(ა)ნ ტბ(ელ)მ(ა)ნ/4 აღ(ა)შენა ესე წ(მიდა)ე ე⁵კლესიაჲ სალო⁶ცველად მისთ⁷ის და ხუთთა ძე⁸თ[ა მისთ]⁹ათუ[ის].“⁸⁶ როგორც ამ წარწერიდან ჩანს, ივანე ტბელს ხუთი ძე ჰყავდა. მისი ძეებიდან დოდოთის ეკლესიის დასავლეთის კარის ტიმპანზე ამოღარულ ოთხსტრიქონიან ასომთავრულ წარწერაში, რომელიც დაახლ. 914 წლით თარიღდება, იხსენიება ქავთარი: „წ(მიდა)ო ნ(ა)თლ(ისმ)ც(ე)მ(ელ)ო, მ(ეო)²ხ ექმ(ენ) მ(ო)ნ(ა)სა შ(ე)ნსა³ ტბ(ელ)ი(სა) ძესა ქ(ა)ვთ(ა)რსა⁴ ორსავე ცხ(ო)რ(ე)ბ(ა)სა.“⁸⁷ რაკი ამ დროს, ერედვის წარწერის თანახმად ტბელთა ფეოდალური სახლის ხელმძღვანელი ივანეა, ამიტომ დოდოთის ეკლესიის ამ წარწერაში მოხსენიებული ტბელი, რომლის ძეც ქავთარია, ივანე უნდა

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. V, №10, 1944, გვ. 44-45; ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, V-X საუკუნეების ძეგლები გამოსცა, ტაბულები და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა, თბ., 1953, გვ. 3; ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, თბ., 1970, გვ. 16.

„1975, . 52-53. საინტერესოა, რომ ერედვის წარწერას ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს იხსენიებს გეზარქოს ვლადიმირის ქართლში მოგზაურობის მიმომხილველი. იხ. . .

, . 20.

⁸⁵ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 171.

⁸⁶ იქვე, გვ. 176.

⁸⁷ იქვე, გვ. 177.

იოს. სწორედ ივანე ტბელის და, სავარაუდოდ, მისი ხუთი ძის (შესაძლებელია სხვა სახლისკაცების მონაწილეობითაც) ბრძანებით და ინიციატივით აიგო ერედვის წმ. გიორგის ტაძარი. ამას ერედვის ტაძრის სამკვეთლოს სარკმლის ორივე მხარეზე ამოღარული ასომთავრული წარწერაც გვაუწყებს: „აღეშენ[ნ]ა² წ(მიდა)ღ [ეკ](ლესია)ღ [ე³სე ყოვ(ელ)]⁴თა [ტ]ბე[ლ]თ⁵ა ბრძანე/ბითა.“⁸⁸ ერედვის წარწერაში მოხსენიებული ივანე ტბელი ქართლის უფალი (გამგებელი) იყო, ის სათავეში ედგა ტბელთა ფეოდალურ სახლს. სწორედ მისი ბრძანებით აიგო ერედვის ტაძარი, რომლის წარწერაში ჯერ კონსტანტინე აფხაზთა მეფის ჰერეთში ლაშქრობაზეა საუბარი, ხოლო შემდეგ ხაზი აქვს გასმული ივანე ტბელის „ქართლსა შინა უფლობას“. ივანეს შემდეგ წარწერა ქართლის მთავარეპისკოპოსს ყ̄-ს შესახებ გვამცნობს, რომლის ღოცვა-კურთხევით („ჯუართა მისითა“) აშენდა ერედვის ტაძარი, ყ̄-ს მოხსენიების შემდეგ, წარწერა ნიქოზის ეპისკოპოსს სტეფანეს შესახებ გვაუწყებს, რომლის „გაზრახვითა“ აიგო წმ. გიორგის ეკლესია. ერედვის წარწერაში ჯერ მთავარეპისკოპოსია მოხსენიებული, ხოლო შემდეგ ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანე. ძალზე საინტერესოა, რომ მთავარეპისკოპოსის სახელი დაქარაგმებით „ყ̄“ იკითხება, ხოლო ნიქოზელი ეპისკოპოსის სახელი კი სრულად წერია. მთავარეპისკოპოსის დაქარაგმებულ სახელთან დაკავშირებით რ. მეფისაშვილი წერდა: „ივანე ტბელის შემდეგ წარწერაში იხსენიება მთავარეპისკოპოსი, რომლის სახელს დამწერი ქარაგმით ასე გამოხატავს: „ყ̄ესა“. „მთავარეპისკოპობასა სანატრელისა ყ̄ესა“. როგორ უნდა გაიხსნას აქ ქარაგმა, რაიმე გრაფიკულ შეცდომასთან ხომ არა გვაქვს საქმე, ეს ჯერჯერობით გაურკვეველი გვრჩება.“⁸⁹ წარწერის ამ ნაწილს ვ. თოფურია შემდეგნაირად კითხულობს: „ს(?) ასა სანატრელისა ყ̄///ა ჯ̄რითა მისითა გაზ(?)რახვითა [სანატრელისა სტეფანე ეპისკოსისა]ათა

⁸⁸ იქვე, გვ. 173.

⁸⁹ რ. მეფისაშვილი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნება, №4, 1955, გვ. 116-117; ნ. შოშიაშვილმა ქარაგმა პირობითად გახსნა და ყ̄ მიიჩნია, როგორც ყვარყვარე. ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 177.

ძალითა შეწვევითა...“⁹⁰ ვ. თოფურიასეულ წაკითხვაშიც ქართლის მთავარეპისკოპოსის სახელი შემოკლებით წერია. როგორც არ უნდა იქნას წაკითხული მთავარეპისკოპოსის დაქარაგმებული სახელი, ერთი რამ ცხადია, რომ დამკვეთებმა გარკვეული სუბორდინაცია დაიცვეს, ჯერ მთავარეპისკოპოსი მოიხსენიეს, შემდეგ კი ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანე, მაგრამ როგორც ჩანს, მთავარეპისკოპოსის გავლენა აღნიშნულ არეალზე, მაშინდელი პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, ნომინალური იყო, სხვა შემთხვევაში, მის სახელს სრულად ჩაწერდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ქტიტორებმა სუბორდინაცია ფორმალურად დაიცვეს. რაც შეეხება წარწერაში მოხსენიებულ: „ძალითა, შეწვევითა მოყუასთაითა“. როგორც რ. მეფისაშვილი განმარტავს: „ისინი ალბათ ეკლესიის სხვა მსახურნი იყვნენ“.⁹¹ ერედვის ტაძრის მეორე ასომთავრულ წარწერაში ხაზი აქვს გასმული, რომ ეკლესია ყოველთა ტბელთა ბრძანებით აიგო. ამ „ყოველთაში“, იგულისხმება, ან ივანე ტბელი და მისი ხუთი ძე, ან ივანე და მისი სახლისკაცები. არ არის გამორიცხული, რომ წარწერაში მოხსენიებული ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანეც ტბელთა ფეოდალური სახლის წევრი იყო. ი. მეგრელიძეს გამოქვეყნებული აქვს ნიქოზის ღვთაების ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე მიკვლეული მინაწერები: „იოვანე სტეფნე ზქრ ქე შე“. მკვლევარი მინაწერს ასე კითხულობს: „იოვანე, სტეფანე, ზაქარია, ქრისტე, შეიწყალებ!“. იქვეა სხვა მინაწერიც: „ქე ბი შე ჩ აიფსი წო სტეფნე შე“. მკვლევარს არ აქვს მოცემული აღნიშნული მინაწერების პალეოგრაფიული დახასიათება, მეცნიერმა, როგორც ჩანს, თავი შეიკავა წარწერების დათარიღებისგანაც.⁹² ნიქოზის ღვთაების ტაძრის პირველი საამშენებლო ფენა თარიღდება V-VI საუკუნეებით და რამდენჯერმე ისეა გადაკეთებული, რომ საამშენებლო ფენების დადგენა ძნელდება.⁹³

⁹⁰ ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 131.

⁹¹ რ. მეფისაშვილი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, გვ. 117.

⁹² ი. მეგრელიძე, სიძველეები ღიახვის ხეობაში, ტ. I, გვ. 149.

⁹³ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. 5, თბ., 1990, გვ. 68.

არ არის გამორიცხული, რომ ი. მეგრელიძის მიერ გამოქვეყნებულ მინაწერში მოხსენიებული იოანე, სტეფანე და ზაქარია ტბელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები იყვნენ. ხომ არ არის ერედვის წარწერაში მოხსენიებული ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანე და ნიქოზის ღვთაების ტაძრის მინაწერში მოხსენიებული სტეფანე ერთი და იგივე პიროვნება? ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანე შესაძლებელია, იოანე (ივანე) ტბელის ძმაც იყო, ტბელთა საფეოდალოს ტერიტორიაზე არსებული ნიქოზის ღვთაების ტაძარი, მათ, შესაძლოა, ერთობლივად განაახლეს და ამის აღსანიშნავად აღმოსავლეთ კედელზე წარწერაც გამოსახეს. ნიქოზის საეპისკოპოსო ტბელთა ფეოდალურ სახლთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ნიქოზელმა ეპისკოპოსმა სტეფანემ და ივანე ტბელმა ერთად ააგეს ერედვის ტაძარი და წარწერაშიც ერთად არიან მოხსენიებული. ნიქოზის საეპისკოპოსო კათედრას სავარაუდოდ ტბელები აკონტროლებდნენ.

საეპისკოპოსო ცენტრების სიძლიერეზე საინტერესო დაკვირვება აქვს აკად. ს. ჯანაშიას. იგი წერს: „...წყაროების გულდასმით განხილვა გვარწმუნებს, რომ მიწისმფლობელობის საკონცენტრაციო ცენტრების, ფეოდალურ სენიორიათა პროტოტიპების რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე უმაღლეს სამოხელეო პატივთა რიცხვი. ამ ცენტრების გათვალისწინება ნაწილობრივ ქართლის ეკლესიის ჰიერარქიულ ფაქტების ნიადაგზეა შესაძლებელი. განსაკუთრებით ნიშანდობლივია ამ მხრივ საეპისკოპოსოების ისტორია. როგორც ყველგან და ყოველთვის, ქართლშიაც საეკლესიო სტრუქტურა სოციალურ და პოლიტიკურ აღნაგობის შესაბამისად იყო აშენებული. საეპისკოპოსო კათედრები, ამიტომ, ბუნებრივად მიუთითებენ და თან ემთხვევიან უმსხვილეს პროტოგენურ ფეოდალურ ცენტრებს.“⁹⁴

ტბელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლის ეპისკოპოს სტეფანეს მიერ დაწყებული საქმე მომდევნო ეპისკოპოსმა მიქაელმა გააგრძელა. მან ღვთაების ტაძარი კიდევ განაახლა

⁹⁴ ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, ტფ., 1935, გვ. 18.

(შესადღებელია გადააკეთა, ან მოცულობა მოუმატა) და ტაძრის სამხრეთის ფასადის ზემოთ აღმოსავლეთ კუთხეში, კარნიზის ქვემოთ სამსტრიქონიანი საამშენებლო წარწერაც ამოაკვეთინა. (ამაზე ქვემოთ შევჩერდებით)⁹⁵ ერედვის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის სამხრეთის ფასადის მრგვალი სვეტის ზედა ნაწილზე არსებულ წარწერაში მოხსენიებული ქართლის მთავარეპისკოპოსის შემოკლებულ სახელს „ყ̄ე“-ს, როგორც აღინიშნა, „ყვარყვარე“ კითხულობდა ნ. შოშიაშვილი.⁹⁶ მეცნიერი, სავარაუდოდ, ასეთივე საკუთარ სახელს კითხულობდა ამავე ტაძრის შიგნით, აღმ. კედელზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, რელიეფური ჯვრის თავზე ამოღარულ ასომთავრულ წარწერაშიც: „ყ(უარყუარ)ა(ს)/² მიწ(აი)(?)³ შ(ეიწყალ)ე/⁴ ქ(რისტ)ე/⁵-[მ](ონ)ა(ა) /⁶ შ(ენი) თ(ევედორ)ე.“⁹⁷ ნ. შოშიაშვილის ვარაუდით, ტაძრის დასავლეთის ფასადის სამხრეთის კუთხეში ჩაშენებულ სწორკუთხა ფილაზე ამოკვეთილ ერთსტრიქონიან ასომთავრულ წარწერაშიც, სავარაუდოდ, ასევე „ყვარყვარე“ იხსენიება: „ქ(რისტ)ე შეიწყ(ა)ლე ყ(ე)ა(რე)ე(არე)(?)“.⁹⁸ ჩვენი აზრით, წარწერებში დაქარაგმებულად მოხსენიებული „ყ̄ე“-ში, შესადღებელია მართლაც ყვარყვარე იგულისხმებოდეს, მაგრამ ამ პიროვნების გაიგივება ტაძრის მთავარ წარწერაში მოხსენიებულ მთავარეპისკოპოსის სახელთან, შემოკლებით მოხსენიებულ „ყ̄ე“-სთან არასწორია. თუ მთავარეპისკოპოსი იმდენად დაახლოებული იყო ტბელთა სახლთან, რომ ის ტაძრის სხვა წარწერებშიც მოიხსენიეს, და, ამასთანავე, მას აქ მიწაც „ყ(უარყუარ)ა(ს) მიწ(აი)(?)“ ეკუთვნოდა, მაშინ მის სახელს ტაძრის მთავარ წარწერაში ბოლომდე ჩაწერდნენ. როგორც აღინიშნა, ერედვის წარწერაში ბოლომდეა მოხსენიებული ნიქოზის ეპისკოპოსის – სტეფანეს სახელი, რადგან ის, სავარაუდოდ, ტბელთა ფეოდალური საგვარეულოსთან მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ტბელთა დაწინაურება პოლიტიკურ ას-

⁹⁵ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 187.

⁹⁶ ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 172.

⁹⁷ იქვე, გვ. 174.

⁹⁸ იქვე, გვ. 174.

პარეზზე IX საუკუნიდან იწყება. როგორც მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს: „ამ ტბელების აღზევება შიდა ქართლის ერისთავებად IX ს. უკავშირდება. სწორედ IX ს. დასაწისში გაუქმდა ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება და, შესაძლებელია, ამის შემდეგ იწყება შიდა ქართლის ძლიერი ფეოდალური სახლის, ტბელების, გაძლიერება და მათი გაერისთავება.“⁹⁹ ტბელები სარგებლობენ აფხაზთა მეფეების შიდა ქართლში ექსპანსიით, გამოდიან მათ მოკავშირეებად და სანაცვლოდ აფხაზთა მეფეებისაგან ქართლის გამგებლობას იღებენ. ტბელების ძლიერება ზენიტს აღწევს ივანეს დროს. ის კონსტანტინე აფხაზთა მეფის მოკავშირეა, ამიტომაც იწყება ერედვის წარწერა ჰერეთში კონსტანტინე აფხაზთა მეფის ლაშქრობის აღწერით.* ტბელთა საფეოდალოს დიდ მნიშვნელობას სძენდა ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი გზა, რომელიც რამდენიმე ციხით იყო გამაგრებული, ასეთი ციხეები იყო: აჩაბეთი, კეხვი და სხვ.¹⁰⁰

ზუსტად ძნელი დასადგენია, ტბელთა ფეოდალური სამფლობელოს საზღვრები, როგორც რ. მეფისაშვილი აღნიშნავს: „ტბელთა სამფლობელოს ამ დროს, როგორც ჯერჯერობით ჩვენს ხელთ არსებულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა მასალა გვიჩვენებს, დაახლოებით მდ. დიდი და პატარა ლიახვის შუა წელის ტერიტორია ეკუთვნოდა. ამ კუთხის ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობას X–XI საუკუნეთა მანიძლზე გვიჩვენებს ფართოდ გაშლილი სააღმშენებლო მოღვაწეობა. ტერიტორიულად ერედვთან დაკავშირებული რიგი მნიშვნელოვანი ძეგლე-

⁹⁹ მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 255.

* „მეფეთა დიუნის“ მიხედვით კონსტანტინე აფხაზთა მეფის - ბაგრატ I ძეა, რომელიც გამეფდა 873 წელს, ხოლო გარდაიცვალა 912 წელს. იხ. „ძველი საქართველო“, ტ. II, განყ. III, ტფ., 1911-1913, გვ. 46. ივ. ჯავახიშვილის აზრით, კონსტანტინე 1914 წლის შემდგომაც ცოცხალია. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბ., 1948, გვ. 102. ს. ჯანაშია თვლიდა, რომ კონსტანტინეს ვაჟი გიორგი II მამის სიკვდილის შემდეგ 1915-1916 წლიდან გამეფდა. ს. ჯანაშია, საქართველო აღმოსავლეთი ფეოდალიზმის გზაზე, ტფ., 1937, გვ. 106.

¹⁰⁰ რ. მეფისაშვილი, ზოგიერთი ისტორიული ძეგლი სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიაზე, ძეგლის მეგობარი, №14, 1968, გვ. 11.

ბისა X საუკუნისა და XI საუკუნის დასაწყისის ხანით თარიღდება. ასეთებია: ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის გარდა, სოფ. ხეთის საბა-წმინდა (X საუკუნე), ერედვის ე.წ. ბერის საყდარი (X საუკუნე), ზემო-ნიქოზის მცირე გუმბათიანი ტაძარი (X-XI საუკუნეთა მიჯნა), დოდოთის ცხრაკარა, აგებული ერისთავის ივანე ტბელის მიერ (X-XI საუკუნეთა მიჯნა), და ბოლოს, სოფ. ტბეთის დიდი დარბაზული ეკლესია, სადაც ტბელნი იხსენიებიან (X-XI საუკუნეთა მიჯნა). ამას გარდა სხვა რიგი ნაკლებად მნიშვნელოვანი ძეგლებისა, დაცულია ერედვის და ტბეთის მდამოებში.¹⁰¹

დოდოთის სამეკლესიანი ბაზილიკის შუა ეკლესიის სამხრეთი კარის მარჯვენა წითელზე გამოსახულ ასომთავრულ წარწერაში ივანე ტბელი და მისი ხუთი ძე იხსენიება. იმავე დოდოთის ეკლესიის დასავლეთის კარის ტიმპანზე ამოღარულ ოთხსტრიქონიან ასომთავრულ წარწერაში ტბელის ძე ქავთარია მოხსენიებული.* დოდოთიდან 10 კმ-ის დაშორებით მდებარეობს ტბეთის „ბორცვის ჯვრის“ სახელით ცნობილი დარბაზული ეკლესია, რომლის წარწერებშიც ტბელთა საგვარეულოს

¹⁰¹ რ. მეფისაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 101. X-XI საუკუნეებში აგებული ზემოთ აღნიშნული ძეგლების საშენ მასალად გამოყენებულია ერედვის ღვინისფერი ქვა. იხ. შიდა ქართლი, პატარა და დიდი ლიასხვის ხეობების არქიტექტურული მემკვიდრეობა, (ცხინვალის რაიონი) 1981-1983 წლების ექსპედიციის მასალები, თბ., 2002, გვ. 54, 60, 63, 84, 106.

* აღსანიშნავია, რომ დიდი ლიასხვის ხეობაში ტაძრების მოსაპირკეთებლად ე. წ. „დოდოთის ქვა“ გამოიყენებოდა. კ. ხარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, შიდა ქართლი, თბ., 1992, გვ. 130; ამის შესახებ მიუთითებდა გ. საძაგელოვ-ივერიელი (კათალიკოსი კირიონ II), რომელსაც „დოდოთის ნაცვლად მითითებული აქვს „ღუდეთი““, თბ., 1898,

. 3. „დოდოთს“ ასევე „ღუდეთად“ იხსნიებს ვახუშტი ბატონიშვილი: „ტბეთს ზეით არს ნაციხარი. ამას ზეით ითხრების ქვა შავი ღუდეთს. ამ ქვით ბურვენ ეკლესიებთა, სიბრტყისა და სიმსუბუქისათვის.“ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 372.

წვერები იხსენიებიან.* ერთ-ერთ წარწერაში, რომელიც ბალავრის ქვაზეა ამოკვეთილი** ქავთარის ძე პატრიკ ტბელი იხსენიება: „+სახ(ე)ლ(ი)თა ღ(მრთისაჲ)ა ესე ბ(ა)ლ(ა)ჰვ(ა)რი მე, ტბ(ე)ლმ(ა)ნ პ(ა)ტ(რი)კმ(ა)ნ, ძ(ე)მ(ა)ნ ქ(ა)ვთ(ა)რ(ი)სამან² ღ(ა)ვდ(ე)ვ, ს(ა)ლ(ო)ც(ველა)დ ს(უ)ლისა ჩ(ე)მ(ი)სა და შვ(ი)ლთა ჩ(ე)მთ(ათუი)ნ. ჯ(უ)არო ბ(ო)რც(უსა)ო, მ(ე)ოხ მ(ე)ქ(მენ.“¹⁰²

* აღსანიშნავია, რომ ტბეთის ეკლესია დანგრეულ იქნა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელისუფლების მიერ. როგორც ვ. თოფურია აღნიშნავს, ეკლესიის ქვები ცხინვალში აბანოს ასაშენებლად იქნა გამოყენებული. თუმცა, მიღებული ზომების შედეგად წარწერიანი ქვები აბანოში არ ჩაუშენებიათ. წარწერიანი ქვები უყურადღებოდ დაუყრიათ მდ. ლიახვის პირას. ვ. თოფურია, შიდა ქართლში დაცული ზოგიერთ სიძველეთა წარწერები, საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 134.

** იგი სამხრეთის ფასადის კარის თავზე ყოფილა ჩადგმული. გარკვეული პერიოდი, ის სამხრეთის კედელთან მიწაზე ყოფილა. 1954 წელს ქვა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გადაუტანიათ. ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 180.

¹⁰² ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 180; კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 48. აკად. ვ. თოფურია წარწერაში არსებულ სიტყვას „პტკნ“ კითხულობს როგორც „პატკანმან“, ვ. თოფურია, შიდა ქართლში დაცული ზოგიერთ სიძველეთა წარწერები, საისტორიო მოამბე, ტ. II, ტფ., 1924, გვ. 134. რ. მეფისაშვილი კითხულობს – „პეტრიკმან“ და თვლის, რომ აქ ეს არის არა ტიტული „პატრიკი“ – არამედ საკუთარი სახელი „პეტრიკი“. რ. მეფისაშვილი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნება, №4, 1955, გვ. 115. ნ. შოშიაშვილი და ვ. ცისკარიშვილი არ გამორიცხავენ, რომ „პატრიკი“ ივანე ტბელის ტიტულს წარმოადგენდა. ნ. შოშიაშვილი, ვ. ცისკარიშვილი, სოფ. დოდოთის ცხრაკარას ეკლესიის წარწერა. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე. XIX-A და XXI-B, 1957, გვ. 98. მ. ლორთქიფანიძე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წერს: „ამდროინდელი ტბელების პატრიკოსობასთან დაკავშირებით გვახსენდება ფეოდალური ქართლის პირველი ერისმთავრების პატრიკოსობა. ხომ არ შეიძლება, რომ ამ ეპოქის შიდა ქართლის ერისთავების, ტბელების „პატრიკოსობა, რამენაირად ეხმაურებოდეს ძველი ერისმთავრების პატრიკოსობას. წყაროების სიმცირის გამო ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა, მაგრამ მაინც ნიშანდობლივ გარემოებად უნდა მივიჩნიოთ X-XI საუკუნეების საქართველოს სხვადასხვა კუთხეების განმგებელთა შორის ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების მომრავლება. მაგალითად, X ს. კვერეთის პატრიკი ადარნასე; კახეთის მეფე

ტბეთის ეკლესიის კედელზე X საუკუნის II ნახევრით დათარიღებული პატრიკ ტბელის მოსახსენებელიც ყოფილა, წარწერიანი ქვის შესახებ ინფორმაციას მ. ბროსე და ვ. თოფურია გვაწვდიან, ქვა შემდგომში დაკარგულა.¹⁰³

წარწერა ასე იკითხებოდა: „ქ(რისტე), გ(ანუ)ს(უენ)ს(უ)ლ(ს)ა ტბ(ე)ლ(ი)სა² პ(ა)[ტრ(ი)კ(ი)ს, დ[ლ](ე)სა მას.“¹⁰⁴ ტბეთის ეკლესიის კედელზე ასევე ყოფილა X საუკუნის შუა წლებით დათარიღებული ოქროპირ ტბელის ძის მოსახსენებელი. აღნიშნული წარწერის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის მ. ბროსე.¹⁰⁵ წარწერა მოგვიანებით უნახავს ვ. თოფურიას.¹⁰⁶ წარ-

კვირიკე მაგისტროსი (აღარას ვამბობ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებზე). ხომ არ არის ეს ბიზანტიის იმპერიის ერთ-ერთი დიპლომატიური სელა, მიმართული გაძლიერებული აფხაზთა მეფეების წინააღმდეგ?“. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 254.

¹⁰³ ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 133; M. Brosset, Rapports sur un Voyage archeologique dans la Georgie et dans l'Arménie, exécuté en 1847-1848 par M. Brosset. Membre de l'Académie Impériale des Sciences. 2 de livr. VI, St. Pétersbourg, 1851, p. 58. ლიახვის ხეობის სიძველეების და აქ არსებული წარწერების შესახებ საინტერესო ცნობები დაგვიტოვა მ. ბროსემ. გ. საბაგლიშვილის (კათალიკოზი კირიონ II) ინფორმაციით ფრანგი ქართველოლოგი ლიახვის ხეობაში არ ყოფილა, რადგან იგი ნიქოზის დეოთების ეკლესიის აღწერაში ცდება (უგუმბათოდ იხსენიებს). . . -

, . . . 1898, . 7. რასაც არ ეთანხმება ი. მეგრელიძე, მეგრელების განმარტებით, მ. ბროსე იმყოფებოდა: ნიქოზში, ბორცვის-ჯვარში, ტბეთში, წუნარში, ცხინვალში. ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. I, გვ. 123. როგორც ი. მეგრელიძე მიუთითებს, ეს ადგილები ფრანგ მეცნიერს 1847 წელს მოუნახულებია. იქვე, გვ. 122. ი. აღიმბარაშვილი მიიჩნევს, რომ მ. ბროსე გორში იმყოფებოდა 1848 წლის 7 აპრილიდან 12 აპრილამდე და მან დიმიტრი მეღვინეთსუცესი-შვილის თანხლებით დაათვალიერა გორის სიძველეები. შემდეგ ის იმერეთში გაემგზავრა. ი. აღიმბარაშვილი, დიმიტრი მეღვინეთსუცესი-შვილი, (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 2016, გვ. 35.

¹⁰⁴ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 182.

¹⁰⁵ M. Brosset, Rapports sur un Voyage archeologique dans la Georgie et dans l'Arménie, exécuté en 1847-1848 par M. Brosset. Membre de l'Académie Impériale des Sciences. 2 de livr. VI, St. Pétersbourg, 1851, p. 57.

¹⁰⁶ ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 133.

წერა ასე იკითხებოდა: „ქ(რისტ)ე, ა(დი)დე ოქრო(ო)პირ ძე ტბ(ე)ლი(ი)ს(ა)ი“.107 ოქროპირ ტბელი ქავთარ ტბელთან ერთად ტბეთის ბორცვისჯვრის სხვა წარწერაშიც იხსენება, რომელიც ასევე დაკარგულია: „+ჯ(უ)არო ბ(ო)რც(უ)ს(ა)ო, ა(დი)დ(ე)ნ შე(ი)ლნი მ(ა)თნი: ოქრო(ო)პ(ი)რ, პდღ`დ (ტბელი და ?) ქ(ა)ვთ(ა)რ.“108 აღნიშნულ წარწერას ვ. თოფურია ასე კითხულობდა: „ჯ`რო ბრცსა დნ შველნი მთნი ოქრ`აი სპდ`დ დვ`თ ქვთრ ჯუარო ბორცვისსაო ადიდენ შვილნი მათნი ოქროპირი სპდდ(?) დავით ქავთარ“.109 ამ წარწერას, როგორც ვ. თოფურია აღწერს ორსტრიქონიანი წარწერა მოსდევდა: „ქ`სე გს`ნე სღ`ა ტბ`ლსა ეპრქს დსა მსსა ქრისტე განუსუენე სულსა ტბელი-სასა(?) ეპრაქსის(?) დასა(დედასა?)მისსა.“110 დისევის ძელიცხოვლის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე ი. მეგრელიძეს აღწერილი აქვს ვერტიკალურად ორ-სამ ასო-ასოდ ჩამოწერილი 6-7 სტრიქონიანი ასომთავრულით შესრულებული წარწერა. რომელიც მკვლევარმა ასე წაიკითხა. „ირჩევა ასოები: გს(ლიგატურა-გიორგის?)ო (ან-ე)პს/ნ ა(ან ე) სღ/სა(სულსა)/ ჩემ(მ თუ ვ?) ა/სა.“111 ხომ არ უნდა აღნიშნავდეს „ოპს“ გრაფემების ჯგუფი „ოქროპირს“? რ. მეფისაშვილი და ვ. ცინცაძე დისევის ტაძარს, ვანათის და არბოს ტაძრებთან ერთად, ერთ ქრონოლოგიურ ჩარჩოში განიხილავენ და X საუკუნით ათარიღებენ.112 თუ ი. მეგრელიძის მიერ გამოქვეყნებულ წარწერაში მართლაც ოქროპირი იგულისხმება, არ არის გამორიცხული, რომ დოდოთის ბორცვისჯვრის წარწერებში მოხსენიებული ოქროპირი და დისევის

¹⁰⁷ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 181.

¹⁰⁸ იქვე, გვ. 183.

¹⁰⁹ ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 133. „ბორცვის ჯვარი“ („ბორცვის ჯვარი“, როგორც ვ. თოფურიამ შეამჩნია იხსენიება ბაგრატ IV ერთ-ერთ სიგელში. ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 132; თ. ჟორდანიას, საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, თბ., 1896, გვ. 3, 4, 5.

¹¹⁰ იქვე, გვ. 133.

¹¹¹ ი. მეგრელიძე, სიძველეები ღიახვის ხეობაში, ტ. II, გვ. 28.

¹¹² „... 1975, ... 100. შიდა ქართლი, ტ. I, გვ. 54-56.

წარწერის ოქროპირი („ოპს“) ერთი და იგივე პიროვნება იყოს. შესაძლოა, ოქროპირ ტბელს, დისევი ებოძა და ძელიცხოვლის ტაძარი სწორედ მისი ინიციატივით აიგო X საუკუნის შუა წლებში (ან II ნახევარში). არც ის არის გამორიცხული, რომ დისევიში მცხოვრები ოქროპირიძეთა გვარი სწორედ ოქროპირ ტბელს უკავშირდებოდეს. ტბეთის ეკლესიის კედლებზე ასომთავრულით შესრულებული სხვა მოსახსენებლებიც არსებობდა. მათ შორის X საუკუნის შუა წლებით დათარიღებული ვახტანგის ძეგლის: „ქ(რის)ტე ა(დი)დ(ენ) ძ(ენ)ო ვ(ა)ხტ(ა)ნგ(ი)ს(ა)ნი: მ(ი)ქ(ა)ელ სა' რმ' ე (?).“¹¹³ ასევე ვინმე ცუატასი: „+ უ(ფა)ლო ვ(ან)უს(უ)ენე ს(უ)ლ(სა) ც(უა)ტ(ა)ნა.“¹¹⁴ მ. ბროსეს, ასევე ვ. თოფურიას ცნობით, ტბეთის ეკლესიის სამხრეთის ფასადის მარჯვენა სარკმლის ზემოთ, ყოფილა ასომთავრულით შესრულებული წარწერა, სადაც ვინმე თეკლა იხსენიებოდა: „+ ჯ(უა)რო ბ(ო)რც(უ)ს(ა)ო მ(ე)ოხ (ე)ქ(მ)ენ ს(უ)ლ(სა) თ(ე)კლ(ა)ნა.“¹¹⁵ „თეკლა“ იხსენიება ცხინვალიდან 2 კმ-ის დაშორებით სოფელ კუსირეთის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე ერთსტრიქონიან ასომთავრულ წარწერაშიც: „ქრისტე შეიწყაღე თეკლა“.¹¹⁶ კუსირეთის ეკლესია სამეცნიერო ლიტერატურაში VIII-IX საუკუნით თარიღდება.¹¹⁷ ტბეთის მოსახსენიებელი და კუსირეთის წარწერა ქრონოლოგიურად განსხვავდებიან, როგორც ჩანს, „თეკლა“ ამ არეალში გავრცელებული სახელი იყო. ჩვენი აზრით, ორივე „თეკლა“ ტბელთა ფეოდალურ გვარს უკავშირდება და არ არის გამორიცხული, აღნიშნული სახელი ორი თაობის წარმომადგენლებს ერქვათ. ტბეთის ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადის მარცხენა პატარა სარკმლის ზემოთ, ჩუ-

¹¹³ იქვე, გვ. 181.

¹¹⁴ იქვე, გვ. 182; ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 133. აღსანიშნავია, რომ ანთროპონიმი „ცუატა“ ატენის სიონის ერთ-ერთ ფრესკულ წარწერაშიც გვხვდება, ეს არის IX საუკუნით დათარიღებული სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: „1. წ(მი)და)ო ღ(მრთის)შ(ო)ბელო, 2. შ(ეი)წყა)ღე მ(ო)ნ(ა)დ შ(ე)ნი ც(ვა)ტ(ა)დ 3. მეჯუარწ“. ქართული წარწერების კორპუსი, ფრესკული წარწერები, ტ. I, გვ. 188.

¹¹⁵ იქვე, გვ. 182.

¹¹⁶ ი. მგერელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. I, გვ. 189.

¹¹⁷ შიდა ქართლი, ტ. I, გვ. 139.

ქურთმებში, ასევე ჩუქურთმების ზემოთ დატანილი იყო აბაზასი და მისი ძეების მოსახსენებელი ასომთავრული წარწერები, რომლებიც ერთად გამოაქვეყნა ნ. შოშიაშვილმა: „¹¹⁸ ჯ(უ)არო ბ(ო)რც(კ)² საო ა(დი)დე³ აბ(ა)ზი⁴ +და ძ(ე)ნი მ(ი)სნი: იგ(ა)ნე, ქ(ო)ბუ(ლ)ი.“¹¹⁸ გ. ოთხმეზურის აზრით: „ამ წარწერებში (იგულისხმება: ვახტანგის ძეების, ცუატას, თეკლას, აბაზას და მისი ძეების მოსახსენებლები – გ. ს.) მოხსენიებულ პირთა ვინაობა ჩვენთვის უცნობია. ტბეთის ეკლესიის ფასადებზე მათი მოსახსენებლების ამოღარვა შესაძლებელს ხდის დაგუშვათ, რომ ისინიც ტბელთა საგვარეულოს ეკუთვნიან, ოღონდ რომელ თაობას, ამის დადგენა არ ხერხდება.“¹¹⁹ ამიტომ ეს წარწერები, ზოგადად, X ს-ის შუა წლებით და II ნახ-ით თარიღდება.“¹²⁰ ვ. თოფურია ამ წარწერების გაცნობის შემდეგ სვამდა კითხვას: „ხომ არ არის ეს ეკლესიის აშენების შემდეგ სხვადასხვა დროს ამოჭრილი?“, თუმცა, პალეოგრაფიული მსგავსებებიდან გამომდინარე, ამ კითხვას თვითონვე სცემდა პასუხს: „მაგრამ პალეოგრაფიულად ასოები ძალიან ახლოს არიან ერთმანეთთან, აგრეთვე ქარაგმების ერთნაირად გამოყენება, ორთოგრაფია და სხვა მოწმობს იმას, რომ ყველა ეს წარწერა ერთი კაცი მიერაა ამოჭრილი.“¹²¹

გ. ოთხმეზურის შეხედულებას ჩვენც ვიზიარებთ, რადგან ტბეთში ტბელთა საგვარეულოს მიერ აგებულ ტაძრის კედლებზე, იმ დროს, როცა აღნიშნული საგვარეულო შიდა ქართლში დიდი გავლენით სარგებლობდა, სხვა საგვარეულოს წარმომადგენლები თავიანთ მოსახსენებლებს ვერ ამოკვეთდნენ. არ არის გამორიცხადი, რომ მოსახსენებლებით ცნობილი ვახტანგი, ასევე ცუატა, ბალავრის ქვის წარწერაში მოხსენიებული პატ-

¹¹⁸ იქვე, გვ. 182.

¹¹⁹ ნ. შოშიაშვილი მიიჩნევს, რომ ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებული აბაზა და მისი ძეები, შესაძლებელია ყოფილიყო ტბელების მომდევნო თაობა, მათი განშტოება, ან მათი შემცველი ფეოდალური საგვარეულო. ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 179.

¹²⁰ გ. ოთხმეზური, შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა, კრებ: „ოსთა საკითხი“, ა. ბაქრაძისა და ო. ჩუბინიძის რედ. თბ., 1996, გვ. 137.

¹²¹ ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

რიკ ტბელის უმცროსი ძმები ყოფილიყვნენ. მართალია, ბალავრის ქვის წარწერის თანახმად, პატრიკს შვილებიც ჰყავდა, მაგრამ ვახტანგი და ცუატა რომ პატრიკის შვილები ყოფილიყვნენ, მაშინ წარწერაში ისინი უსათუოდ ტბელის ძეებად მოიხსენიებოდნენ, როგორც ეს ოქროპირ ტბელის ძის შემთხვევაში გვაქვს. მოსახსენებელ წარწერაში ცნობილი „თეკლა“, ტბელთა ფეოდალური სახლის ერთ-ერთი წევრის, (შესაძლებელია პატრიკის, რადგან ბალავრის ქვის დამდები სწორედ ის იყო) მეუღლე იყო.* როგორც აღინიშნა, ტბელთა ფეოდალური სახლის დაწინაურება IX საუკუნიდან იწყება. მათ სხვა ფეოდალურ საგვარეულოებთან შედარებით უპირატესობა მოიპოვეს, როგორც ჩანს, აფხაზთა მეფეებთან ტბელებს გარკვეული ნდობა ჰქონდათ, გარდა ამისა, მათ საფეოდალოს აფხაზეთის მესვეურთათვის კონკრეტული ფუნქცია გააჩნდა. აფხაზთა მეფეები შიდა ქართლს, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენ ნაწილს ტბელთა საფეოდალოზე გამავალი გზით უკავშირდებოდნენ. ერედვის წარწერაში, სადაც საუბარია კონსტანტინე აფხაზთა მეფის პერეთში ლაშქრობაზე, აღნიშნულია, რომ „მუნით (პერეთიდან) მშვიდობით იქცა, ცისკრად ალავერდს ილოცა, მწუხრი ბრეძას გადაჰხდა“.¹²² ე.ი. ალავერდიდან გამოთენისას წამოსული კონსტანტინე მეფეს ბრეძას შემოადამდა. ბრეძაში წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი დგას. რ. მეფისაშვილის განმარტებით: „სოფ. ბრეძა სადგ. გომიდან ჩრდილოეთით 15-ოდე კმ. მანძილზე მდებარეობს. სოფ. ატოცის დას. სოფ. ტკოცას შუა. ბრეძაში დღეს დაცულია ორი ეკლესია, ერთი სოფელში დგას, მეორე კი სოფლის გარეთაა. ის, რომელიც სოფელშია (ზღუდერს უწოდებენ), როგორც თავისი ზოგადი სახით, ისე ცალკეული ნიშნებით, გარკვეულ მსგავსებას იჩენს ერედ-

* აღსანიშნავია, რომ ვახტანგის ძეების, ასევე ცუატას და თეკლას მოსახსენებლებს ნ. შოშიაშვილი პატრიკ ტბელის წარწერის, აგრეთვე პატრიკ ტბელის ძეების ოქროპირის და ქავთარის მოსახსენებლების თანადროულად თვლის, ამის მიზეზად მკვლევარი წარწერათა ამოკვეთის ერთნაირ სიმეტრიას მიიჩნევს. იქვე, გვ. 179.

¹²² ქართული წარწერების კორპუსი, II, გვ. 172.

ვის ძეგლთან.¹²³ ბრეძა, ჩვენი აზრით, ტბელთა საფეოდალოში შედიოდა. დასავლეთ საქართველოდან ბრეძაზე გავლით გზა მოემართებოდა შიდა ქართლში, პატარა ლიახვის ხეობის მეშვეობით ეს გზა ქსნის ხეობაში გადადიოდა და აქედან კახეთ-ჰერეთს უკავშირდებოდა. პატარა ლიახვის ხეობიდან ქსნის ხეობაში გადასასვლელი გზა გვიანდელი პერიოდის არაერთ წყაროში იხსენიება.¹²⁴ კონსტანტინე აფხაზთა მეფის უკან დაბრუნების მარშრუტს რ. მეფისაშვილი ასე განმარტავს: „ვეჯინიდან წამოსული კონსტანტინე გომბორის უღელტეხილის გადავლით ჟინვანში უნდა ჩასულიყო, აქედან შესაძლოა, იგი, მღეთაში გაემგზავრა. მღეთიდან გადავიდა ქარხოხის ხეობაში, სადაც ალავერდი იმყოფება. შემდეგ კონსტანტინეს შეეძლო პატარა ლიახვის ხეობით ერედვის გავლით ცხინვალში ჩასულიყო, ცხინვალიდან კი ბრეძაში გადასულიყო. ალავერდიდან ბრეძამდე დაახლოებით 60-70 კმ და ამ გზის გავლა ერთი დღის განმავლობაში უფრო შესაძლებელია, ვიდრე კახეთის ალავერდიდან ბრეძამდე, მაგრამ ჩვენ არავითარი მონაცემები არა გვაქვს, რომ კონსტანტინეს უკან დაბრუნება ამ გზით ვივარაუდოთ.“¹²⁵ აფხაზთა მეფეებისათვის ტბელთა საფეოდალოს სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. პატარა ლიახვის ხეობა ქსნის ხეობას ემიჯნებოდა. ცნობილია ის ფაქტი, რომ IX საუკუნეში აშოტ კურაპალატსა და გრიგოლ კახეთის მთავარს შორის ბრძოლა მოხდა „ქსანსა ზედა“, „მატიანე ქართლისას“ ცნობით: „და შეიბნეს ქსანსა ზედა აშოტ და გრიგოლ. გააქციეს გრიგოლ, მთავარი კახეთისა, და დაიპყრეს ქუყყანა, რომელი ჰქონდა ქართლისაგან. და დაიპყრა აშოტ კლარჯეთითგან ვიდრე ქსნამდე.“¹²⁶ კახეთის ქორეპისკოპოსებს ქსნის ხეობაში ციხეებიც კი ჰქონდათ აგებული, რომ ქართლი მტკიცედ შეენარჩუნებინათ, ერთ-ერთი ასეთი მათგანი იყო ლოწობნის ციხე, რომლის აგებაც X

¹²³ რ. მეფისაშვილი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნება, №4, 1955, გვ. 114.

¹²⁴ გ. სოსიაშვილი, გზები პატარა ლიახვის ხეობაში, ჟურნ. აღმოსავლეთი და კავკასია, №5, 2007, გვ. 93.

¹²⁵ რ. მეფისაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

¹²⁶ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 252-253.

საუკუნის დასაწყისში კახთა ქორეპისკოპოსს – ფადლა II უკავშირდება. როგორც ჯ. გვასალია განმარტავს: „ქართლსა ზედა“ ბრძოლის ასპარეზი ღოწოვნის გარდა გაიშალა ქსნისპირა სხვა ციხეებზეც, კერძოდ წირქოლსა და გრუზე, რომლებსაც კახელები ფლობდნენ XI ს. შუა ხანებამდე. ასე რომ კახეთის სამთავრო XI საუკუნემდე ვრცელდებოდა ქსნამდე.“¹²⁷ ტბელთა ფეოდალური სახლის ხელმძღვანელი ივანე ტბელი აფხაზთა მეფეების მოკავშირე გახდა, მის ტერიტორიას აფხაზთა მეფეები თავიანთი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდნენ, ამიტომაც ივანეს აფხაზთა მეფეებმა ქართლის გამგებლობა ჩააბარეს. როდიდან დაწინაურდა ივანე ტბელი? საინტერესოა, ის ფაქტი, რომ ცხინვალიდან 28 კმ.-ის დაშორებით ყორნისის რაიონში, სოფელ წორბისიდან 8 კილომეტრზე მდინარე ფრონის მარცხენა ნაპირზე პროფ. ი. მეგრელიძემ აღმოაჩინა წარწერიანი ქვა. წარწერა მან შემდეგნაირად ამოიკითხა: „ს(ა)ხელითა ღ(მრ)თის(ა)ითა ესე კ(ო)ნქიშ(ე)მნ(ა) ივ(ა)ნე ერ(ი)სთ(ა)ვმან (სალო)ცვ(ე)ლ(ა)დ მ(ა)თდა ქრ(ო)ნიკ(ო)სარს ს(ა)ბაის მ(ა)მ(ა)ს(ა)ხლ(ი)ს(ო)ბ(ა)სა“.* ი. მეგრელიძის წაკითხვით კიდის წარწერა ასე იკითხება: „(ი)ქ(მ)ნა კ(ე)ლ(ი)თა ბარვ(ე)ლის(ა)ითა“.¹²⁸ მკვლევარი აღნიშნულ წარწერას 880 წლით ათარიღებდა. თუმცა, ერთი უზუსტობა გაეპარა. ი. მეგრელიძე წერს: „ამავე წარწერის ივანე მხოლოდ ერისთავია (მხარის მფლობელი). ლიტურაში კარგად ცნობილი ცხინვალის რაიონის ერედვის ტაძრის 906 წლის წარწერაში (ე. ი. კონქის შექმნის 26 წლის შემ-

¹²⁷ ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 60.

* როგორც ჩანს, მამასახლისი ერისთავის დაქვემდებარებაში მყოფი მოხელე იყო და იგი უფრო წვრილ ტერიტორიულ ერთეულს განაგებდა. თუმცა, მას იმხელა პრივილეგია ჰქონდა, რომ ერისთავის ინიციატივით ამოკვეთილ წარწერაში მოიხსენიეს. მამასახლისები თვითონაც აგებდნენ ტაძრებს. ამას ადასტურებს მდ. რეხულის ზემო წელზე არსებული 864 წლით დათარიღებული არმაზის ტაძრის წარწერა, სადაც იხსენიება მამასახლისი გიორგი, რომელსაც ეკლესიის მშენებლობა დაუწყია. ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 168; ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1956, გვ. 22.

¹²⁸ ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, გვ. 95.

დეგ) ივანე ეპისკოპოსად იხსენიება, ხოლო ცხინვალიდან წორბისისაკენ მდებარე დოდოთის ე.წ. ცხრაკარას ეკლესიის წარწერით კი იგივე უკვე არის „ივანე ერისთავი ტბელი“, – აქაურივე ტბეთის „ეპარქიის“ გამგებელი.¹²⁹ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერედვის წარწერაში ივანე ტბელი ქართლის „უფლად“, ანუ გამგებლად იხსენიება და არა ეპისკოპოსად, ერედვის წარწერაში მოხსენიებულია ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანე, ასევე მთავარეპისკოპოსი ყე (ყვარყვარე?). არ არის გამორიცხული, რომ ქართლის ერთ-ერთი ფეოდალი, ივანე ტბელი, ჯერ ერისთავად იწოდებოდა, მან წორბისის ეკლესიის კონქი ააშენა, წარწერაში ხაზგასმულია: „სალოცველად მათდა“, საუბარი უნდა ეხებოდეს ტბელთა ფეოდალურ სახლის წევრებს. რამდენიმე წლის შემდეგ ივანემ ქართლის სხვა ფეოდალებზე უფრო მეტი ძალაუფლება მოიპოვა, ამ საგვარეულოებს „მატიანე ქართლისაც“ იცნობს. ცოტა უფრო მოგვიანებით კონსტანტინე აფხაზთა მეფის ძის – გიორგის მოღვაწეობის დროს ქართლში რამდენიმე ფეოდალური სახლია, მათ შორის: „გოდერძი მგდუერი, მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე სხვლოსელნი, სარა და გრიგოლ ფხუენელნი, და მათ თანა ორმოცდაათი აზნაური სხუა“.¹³⁰ წორბისის წარწერაში მოხსენიებული ივანე ერისთავი, იგივე ტბელი, ქართლის სხვა აზნაურებზე, მათ შორის ფხუენელებზე და ყანჩაელებზე მეტად დაწინაურდა* და ქართლის „უფალი“ გახდა. აღსანიშნავია, რომ ტერმინი „უფალი“ X საუკუნის სხვა წარწერაშიც გვხვდება. ბიეთის წარწერაში იხ-

¹²⁹ ი. მეგრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

¹³⁰ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 269.

* სოფელი ფხენისი, მდ. დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირზეა, ცხინვალიდან რამდენიმე კმ-ის დაშორებით და ფხუენელთა ფეოდალური სახლის ცენტრი სწორედ აქ უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ „ფხუენელი“ ოდნავ განსხვავებული „ფხუენელაის“ ფორმით გვხვდება მეჯულის ხეობაში აღმოჩენილ ქვის ფილაზე ნუსხურით შესრულებულ 16 სტრიქონიან წარწერაში. წარწერა თარიღდება X საუკუნით. ეს არის „დაწერილი ზაზისა და თუთასი ბაპრამისა და ლომასადმი“. წარწერაში მოხსენიებულია კოლონკელი ფხუენელაისძე. ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 146; კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 52.

სენიება იოანე ერისთავთ-ერისთავი (ყანჩაელი), „უფალი“. ამაზე ქვემოთ შევჩერდებით. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, X-XI საუკუნეებში სოციალურ ცხოვრებაში ახალი ტერმინი „პატრონი“ ჩნდება. უფრო ადრე, „პატრონის“ ნაცვლად „უფალი“ გამოიყენებოდა.¹³¹ ტბელთა საგვარეულომ ძლიერების ზენიტს კონსტანტინეს მეფობის დროს მიაღწია. მოგვიანებით, კონსტანტინე აფხაზთა მეფის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ჩანს, ტბელთა ფეოდალურმა სახლმა ქართლის გამგებლობა დაკარგა. ტახტზე კონსტანტინეს ვაჟი გიორგი ავიდა. მან ქართლი თავის უფროს ძეს კონსტანტინეს ჩააბარა.¹³² ჩვენი აზრით, ივანე ტბელს გიორგი აფხაზთა მეფესთან ურთიერთობა დაეძაბა, რის გამოც გიორგიმ ივანეს ქართლის გამგებლობა ჩამოართვა და თავის ძეს კონსტანტინეს გადასცა. თუმცა, გიორგის ქართლის დაუფლება ბრძოლით მოუხდა. ვახუშტი ამის შესახებ აღნიშნავს: „ამანვე გიორგი მეფემან, შემდგომად მეფისა ადარნასე კურაპალატის სიკუდილისა დაიპყრა ქართლი და დასუა ძე თვისი კონსტანტინე“.¹³³ გიორგი აფხაზთა მეფის მიერ ქართლის დაპყრობასთან დაკავშირებით აკად. მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს: „გიორგი მეფის წინაშე მწვავედ დადგა ქართლის საკითხი. როგორც აღნიშნული გვაქვს, ქართლი გიორგის მამამ, კონსტანტინემ (რომელიც ერედვის წარწერაში იხსენიება – გ. ს.), დაიპყრო X ს. დასაწყისში. მაგრამ, როგორც ჩანს, აფხაზთა მეფეებმა ქართლი დაკარგეს, რადგან გიორგის ისევ უხდება ქართლისათვის ბრძოლა. აფხაზთა მეფეების მეტოქეები, ქართლისათვის ბრძოლაში, სომეხთა მეფეები და ქართველთა მეფეები იყვნენ. აფხაზთა სამეფოს ქართლი უნდა დაეკარგა ან აბულ-კასიმის შემოსევის, ან აფხაზთა სამეფო სახლში ტახტისათვის

¹³¹ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, თხზულებანი, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 58.

¹³² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1948, გვ. 103.

¹³³ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 799.

წარმოებული ბრძოლის დროს.¹³⁴ მ. ლორქიფანიძემ ყურადღება მიაქცია ვახუშტის ცნობას, რომელიც გიორგი აფხაზთა მეფის მიერ ქართლის დაპყრობას აღარნასე ქართველთა მეფის გარდაცვალებას უკავშირებს: „შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ვახუშტი გიორგი აფხაზთა მეფის მიერ ქართლის დაპყრობას აღარნასე ქართველთა მეფის გარდაცვალებას უკავშირებს. ვიცით, რომ აბულ-კასიმის შემოსევის დროს, სუმბატ სომეხთა მეფის და კონსტანტინე აფხაზთა მეფის საპირისპიროდ, აღარნასე ქართველთა მეფემ შემოსეული მტრის მხარე დაიჭირა. შესაძლებელია, ქართლი აღარნასე ქართველთა მეფემ საჯი ამირასაგან მიიღო მოკავშირეობისათვის, ან დაიპყრო იმ დროს, როდესაც აფხაზეთში ტახტისათვის ომი მიმდინარეობდა. ეს ძალიან ხელსაყრელი დრო იქნებოდა ქართველთა მეფისათვის.“¹³⁵ ჩვენი აზრით, სწორია ის მოსაზრება, რომ აღარნასემ აფხაზთა სამეფო კარზე არსებული არეულობით ისარგებლა და ქართლს დაეუფლა. ამ დროს მისთვის მხარი უნდა დაეჭირა ივანე ტბელს, რომელსაც აღარნასე შესაძლებელია ქართლის გამგებლობის შენარჩუნებას დაპირდა. ივანე ტბელი აღარნასე ქართველთა მეფის ბანაკში აღმოჩნდა.*

¹³⁴ მ. ლორქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 246-247.

¹³⁵ იქვე, გვ. 247.

* აღსანიშნავია, რომ აღარნასეს მხარს უჭერდა ვახუშტის ვახუშტის მეფე სუმბატ ტიეზიკარელი. სომეხი მემატიანის – იოანე დრასხანაკერტელის ცნობით სუმბატმა: „დიდი პატივითა და დიდებით გვირგვინი დაადგა, შესაფერისი ლამაზი სამკაულითა და საჭურვლით შეამკო მეფეთა წესის თანახმად, ქართველთა მეფედ დაადგინა და თავისი სამფლობელოს მეორე პირად [მეფის შემდეგ] დაამტკიცა იგი.“ ე. ცაგარეიშვილი, საქართველო VII-X საუკუნეების სომხურ საისტორიო წყაროებში, თბ., 2012, გვ. 69. სუმბატმა და აღარნასემ 904 წელს, უფლისციხესთან ერთობლივად დაამარცხეს კონსტანტინე აფხაზთა მეფე. კონსტანტინე სუმბატმა დაატყვევა, თუმცა მალე გაათავისუფლა, რასაც აღარნასეს უკმაყოფილება მოჰყვა. იქვე, გვ. 133. სუმბატის მიერ კონსტანტინე აფხაზთა მეფის დამარცხების ფაქტს განსხვავებულად გადმოგვცემს სომეხი მემატიანე ფსევდო შაპუჰი, მისი ინფორმაციით, აფხაზთა მეფე ამ დროს იყო თეოდოსი. სომეხთა და აფხაზთა მეფეებს შორის ბრძოლა მოხდა არა უფლისციხესთან, როგორც ამას იოანე დრასხანაკერტელი

სწორედ ამიტომ, როდესაც აღარნასე გარდაიცვალა, ტბელები მფარველის გარეშე აღმოჩნდნენ და გიორგი აფხაზთა მეფემ ქართლი დაიპყრო. არც ის არის გამორიცხული, რომ საჯი ამირას შემოსევის დროს აღარნასემ მოკავშირეობის გამო ქართლი საჩუქრად მიიღო. ივანე ტბელი, იმის გამო, რომ აფხაზთა სამეფო კარზე ტახტის პრეტენდენტთა შორის დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი, პატრონის გარეშე დარჩა და აღარნასეს ბანაკში აღმოჩნდა. ერთი რამ ცხადია, გიორგი აფხაზთა მეფე ქართლის დაპყრობის შემდეგ ადგილობრივ ფეოდალებს (ტბელებს) აღარ ენდო და ქართლი თავის ვაჟს - კონსტანტინეს ჩააბარა, რომელიც მამას მალე განუდგა. საინტერესოა, რომ კონსტანტინე უფლისწულს მხარს უჭერდნენ ტბელნი და სხვა აზნაურები: „და ვითარ დაყო სამი წელიწადი, იწყო მტერობად მამისა თვისისა და ძებნად მეფობისა. და ვითარ გამოცხადნა საქმე მისი, შედგა იგი უფლისციხეს და შეუდგეს თანა ტბელნი და სხუანი მრავალი აზნაურნი.“¹³⁶ კონსტანტინე ქართლის გამგებლობას არ დაჯერდა. მას აფხაზეთში გამეფება უნდოდა. როგორც ჩანს, ივანე ტბელმა მას დახმარება იმ პირობით აღუთქვა, თუ ბრძოლის წარმატებით დასრულების შემდეგ აფხაზეთში გამეფებული კონსტანტინე ქართლს კვლავ ივანე ტბელს ჩააბარებდა. თუმცა, კონსტანტინე დამარცხდა. ტბელთა ფეოდალურმა სახელმა, ქართლის გამგებლობის იმედი დაკარგა. მათი საფეოდალოს საზღვრები ამ მარცხის შემდეგ მკვეთრად უნდა შემცირებულიყო. ის, რომ ივანე ტბელის მომდევნო თაობის წარმომადგენელთა სახელები, მხოლოდ ტბეთის ბორცვისჯვრის ტაძრის წარწერებიდან არის ცნობილი, შემთხვევითი არ არის. ქართლის „უფლობიდან“ ტბელები კვლავ ტბეთს და მის შემოგარენ ადგილებს უბრუნდებიან. კონსტანტინე აფხაზთა მეფის ძის ქართლში გამგებლად ყოფნის შესახებ „მატიანე ქართლისას“ გარდა, ძალზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვ-

გადმოგვცემს, არამედ გორთან. ე. ცაგარეიშვილი, ანონიმი ისტორიკოსი (ფსევდო-შაჰუჰი) და მისი „ისტორია“, „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, V, თბ., 1975, გვ. 162-163.

¹³⁶ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 267.

დის მდ. მეჯუდას ხეობაში, სოფ. ჭალისუბანში ნაპოვნი თექვსმეტსტრიქონიანი წარწერა. წარწერა პირველად გამოქვეყნდა 1925 წელს.¹³⁷ მასში ვკითხულობთ: „სახ[ელით]ა ღმრთისადთა ესე ჰელი [ჩუენ] რამინ და გიორგი დაწვერეთ ოდეს [კოსტა]ნტი ქართლისა გამგებელი იყო, ჩუენ ცხრაზმის ჰევის ჰევისუფლად [ეკიყენით, მას ჟამსა ავაგეთ წისქოულნი და ზემოთ სახლი ერთი სამსახოური, ჰვიდავს ზ კაცი. ქე ა ცისკარ ამინ. ესე ჰელი მე გიორგი დაწვერე. ქრისტე განმგებლო ორთავე ცხორებათაო, დაწესე სოლი ფარაისი წიადთა აბრაჰამისთა მიეც განსოენებაო † ამ[ა]“. ¹³⁸ ძალზე საინტერესოა, რომ ჭალისუბნის წარწერაში, რომელიც კონსტანტინეს გამგებლობის დროს არის შექმნილი (923-926 წ.წ) ცხრაზმის ხევისუფლები ადგილობრივ, მათზე იერარქიულად მაღლა მდგომ ერისთავს არ იხსენიებენ. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, ხევისუფლები ერისთავებს ექვემდებარებოდნენ. ამის დასადასტურებლად მეცნიერი, როგორც ა. ბაქრაძემაც შენიშნა, შიომღვიმისადმი გრიგოლ ერისთავთ-ერისთავის მიერ ბოძებულ „დაწერილს“ იმოწმებს.¹³⁹ იმ გარემოებას, რომ ჭალისუბნის წარწერაში ადგილობრივი ერისთავები არ იხსენიებიან, ყურადღება მიაქცია ა. ბაქრაძემ. იგი წერს: „თუ ჰევისუფალნი მართლაც ერისთავებს ემორჩილებიან, ისმება კითხვა, თუ რატომ არ იხსენიებენ ჩვენი წარწერის (იგულისხმება ჭალისუბნის 923-926 წ.წ. წარწერა – გ. ს) პირები მას, როგორც თავიანთ უშუალო უფროსს, რატომ იხსენიებენ ისინი ქართლის გამგებელს და არა ადგილობრივ ფეოდალს?“¹⁴⁰ ა. ბაქრაძე ამ ფაქტს შემდეგნაირ ახსნას უძებნის: „რადგანაც იურიდიული ხასიათის ასეთ იშვიათ საბუთში, როგორსაც წარმოადგენს ჩვენი ძეგლი, არ იხსენიება ადგილობრივი ფეოდალი (ამ შემთხვევაში ერისთავი) უნდა ვიფიქროთ, რომ

¹³⁷ საისტორიო მოამბე, წიგნი I, 1925.

¹³⁸ ა. ბაქრაძე, X საუკუნის წარწერა მეჯუდას ხეობიდან, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX—B, 1956, გვ. 6.

¹³⁹ იქვე, გვ. 7; ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგ. II, ნაკვ. 2, ტფ., 1928, გვ. 207; თ. ჟორდანიას, ქრონიკები, ტ. II, ტფ., 1897, გვ. 15-19.

¹⁴⁰ ა. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

ცხრაზმის კვეთში ასეთი თანამდებობა ჯერ კიდევ არ არსებობდა.¹⁴¹ ჩვენ ვერ დავეთანხმებით აღნიშნულ მოსაზრებას. ის, რომ წარწერიანი ქვა მეჯულის ხეობაში, სოფ. ჭალისუბანშია ნაპოვნი, შემთხვევითი არ არის. მეჯულის ხეობა ცხრაზმის ხეეს ემიჯნება, არ არის გამორიცხული, რომ ცხრაზმის ხევისუფალთა რეზიდენცია სწორედ ამ არეალში იყო. როგორც ქვემოთ ვნახავთ, მეჯულის ხეობაში ბიეთის ტაძრის X საუკუნის საამშენებლო წარწერაში იხსენიება „ერისთავთ-ერისთავი იოანე ძე ბაკურ ყანჩაელისა, უფალი და პატრონი“. გამოდის, რომ X საუკუნეში მეჯულის და მის მეზობლად არსებული ხეობები ყანჩაელთა საკუთრებას წარმოადგენდა და მათ თავიანთი ხევისუფალნიც ჰყავდათ. არ არის გამორიცხული, რომ ყანჩაელები ტბელთა საპირისპიროდ მამისაგან განდგომილი კონსტანტინეს მოწინააღმდეგეები იყვნენ. არც ის არის გამორიცხული, რომ კონსტანტინეს ქართლის ძლიერი ფეოდალების – ყანჩაელების წინააღმდეგ მათ დაქვემდებარებაში მყოფი ცხრაზმის ხევისუფლები წაექეხებინა, რომლებმაც წარწერაში თავიანთ უშუალო „პატრონი“ აღარ მოიხსენიეს. კონსტანტინეს ბანაკის დამარცხების შემდეგ, მას მერე, რაც გიორგი აფხაზთა მეფემ ქართლი დაიკავა, შესაძლებელია მან ქართლი თავის მომხრე ყანჩაელებს გადასცა და ბიეთის წარწერაში ამიტომაც არის მოხსენიებული იოანე ერისთავთ-ერისთავი „უფლად“ და „პატრონად“.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ X საუკუნის დასაწყისში ქართლში ასეთი პოლიტიკური სურათი გვქონდა: კონსტანტინე აფხაზთა მეფის დროს ქართლის „უფალი“ ივანე ტბელია. კონსტანტინე აფხაზთა მეფის გარდაცვალების შემდეგ, აფხაზთა სამეფო სახლში არსებული არეულობის დროს ივანე ტბელი აფხაზთა მეფეებს განუდგა და ადარნასე ქართველთა მეფის ბანაკში გადავიდა. ადარნასეს გარდაცვალების შემდეგ აფხაზთა მეფემ გიორგიმ ქართლი დაიპყრო და იქ გამგებლად თავისი ძე კონსტანტინე დასვა. კონსტანტინე სამი წელი იყო ქართლის გამგებელი. სამი წლის შემდეგ იგი მამას – გიორგი მეფეს განუდგა. ამ დროს ივანე ტბელი კონსტანტინეს მხარეს იბრძოდა, ხოლო ყანჩაელები კონსტანტინეს მოწინააღმდეგენი იყ-

¹⁴¹ იქვე, გვ. 8.

ენენ. ივანე ტბელს, კონსტანტინეს გამეფების შემდეგ ქართლის „უფლობის“ დაბრუნების იმედი ჰქონდა. კონსტანტინეს დამარცხების შემდეგ ტბელებმა სამუდამოდ დაკარგეს ქართლის „უფლობის“ დაბრუნების პერსპექტივა. ქართლის „უფალი“ ტბელთა მოწინააღმდეგე ყანჩაელი გახდა. ჩვენს მოსაზრებას ამყარებს „მატიანე ქართლისას“ ცნობა, რომელიც ზემოთაც მოვიყვანეთ: „და ვითარ დაყო სამი წელიწადი, იწყო მტერობად მამისა თვისისა და ძეხნად მეფობისა. და ვითარ გამოცხადნა საქმე მისი, შედგა იგი უფლისციხეს და შეუდგეს თანა ტბელნი და სხუანი მრავალი აზნაურნი.“¹⁴² კონსტანტინეს ბანაკში რომ ყანჩაელიც ყოფილიყო, ამას მემატიანე უსათუოდ აღნიშნავდა. სიტყვებში „სხუანი მრავალი აზნაურნი“ ტბელთა დაქვემდებარებაში მყოფი სხვადასხვა წვრილი აზნაურები (შესაძლოა ხევისუფალნიც) უნდა იგულისხმებოდეს. გიორგი აფხაზთა მეფისათვის მხარი ბიეთის წარწერაში მოხსენიებულ იოანე ყანჩაელს უნდა დაეჭირა, რომელმაც შემდეგ ერისთავთ-ერისთავობა და ქართლის „უფლობა“ მიიღო.* ყანჩაელების და ტბელების ფეოდალური საგვარეულოების შესახებ აზრი გამოთქვა ჯ. გვასალიამ, მკვლევარი წერს: „IX საუკუნისათვის ქართლის აზნაუ-

¹⁴² ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 267.

* აღსანიშნავია, რომ კვირიკე კახთა ქორეპისკოპოსთან დაპირისპირების დროს, ყანჩაელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელი „მამა ყანჩაელი“ ქართლის სხვა აზნაურებთან ერთად, კვირიკეს ემხრობოდა: „გოდერძი მგდეური, მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე სხვლოსელი, სარ და გრიგოლ ძმანი ფხუენელი, და მათ თანა ორმოცდაათი აზნაურნი სხუა.“ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 369. „მატიანე ქართლისას“ ამ ადგილს ამ სახით კითხულობს მ. ლორთქიფანიძე. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 248. ივ. ჯავახიშვილს „მატიანე ქართლისას“ ეს ადგილი განსხვავებულად ჰქონდა დამოწმებული: „გოდერძიანი, მგდეური, ყანჩაელი მამა დაჩი, კორინთელი დაჩი და იოანე, სხვლოსელი სარა და გრიგოლ, ძმანი ფხუენელი და მათ თანა ორმოცდაათი აზნაურნი სხუა.“ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1948, გვ. 104. ჩვენი აზრით, წყაროში მითითებული „მამა“ საკუთარ სახელს არ უნდა აღნიშნავდეს, რადგან შიდა ქართლში ასეთი ანთროპონიმი არცერთ სხვა ძეგლში არ გვხვდება. ხომ არ იგულისხმება „მამა ყანჩაელში“ ბიეთის წარწერაში მოხსენიებული იოანე ყანჩაელის მამა-ბაკური?

რებს შორის აღზევებიან ყანჩაელები, რაზეც მეტყველებს მე-
ჯუდის ხეობის სოფელ ბიეთში ჩატარებული დიდი მშენებლო-
ბა და სამშენებლო წარწერა. აქ იხსენიება ერისთავთ-ერისთავი
იოანე ძე ბაკურ ყანჩაელისა. იგი უნდა იყოს ქსნის ერისთავი.
ამ დროს ცხრაზმისხევი ქსნის ხევისადმია ადმინისტრაციულად
დამორჩილებული. არაა გამორიცხული, რომ ერისთავთ-ერისთა-
ვი იოანე იყოს მთელი ქართლის ერისთავი. X საუკუნისათვის
ყანჩაელთა განსაკუთრებული მდგომარეობა ქრება და ისინი
ქართლის ჩვეულებრივი აზნაურები არიან, წინაურდება ტბელ-
თა სახლი.¹⁴³ ყანჩაელების IX საუკუნეში აღზევების დათარი-
ლებისას მკვლევარი ბიეთის სამშენებლო წარწერის რ. მეფისა-
შვილისეულ დათარილებას ეყრდნობა.¹⁴⁴ თუმცა, ბიეთის წარწე-
რას ნ. შოშიაშვილი X საუკუნით ათარილებს, რასაც ჩვენც ვე-
თანხმებით. პალეოგრაფიული ნიშნების გარდა,¹⁴⁵ ამ დათარილე-
ბას მხარს უჭერს „მატიანე ქართლისა“. ყანჩაელთა გვარი გი-
ორგი აფხაზთა მეფის დროს (X საუკუნის I ნახევარში იხსენი-
ება). ჩვენი აზრით, ტბელთა ფეოდალურმა სახლმა კი არ ჩაა-
ნაცვლა ყანჩაელთა სახლი, როგორც ჯ. გვასალიას მიაჩნია,
არამედ პირიქით. ტბელთა საფეოდალოს პირველობა ქართლში,
კონსტანტინე აფხაზთა მეფის გარდაცვალების შემდეგ ყანჩა-
ელთა ფეოდალურმა სახლმა წაართვა.

დოდოთის და ტბეთის წარწერებზე დაყრდნობით, ნ. შო-
შიაშვილი ტბელთა ოთხ თაობას გამოყოფდა და წერდა: „რო-
გორც ვხედავთ, ტბეთის წარწერებში ჩანს ტბელების 2 თაობა:
I პატრიკ ტბელი; II პატრიკის ძეები (ოქროპირი, ქავთარი). ტბე-
ლების ამ ორ თაობას წინ უსწრებს ორი თაობა, მოხსენიებუ-
ლი დოდოთის ცხრაკარის ეკლესიის წარწერებში: I-ივანე ტბე-
ლი (914 წ. ახლო) (№80); II-ტბელის ძე (ივანე ტბელის ძე) ქაე-
თარ (№81). ტბეთის წარწერების პატრიკი ძეა ქავთარის (№83).

¹⁴³ ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის
ნარკვევები, გვ. 25.

¹⁴⁴ IX . . . , ქართული
ხელოვნება, 6-A, თბ., 1963, გვ. 44-45.

¹⁴⁵ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ.
192.

ასე, რომ დოდოთისა და ტბეთის წარწერები იხსენიებენ ტბელთა ოთხ თაობას: ივანე – ქავთარ I – პატრიკ – ქავთარ II.¹⁴⁶

ვინ არიან დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის ქტიტორები, ძმები: გოდერძი, ჯარიდი და ბეშქენი? აქვთ თუ არა მათ საერთო ტბელთა ფეოდალურ სახლთან, წყაროთა სიმწირის გამო, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ დიცის ღვთისმშობლის აღმოსავლეთ კედელზე გამოსახული წარწერა შინაარსობრივად ბევრ ინფორმაციას არ იძლევა, რთულია რაიმეს გაჭრით თქმა, თუმცა, ვარაუდების დაშვება მაინც შესაძლებელია. ჩვენი აზრით, დიცის ტაძრის აგება წინ უნდა უსწრებდეს ერედვის წმინდა გიორგის ტაძრის აგებას. როგორც ვნახეთ, ერედვის, დოდოთის, ასევე ტბეთის ეკლესიის წარწერებში ტბელთა ოჯახის წევრთა სულ სხვა სახელები იხსენიება. ქტიტორები რომ ივანე ტბელის წინაპრები, ან მისი წინა თაობის წარმომადგენლები ყოფილიყვნენ მათი სახელები ივანეს სახლის სხვა წარმომადგენლებში, მომდევნო თაობაში უსათუოდ განმეორდებოდა. როგორც აღვნიშნეთ, ტბელთა აღზევების დროს მათი ოთხი თაობაა ცნობილი და არსად დიცის ტაძრის ქტიტორთა სახელები არ ჩანს. იბადება კითხვა: რაკი დოდოთის ეკლესიის ერთ-ერთი წარწერიდან ცნობილია, რომ ივანე ტბელს ხუთი ძე ჰყავდა, დიცის ქტიტორები ხომ არ იყვნენ მისი შვილები? ხომ არ მიეცათ მათ ერედვის სიახლოვეს მანძილი 4 კმ.-ია) დიცში მამული, სადაც მათ ტაძარი ააგეს. ჩვენი აზრით, ეს ვერსია უნდა გამოვრიცხოთ. ივანე იმდენად დიდი ფეოდალი იყო, რომ დიცის ტაძრის ქტიტორები უსათუოდ ხაზს გაუსვამდნენ წარწერაში, იმ ფაქტს, რომ ისინი ან ივანე ტბელის ძეები იყვნენ, ან ტბელთა ფეოდალური სახლის წევრები. გავიხსენოთ ერედვის ტაძრის წარწერა, სადაც აღნიშნული იყო: „აღეშენ[ნ]ა² წ(მიდა)ე [ეკ](ლესია)ე [ე/3სე ყოვ(ე)ლთა]†თა [ტ]ბ[ე]ლ[თ]5ა ბრძანე⁶ ბითა.“¹⁴⁷ დიცის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის საამშენებლო მასალად გამოყენებულია ღვინისფერი ტუფი, რომელიც, სავარაუდოდ, ერედვიდან

¹⁴⁶ იქვე, გვ. 179.

¹⁴⁷ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 173.

იყო ჩამოტანილი. ასეთივე მასალით არის აგებული ამ პერიოდის ძეგლები პატარა ლიახვის ხეობაში. ტბელთა აღზევების, კონკრეტულად კი ივანე ტბელის ქართლის გამგებლობის პერიოდში, დიციში ტბელთა ნებართვის გარეშე ტაძარი ვერ აიგებოდა, სხვა შემთხვევაში მათი გვარი წარწერებში უსათუოდ დაფიქსირდებოდა. ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს ტბელების აღზევებამდე არსებულ პერიოდთან. ქტიტორი ძმები: გოდერძი, ჯარიდი და ბეშქენი ჩვენთვის უცნობი რომელიმე ფეოდალური სახლის წარმომადგენლები (შესაძლოა ხევისუფლებიც, როგორც არიან მოხსენიებული ჭალისუბნის წარწერაში) იყვნენ, რომლებმაც IX საუკუნის II ნახევარში, ივანე ტბელის აღზევებამდე დიციის ეკლესია ააგეს, შემდეგში მათმა ფეოდალურმა სახლმა პირველობა ტბელებს დაუთმო. საინტერესოა, რომ დიციის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე მოხსენიებული სამი ძმიდან, ჯარიდის სახელი ეკლესიის შიგნით სამხრეთ კედელზე არსებულ წარწერებშიც მეორდება. დიციის ეკლესიის სხვა წარწერებში ჯარიდის ძმები – გოდერძი და ბეშქენი არ იხსენიებიან. X საუკუნით დათარიღებულ წარწერებში, რომლებიც შიდა ქართლის ტერიტორიაზეა შემორჩენილი ბეშქენი მოიხსენიება ბიეთის წარწერაში. (სოფელი ბიეთი მდებარეობს ცხინვალის რაიონში, ცხინვალიდან 20 კმ-ის დაშორებით, დასავლეთით. სოფლიდან 1 კმ-ის დაშორებით მდ. მეჯუდას დასავლეთით, მისი ერთ-ერთი შენაკადის ხეობაში მდებარეობს ნახევრად მღვიმის ეკლესია,¹⁴⁸ ბიეთის ერთ-ერთ წარწერაში რომელიც დათარიღებულია X საუკუნით, მოხსენიებული ვაჩე და ბეშქენი: „წ(მიდა)ო//ს(ამებ(ა)ო)წ(ა)ჩ//ე და /3ბ(ე)შქ(ე)//ნ დაიც//(ე)წ.“¹⁴⁹ თუმცა, ეს ბეშქენი არ უნდა იყოს დიციის ღვთისმშობლის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე მოხსენიებული ტაძრის ქტიტორთაგანი. იმავე ბიეთის ტაძრის სხვა წარწერაში, რომელიც ასევე X საუკუნით არის დათარიღებული სამეცნიერ-

¹⁴⁸ . . . , ქართული ხელოვნება, 6-ა, 1963, . 29-55.
¹⁴⁹ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 194;, 1975, . 38.

რო ლიტერატურაში მოიხსენიება ერისთავთ-ერისთავი იოვანე: „ქ(რისტე)ე, მე(უ)ფეო[ვო]ყოველთ(ა)ო, ა[დ]ო²დე ე(რისთავთ)-ე(რისთავი) ი(ოვან)ე//ძე ბაკ(ურ)³ ყ(ა)ნჩაელ(ისა)//ღ, უფალი და /⁴ პ[ა]ტრონი ამ(ის) წ(მი)დისა/⁵ ეკლ(ესი)ისა,/[დ]აიცი(ე)ვ წ(მი)და(ღ)⁶ [მრ]ემლი ს(ა)მე/[-ბის]ა[ღ] ყო[ვ]ელი.“¹⁵⁰

ეჭვს გარეშეა, რომ ბიეთი ყანჩაელთა ტერიტორიას წარმოადგენდა და დიციის ეკლესიის ერთ-ერთ ქტიტორს ბიეთის წარწერაში არ მოიხსენიებდნენ. ბიეთის წარწერაში მოხსენიებული „ვაჩე“ და „ბეშქენი“ რ. მეფისაშვილის აზრით, ყანჩაელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები უნდა იყვნენ. ანთროპონიმი „ვაჩე“ ყანჩაელთა გვარში გავრცელებული სახელი იყო.¹⁵¹ შესაძლებელია, ისინი ერისთავთ-ერისთავ იოვანეს შვილები, ან სახლისკაცები იყვნენ. ბიეთის წარწერაში მოხსენიებული ბეშქენის მოღვაწეობა ქრონოლოგიურად უფრო გვიანდელი უნდა იყოს, ვიდრე დიციის და ერედვის წარწერები. დიციის ტაძრის ერთ-ერთ ქტიტორს ბეშქენს, წარწერის თანახმად, ორი ძმა: ჯარიდი და გოდერძი ჰყავს, რომლებიც ბიეთის წარწერებში არსად ჩანან. ბიეთის წარწერის ბეშქენი და დიციის წარწერის ბეშქენი რომ ერთი და იგივე პირები იყვნენ, ბიეთის წარწერებში, ჩვენი აზრით, მისი ძმების მოსახსენებელიც იქნებოდა. ბეშქენი ძველ საქართველოში გავრცელებული საკუთარი სახელი იყო.¹⁵² ბეშქენ ერისთავთ-ერისთავი იხსენიება 1172 წლით დათარიღებულ იკორთის ტაძრის ასომთავრულ წარწერაში.¹⁵³

¹⁵⁰ იქვე, გვ. 193. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ვიზუალურად ბიეთის წარწერა ძალზე წააგავს დიციის ასომთავრულ წარწერას. . . .

.., 1975, . 36-37. ორივე ძველი საკმაოდ დაშორებულია ერთიმეორისგან და ორივე მათგანი, ჩვენი აზრით, სხვადასხვა საფეოდალოს ეკუთვნოდა. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ ბიეთის და დიციის წარწერები ერთი ხელოსნის მიერ იყოს შესრულებული.

¹⁵¹ რ. მეფისაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45-46; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნები ისტორია, თბ., 1961, გვ. 254.

¹⁵² იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. I, რ. მეტრეველის რედ. თბ., 2008, გვ. 317, 282, 442, 560.

¹⁵³ თ. ჟორდანიას, ქრონიკები, ტ. I, თბ., 2004, გვ. 259-260.

ბეშქენი რომ გავრცელებული საკუთარი სახელი იყო, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ არსებობდა სოფელი ბეშქენაშენი, რომელიც მოიხსენიება ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების 1392 წლის სითარხნის გუჯარში: „თრიალეთს: სოფელი ბარეთი და ცოტა ბარეთი, ქედის უბანი, მალისს: სოფელი საყდარი, ზურისუბანი, ახალშენი, კლონა, ბეშქენაშენი“.¹⁵⁴ სოფელი უკანა ბეშქენაშენი (თრიალეთზე) მოხსენიებულია ქართლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის 1559 წლის გუჯარში.¹⁵⁵ თრიალეთზე არსებული ბეშქენაშენი იხსენიება 1697 წლის დოკუმენტში,¹⁵⁶ დიციის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე არსებულ ასომთავრულ წარწერაში მოხსენიებული ჯარიდი, შესაძლოა, ასაკით ყველაზე უფროსი არ იყო ძმებს შორის, მაგრამ ტაძრის აგებაში, ან მის მოვლა-პატრონობაში მან უფრო მეტი წვლილი შეიტანა და ამიტომაც მოიხსენიეს მეორე წარწერაშიც.

ვინ უნდა იყოს **კონსტანტინე ბაკანაი?** რომელსაც დიციის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის სამხრეთ კედელზე ორი მოსახსენებელი უკავშირდება. როგორც აღინიშნა, ორივე მათგანი პალეოგრაფიული მონაცემებით, IX-X სს. შეიძლება დავათარილოთ. აქედან პირველი: სამსტრიქონიანი ნუსხურშერეული ასომთავრული წარწერა განთავსებულია გადაფხეკილი წარწერის შემდეგ იატაკის დონიდან 131 სმ. მარცხენა კიდიდან 3 სმ. დაშორებით, ხოლო მეორე სამსტრიქონიანი ასომთავრულ შერეული ნუსხური წარწერა ტაძრის ერთ-ერთი ქტიტორის – ჯარიდის მოსახსენებლის ქვემოთ. განსაკუთრებით საინტერესოა, მეორე მოსახსენებელი, სადაც აღნიშნულია:

- „1. ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე კ(ონსტანტინ)ე ბაკანაი ყოე
2. ლგან ეკლესიათ მათ
3. ალა(გს)“.

¹⁵⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III, თბ., 1970, გვ. 177.

¹⁵⁵ იქვე, გვ. 264.

¹⁵⁶ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. I, თბ., 1940, გვ. 102, №142.

აქ შეგვიძლია დავუშვათ რამდენიმე ვარაუდი:

1. კონსტანტინე ბაკანაი გამოჩენილი სასულიერო პირი იყო და ის მოღვაწეობდა ტბელების დაწინაურებამდე, 906-914 წლებამდე, ვიდრე ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანე ამ მხარეში მაღალი საეკლესიო იერარქი გახდებოდა. ერედვის ტაძრის აგების და ამ ტაძრის წარწერის შექმნის დროს კონსტანტინე ბაკანაი მაღალი საეკლესიო თანამდებობის პირი აღარ უნდა ყოფილიყო. თუკი მას იმხელა გავლენა ჰქონდა, რომ „ყოველგან ეკლესიათ მათ ალაგს“ იხსენიებდნენ, როგორც ამას დიციის წარწერა გამოგვცემს, მაშინ აღნიშნულ პიროვნებას ერედვის წარწერაშიც მოიხსენიებდნენ. არ არის გამორიცხული, რომ კონსტანტინე ბაკანაი სწორედ ტაძრის ქტორების: გოდერძის, ჯარიდის და ბეშქენის სახლის წარმომადგენელიც იყო. რას უნდა ნიშნავდეს: „ბაკანაი“? შესაძლოა, იგი რაიმე საეკლესიო წოდებას, ან სულაც ფეოდალური სახლის აღმნიშვნელი სახელი იყო (ეს სამომავლო კვლევის საგანია).

2. კონსტანტინე ბაკანაი, შესაძლოა საერო პირი იყო, ტბელთა გამოჩენამდე, კერძოდ ივანე ტბელის მიერ ქართლის „უფლობამდე“ ამ არეალში არსებული იმ ფეოდალური სახლის წარმომადგენელი, რომელმაც დიციის ტაძარი ააგო. კონსტანტინე რომ სხვა ფეოდალური სახლის წევრი ყოფილიყო, ის, ჩვენი აზრით, თავის მოსახსენებლებს არა ჯარიდის მოსახსენებელთან ახლოს, არამედ ტაძრის სხვა კედელზე და უფრო გამორჩეულ ადგილზე ამოაკვეთინებდა, შესაძლოა, ის ჯარიდის ვაჟიც იყო. არ არის გამორიცხული, რომ იმ დროს მათი ფეოდალური სახლი ტბელთა ფეოდალური სახლის დაწინაურების ფონზე, გავლენას კარგავდა, ამიტომ მოსახსენებელში მან ხაზი გაუსვა თავის საგვარეულოს სიძლიერეს, ე.ი. მათ არა მარტო დიციის ეკლესიაზე ჰქონდათ გავლენა, არამედ „ყოველთა ეკლესიათა მათ ალაგს“, ჩანს, ბაკანაის სახლი დიდ ტერიტორიას ფლობდა და წარწერის ამ ნაწილში სწორედ ამას აქვს გასმული ხაზი, მათ ფეოდალურ სახლს არაერთი ეკლესია ჰქონდა აშენებული. ასეთი ეკლესიები ტბელთა აღზევების დროს მათ მიერ ვედარ აიგებოდა. სავარაუდოა, რომ ბაკანაის ფეოდალურმა სახლმა ტბელების დაწინაურებამდე არაერთი ტაძარი ააგო. მრავალი ტაძრის აგება ამ გეოგრაფიულ არეალში მხო-

ლოდ ძლიერ ფეოდალურ სახლს შეეძლო. როგორც ზემოთ მივუთითებდით, დიციის ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთ კედელზე კონსტანტინე ბაკანაის ორი მოსახსენიებელია. ორივე მათგანი პალეოგრაფიული ნიშნებით IX-X საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს. მათ გარდა, კედელზე კიდევ ერთი მოსახსენიებელი (წარწერა, სავარაუდოდ, X ს. თარიღდება) გვხვდება. ორსტრიქონიანი მხედრულშერეული ნუსხური წარწერა განთავსებულია მიქელის მოსახსენებელის შემდეგ, იატაკის დონიდან 137,5 სმ. მარცხენა კიდიდან 1,7 სმ. მანძილზე. მოიცავს 7,5×3 სმ ფართობს. ამ მოსახსენებელში „კე“ სამჯერ მეორდება, არ გამოვრიცხავთ, რომ ის საკუთარ სახელს კონსტანტინეს აღნიშნავდეს, თუმცა, კითხვას აჩენს კონსტანტინეს აღმნიშვნელი „კე“-ს სამჯერ გამეორება. ამაზე რაიმეს გადაჭრით თქმა გაგვიძნელებს. როგორც წარწერებზე საუბრისას მივუთითებდით, სამხრეთ კედლის წარწერებში გვხვდება: „მოსახსენებელი მიქელისა (X ს.)“. ერთსტრიქონიანი, მხედრულზე გარდამავალი ნუსხური წარწერა განთავსებულია კვადრის შუა ღონეზე, გრაფიკული გამოსახულებების ქვედა მონაკვეთის გასწვრივ. იატაკის დონიდან 139, 5 სმ. სიმაღლეზე. „მიქაელი“, როგორც წარწერის შემსრულებელი, იხსენიება ჯარიდის მოსახსენებელშიც, საიდანაც ირკვევა, რომ წარწერა სწორედ მას შეუსრულებია. ჯარიდის მოსახსენებელი, როგორც აღვნიშნეთ, პალეოგრაფიული ნიშნებით IX-X საუკუნით თარიღდება, ხოლო მიქელის მოსახსენიებელი კი X საუკუნით. ჩვენი აზრით, ეს ორი წარწერა სხვადასხვა ქრონოლოგიურ პერიოდს განეკუთვნება და მასში მოხსენიებული „მიქელი“ და „მიქაელი“ სხვადასხვა პიროვნებები იყვნენ. რა გვაძლევს ამის თქმის საფუძველს? ჯარიდის მოსახსენიებელი, როგორც წარწერა გვაუწყებს, მიქაელს დაუწერია. ის სრულიად განსხვავებული, საკმაოდ დახვეწილი ხელით არის შესრულებული, ხოლო მიქელის მოსახსენებლის შემსრულებლის ხელი სრულიად განსხვავებულია. ჯარიდის მოსახსენებლის ავტორს რომ შეესრულებინა თავისი მოსახსენებელი, ვიზუალურადაც მსგავსი იქნებოდა, როგორც ჩანს, ის ამ საქმის ოსტატი იყო. ჯარიდის მოსახსენებლის შემსრულებელი მიქაელი შესაძლებელია ტაძრის ქტიტორი ძმების ფეოდალური სახლის წარმომადგენელი, ან მათთან ძალზე დაახლოებული პირი იყო.

მან ტაძრის ერთ-ერთ ამგებობის სახელთან ერთად თავისი სახელიც უკვდავეო. ჯარიდმა მას ამის უფლება მისცა, შესაძლოა, ის სასულიერო პირიც ყოფილიყო. ამ პერიოდის ლაპიდარული წარწერებში ცნობილია ნიქოზის ეპისკოპოსი მიქაელი, რომელმაც X საუკუნის II ნახევარში ნიქოზის ტაძარი ააგო, თუმცა, ჯარიდის ფეოდალური სახლის წევრს, ან მათთან დაახლოებულ პირს იმ არეალში, სადაც ტბელების დიდი გავლენა ვრცელდებოდა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეპისკოპოსის სახელით ააგო. ვინ უნდა იყოს X საუკუნის მოსახსენიებელი ცნობილი მიქელი (მიქაელი)? ამ დროის ლაპიდარულ წარწერებიდან რამდენიმე მიქელია ცნობილი. მიქელი გვხვდება ზემოთ მითითებულ ტბეთის ეკლესიის წარწერაში. როგორც ნ. შოშიაშვილი მიიხსენებს, ეს წარწერა ვახტანგის (სავარაუდოდ, პატრიკ ტბელის ძმის) ძეგლის მოსახსენიებელია. „ქრისტე აღიდგენ ძენი ვახტანგისანი: მიქაელსა რმ ე(?)“.¹⁵⁷ წარწერაში კარგად არ ჩანს, თუმცა, შესაძლებელია, რომ მიქელი მართლაც ტბელთა ფეოდალურ სახლს ეკუთვნოდა. X-XI სს. ატენის სიონის წარწერებიდან რამდენიმე მიქელია ცნობილი.¹⁵⁸ ერთ-ერთი წარწერა ატენის სიონის აღმ. ფასადზე, ცოკოლიდან მესამე წყებაში, ხელის გამოსახულებაშია ამოკვეთილი: „ესე მიქელია, ამინ“.¹⁵⁹ სავარაუდოდ, ეს მომლოცველის წარწერა უნდა იყოს. აღნიშნული პერიოდის მეორე წარწერა, სადაც ასევე მიქელი იხსენიება, ატენის სიონის აღმ. ფასადზე, ცოკოლიდან პირველ წყებაშია ამოღარული: „ქრისტე შეიწყალებ მიქაელ“.¹⁶⁰ თუმცა, წარწერის ხელწერა სრულად განსხვავებულია დიდის კედელზე შესრულებული წარწერისაგან. ამიტომ აღნიშნული მიქელის გაიგივებაც არასწორი იქნება. მიქელი იხსენიება აგრეთვე აღმ. ფასადზე ცოკოლიდან მეორე წყებაში. ეს არის ასომთავრულით შესრულებული წარწერა: „ქრისტე

¹⁵⁷ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 181.

¹⁵⁸ თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957, გვ. 49, 50, 53, 54, 57, 62.

¹⁵⁹ იქვე, გვ. 216.

¹⁶⁰ იქვე, გვ. 218.

ნიქოზის მთავარანგელოზის ეკლესიაზე შესრულებულ ასომთავრულ წარწერაში, სადაც ვკითხულობთ: „1* + [ს] (ა)[ხ](ე)[ლ](ო)თ[ა] [ლ](მრთისადთ)ა მე. [მ](ო)[ქ](აე)[ლ] ნ(ო)ქ(ო)[ზ](ე)ლ[ე]ბ²დს<ს> კ(ოპო)ზმ(ან) აღვ(ა)შ(ენ)ე წ(მიდა)ე ეკლ(ეს)ია)ე, რ(ომე)ლ³ არს სახლი ღ(მრთი)ს(ა)ე და ბჰჴ ცათაე,⁴ საყოფელი წ(მიდი)სა ღ(მრ)თისმშ(ო)ბელის(ა)ე და წ(მიდა)თა⁵ მთ(ა)ვ(ა)რ(ა)ნგ(ე)ლ(ო)ზთ(ა)ე, ს(ა)ლ(ო)ც(ველა)დ ს(უ)ლისა ჩ(ე)მისათ(უ)ს.“¹⁶⁹ აღნიშნული წარწერა 1890 წელს მოხსენიებული აქვს პ. უვაროვას.¹⁷⁰ ნიქოზის მთავარანგელოზის ტაძრის წარწერას VII-VIII საუკუნეებით ათარიღებდა და განსხვავებულად კითხულობდა გ. საძაგლიშვილი (კათალიკოზი კირიონ II): „...კათალიკოზმა (კოზმა)? აღვაშენე წმიდაე ეკლესიაე, რომელს არს სახლი ღეთისა და ბჰე ცათაე, საყოფელი წმიდისა ღეთისმშობელისადა წმიდათა მთავარანგელოზთაე სალოცავად სულისა ჩემისათვის.“¹⁷¹ მიქაელი ამავე ტაძრის სხვა წარწერაშიც გვხვდება: „ქ(რისტ)ე შ(ე)იწყა-ლ)ე იოვ(ა)ნე² დ(ი)სწ(უ)ლიმ(ო)ქ(ა)ელ ებ(ის)კოპოზ(ის)აე“¹⁷² მიქაელი ნიქოზის ღვთაების ტაძრის საამშენებლო წარწერაშიც იხსენიება: „1 [+ ამენ. მ(ო)ქ(ა)ელ] ეპი²სკ(ო)პ(ო)ზმ(ან) აღვ(ა)³შ(ენ)ე წ(მიდა)ე ეკლ(ეს)ია)ე.“¹⁷³

ეს წარწერები სამეცნიერო ლიტერატურაში X საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით არის დათარიღებული.¹⁷⁴

¹⁶⁹ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 186.

¹⁷⁰ . . . IV, . 1894, . 181.

¹⁷¹ . . . 1898, . 7.

¹⁷² იქვე, გვ. 187; ი. მეგრელიძე, სიძველეები ღიახვის ხეობაში, ტ. I, თბ., 1986, გვ. 135.

¹⁷³ იქვე, გვ. 188.

¹⁷⁴ ი. მეგრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 137. აღსანიშნავია, რომ ნიქოზის მთავარანგელოზის ტაძრის წარწერებს პალეოგრაფიულად გ. საძაგლიშვილი (სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II) VII-VIII საუკუნეებით ათარიღებდა. იხ. . . .

. . . 1898, . 7;

წარწერებში მოხსენიებულ მიქაელთან დაკავშირებით ი. მეგრელიძე

მიქელი (მიქაელი) იხსენიება ასევე X ს. დათარიღებულ პატარა ლიახვის ხეობაში სოფ. ქვ. ჭარების ღვთისმშობლის ეკლესიაში არსებულ საფლავის სტელის წარწერაში: * „1. [ქრისტე მეოხ] ექმენ 2. ...ღვთისა ცოდვილსა 3. განუსუენე სულსა 4. გაბრიელისა ბაკუ—5. რდუხტისა მიქელისა 6. გვარამავრისა ასულისა 7. სტეფანესი გმ? აგს? 8. ახრიქს.“¹⁷⁵ დიცის წარწერის X საუ-

წერს: „დათარიღების საკითხს არ წყვეტს ჯერჯერობით არც მე-3 წარწერაში მოხსენიებული იოვანე, დისწული მიქელ ეპისკოპოსისა. ვინაიდან ჩვენი ისტორია რამდენიმე იოვანესა და მიქელ ეპისკოპოსს იცნობს. ცნობილია, იოანე (შეიძლება იოვანეც), რომელსაც კ. კეკელიძე, მიქელ მოდრეკილის დისწულად თვლის (X ს.), მაგრამ ის ბერი იყო და არა ეპისკოპოსი, არ ჩანს, რომ მას ქართლთან ჰქონდეს კავშირი. ეპისკოპოსი მიქელ I (450-467) ვახტანგ გორგასალის დროსაა ცნობილი. მიქელ II 774-780 წლებშია ცნობილი, მაგრამ ჩვენს ძეგლს ესენი არ ესადაგებია. მას უფრო მაინც მიქელ III (940-952 წ.წ. ცნობილი ეპისკოპოსი) შეეფერება, მაგრამ ეს არის?“. ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. I, თბ., 1984, გვ. 136. რომელ ცნობილ მიქელ III საუბრობს მეცნიერი ამის შესახებ წყარო მითითებული არ აქვს.

* ძეგლს მიაკვლია პროფ. ჯ. გვასალიამ.

¹⁷⁵ ჯ. გვასალია, პატარა ლიახვის ხეობის ისტორიული ძეგლები, „ძეგლის მეგობარი“, 43-44, თბ., 1976-77, გვ. 26. აღსანიშნავია, რომ ქვ. ჭარების ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიას რ. მეფისაშვილი XIII-XIV სს. მიჯნით ათარიღებდა, ჯ. გვასალიას განმარტებით: „ეკლესია უნდა აშენებულიყო მასზე გაცილებით ადრე მდგარი ეკლესიის ადგილას. ამაზე მიგვითითებს ეკლესიის აფსიდის იატაკში აღმოჩენილი წარწერიანი ქვა, რომელიც პალეოგრაფიული ნიშნებით X საუკუნით თარიღდება.“ ჯ. გვასალია, დასახ. ნაშრომი, გვ. 20. აღნიშნულ წარწერას ნ. შოშიაშვილი შემდეგნაირად კითხულობდა: „[ქრისტე], ექმ(ე)ნ/2 [მ(ე)ოხ], წ(ინაშ)ე ღ(მრთის)ა, ც(ო)დ(ვლთა)ჰ/ გ(ა)[ნ]ს(უ)ენე ს(უ)ლსა/4 გ(ა)ბრ(ი)ე(ი)სა, ბ(ა)კ(უ)ნ/რდ(უ)ხტ(ი)ს, [მიქ(ა)ელ(ი)ს,ნ/ გ(უ)არ(ა)მ(ა)ერ(ი)სა, ს(უ)ლ(ს)ა/7 სტ(ე)ფ(ა)ნ(ე)სი [და] გ(ი)ორგი)ს/8/ ს(ა)რა)ლ(ე)ბ(ი)ს.“ ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, ტ. I, გვ. 156. ასეთივე წაკითხვით აქვს გამოქვეყნებული ტექსტი გ. ოთხმეზურს. გ. ოთხმეზური, შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა, კრებ: „ოსთა საკითხი“, გვ. 138. X საუკუნეში ჭარები, ისევე როგორც პატარა ლიახვის ხეობის სხვა არაერთი სოფელი ტბელთა საფოლადლოში შედიოდა. ჭარების ტაძარი ხარაისძეების (თუ წარწერას ასე წავიკითხავთ) მიერ ან ტბელთა გამოჩენამდეა აგებული ან ტბელთა ფოლადლური გვარის დეგრადაციის შემდეგ, სხვანაირად მათ ტბელთა აღზევების დროს ასეთი უფლება არ ექნებოდათ. როგორც ჩანს, პატა-

კუნის მოსახსენიებელით ცნობილ მიქელის (მიქაელის) ვინაობასთან დაკავშირებით შეგვიძლია ვარაუდის სახით დაუშვათ:

1. ტბელთა საფეოდალო ნიქოზის სამწყსოში შედიოდა, გაეისხნოთ ერედვის წარწერა, სადაც მოხსენიებულია ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანე, რომლის „განზრახვითაც“ აიგო ერედვის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი. როგორც მიეუთითებდით, X საუკუნის II ნახევრით დათარიღებული ნიქოზის წარწერების თანახმად ნიქოზელი ეპისკოპოსი მიქაელია, რომელმაც ნიქოზის ტაძარი ააგო, ან განაახლა (ნიქოზის წარწერებში ის იხსენიება, როგორც ტაძრის ამგები). როგორც ჩანს, ის დიდი გავლენის მქონე საეკლესიო იარარქია, ასეთი, შესაძლებელია, იმ დროს მხოლოდ ტბელთა ფეოდალური სახლის წევრი, ან მათთან ძალზე დაახლოებული პირი ყოფილიყო. X საუკუნის განმავლობაში, (II ნახევარშიც), ტბელები ძალზე გავლენიანი ფეოდალები იყვნენ, ისინი ქართლში პოლიტიკურ ამინდს ქმნიდნენ და ნიქოზის საეპისკოპოსო კათედრას, ისინი სწორედ თავიანთ საგვარეულოს წარმომადგენელს, ან მათთვის სასურველ პირს ჩააბარებდნენ. სტეფანეს გარდაცვალების შემდეგ (სტეფანეს გარდაცვალების თარიღი ცნობილი არ არის. თუმცა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტეფანე X საუკუნის შუა წლებამდე იქნებოდა ნიქოზის ეპისკოპოსი, არ არის გამორიცხებული, რომ ერედვის წარწერის შექმნის დროს სტეფანე ახალი გაეპისკოპოსებული იყო.) ნიქოზელი ეპისკოპოსი მიქაელი გახდა.* არ არის გამორიცხებული, რომ ნიქოზის წარწერებში ეპისკოპოსის რანგში მოხსენიებული მიქაელი ტბეთის წარწერაში ვახტანგთან ერთად მოხსენიებული მიქაელია (ტბელთა სახლის წევრი, შესაძ-

რა ლიხვის ხეობაში სხვა წერილი ფეოდალური საგვარეულოებიც არსებობდა. შტრ: გ. სოსიაშვილი, ვირშას მონასტერი და ვირშელთა საგვარეულო, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიის და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შრომათა კრებული, №8, თბ., 2015, გვ. 66-79.

* სავარაუდოდ, იგი ივანე ტბელის შვილიშვილი იყო, რადგან X საუკუნის II ნახევარში ივანეს შემდეგი თაობა მოღვაწეობდა. საყურადღებოა, ნიქოზის ტაძრის ერთ-ერთი წარწერის თანახმად, მიქაელ ეპისკოპოსის დისწულს იოანე ერქვა, შესაძლებელია ის დიდი პაპის – ივანე ტბელის მოსახელე იყო.

ლებელია ვახტანგ ტბელის ძე). შესაძლებელია, სწორედ მას შეექმნა დიციის ეკლესიის სამხრეთ კედელზე თავისი მოსახსენებელი წარწერა.

2. უნდა აღინიშნოს, რომ დიციის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის აღმოსავლეთ კედლის კუთხეში, მოწითალო ფერის ქვაზე ვხვდებით პილიგრიმების მიერ ამოკაწრულ ჯვრებს, (ტაბ. XLIII. 1) როგორც ჩანს, დიციის ტაძარს მომლოცველები ხშირად სტუმრობდნენ და, შესაძლოა, მოსახსენებელიც ერთ-ერთი მათგანის მიერ იყოს შესრულებული.

დაბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ დიციის წარწერები ახალი ფურცლით ავსებს შიდა ქართლის, საქართველოს ამ უძველესი კუთხის ისტორიას. ტაძრის ირგვლივ მიწის კორდოვანი ფენით ძეგლის ნანგრევებია დაფარული. არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ შესაძლოა ახალი წარწერებიც გამოაჩინოს, რაც ეპოქის ირგვლივ ბევრ საინტერესო ინფორმაციას მოგვაწოდოს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აბრამიშვილი გ., ატენის სიონი, ადრეული შუა საუკუნეების ცენტრალურ-გუმბათოვანი ხუროთმოძღვრული ტიპის ისტორიიდან, თბ., 2012.
2. აღიმბარაშვილი ი., დიმიტრი მეღვინეთუცესიშვილი, (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 2016.
3. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961.
4. ახუაშვილი ი., ქართული გვარ-სახელები, თბ., 1991.
5. ბარნაველი თ., ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957.
6. ბაქრაძე ა., X საუკუნის წარწერა მეჯუღის ხეობიდან, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIX-B, თბ., 1956.
7. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973.
8. ბერიძე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1956.
9. ბერიძე ვ., ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები, თბ., 1956.
10. გვასალია ჯ., პატარა ღიახვის ხეობის ისტორიული ძეგლები, „ძეგლის მეგობარი“, 43-44, თბ., 1976-77.
11. გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983.
12. გვრიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955.
13. გორგიჯანიძე ფარსადან, ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, ტ. II, თბ., 1925.
14. დანელია კ., სარჯველაძე ზ., ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997.
15. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. I, თბ., 1940.
16. თაბუაშვილი ა., ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები, (XVIII საუკუნის II ნახევარი), თბ., 2013.

17. თოფურია ვ., შიდა ქართლში დაცული ზოგიერთ სიძველეთა წარწერები, საისტორიო მოამბე, ტ. II, ტფ., 1924.
18. იმნაიშვილი ი., ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, თბ., 1970.
19. კაკაბაძე ს., ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, წიგნი I, ტფ., 1924.
20. ლორთქიფანიძე მ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963.
21. მაკალათია ს., ლიახვის ხეობა, თბ., 1971.
22. მასალები საქართველოს ისტორიისათვის შეკრებილი ბატონიშვილის დავითოს და მის ძმებისა, 1744-1844 წ.წ. ტფ., 1906.
23. მეფისაშვილი რ., ზოგიერთი ისტორიული ძეგლი სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიაზე, ძეგლის მეგობარი, №14, 1968.
24. მეფისაშვილი რ., ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნება, №4, 1955.
25. მეფისაშვილი რ., ბერის საყდარი, ქართული ხელოვნება, №7, თბ., 1971.
26. მეფისაშვილი რ., ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის საამშენებლო წარწერა, საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. V, №10, 1944.
27. მეგრელიძე ი., სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. I, თბ., 1984.
28. მეგრელიძე ი., სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, თბ., 1997.
29. მეგრელიძე ი., სტალინირისა და ზემო ნიქოზის სიძველეები, სტალინის სახელმწ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბ., 1952.
30. მეგრელიძე ი., მდინარე დიდი ლიახვის მარცხენა ნაპირის სიძველეები და მათი წარწერები, თბ. ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. IX, თბ., 1957.
31. მეგრელიძე ი., ლიახვის ხეობის წარწერები და სხვა სიძველეები, მაცნე (ისტორიის სერია), №4, თბ., 1971.
32. ნინიძე დ., პროვინციის მეფეები, თბ., 1995.
